ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 20 ნოემბერი 2001 №222 (1495) | ფასი 50 თეთრი

18 ნოემბერი. თბილისი. «ლოკომოტივის» სტადიონი. 17 000 მაყურებელი

## საქართველო 17:31 სამხრეთ აფრიკა „ა"

# ვაკეში შავ-თეთრი სიზმარი ვნახეთ

## აფრიკას ქართული ოცნების სჯერა



სამხრეთაფრიკელთა შერკინების ნახევარმცველი იოჰანეს კონრადი თანაგუნდელებს პასს არ უგვიანებდა

# დინამო დაიხუთა

ისე ჩანს, საქართველოს ყოფილი ჩემპიონის ბეჭდაუდებელი ათწლეული არნახულ და სამარცხვინო მარცხთა ხანამ შეცვალა.

თუკი აქამდე თბილისის „დინამო" საქართველოს ჩემპიონატების სარეკორდო თამასას ლამის ყოველ ტურში ახალ-ახალ სიმაღლეზე ევლებოდა, ბოლო 2-3 წელია, საკუთარ ანტირეკორდთა ნუსხას ძველებურზე არანაკლები გულმოდგინებით ზრდის.

შარშანწინ, ყველაზე გოლმწირ სეზონში, ადრე ორი ჩემპიონატის სამყოფი 10 ფრე მოუგროვდა;

შარშან, „ბრინჯაოს ხანის" მეორე წელიწადს, ახალ ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოსთან" დიდი ანგარიშით (0:3) პირველი საშინაო მარცხი შეიმთხვია.

და, აჰა, წლევანდელი ანტირეკორდიც: დიდი ანგარიშით მეორედ წაგება და თანაც ერთბაშად ხუთი გოლი ეროვნული სტადიონის საკუთარ კარში...

საშაბათო „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" თითქოს მაღალი თამაშის ხარისხი და თუნდ ოთხი კუთხური გოლი დინამოელთა რეპუტაციას ვერაფრით იხსნის.

ზეექვსეულში თამაშის შანსი ამ მატჩის შემდეგ დინამოელებმა შეიმცირეს, ვიტელებმა კი გაიზარდეს.

იხილეთ მესამე გვერდი




„დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" გოლთაყრა მასპინძლებმა კი დაიწყეს, მაგრამ ბოლოს ეს ანგარიში იყო




ვლადიმერ სტეფანია „შარლოტის" ცენტრ ელდენ კემპბელზე ერთი თავით მაღლა იდგა

# სტეფანიამ მაიამის რეკორდი ააფარა: შვიდჯერ დააფარა!

პარასკევს ვლადიმერ სტეფანიას „მაიამის" „მოსისხლე" „შარლოტთან" სამი უმთავრესი მეფარე — ალონზო მურნინგი, ბრაიან გრანტი და შონ მარქსი აკლდა და მწვრთნელ პატ რაილის სტეფანიასა და 1997 წლის „ოლ სტარის" მონაწილე კრის გეტლინგს შორის მოუხდა არჩევანის გაკეთება. რაილიმ ოლსტარელს უსახელო ქართველი არჩია და არც უნანია. ჩვენებურმა შანსი შეირგო და „მაიამის" სასტარტო ხუთეულში პირველად დაყენებულმა ერთბაშად სამი კარიერის რეკორდი დაამყარა — 19 ქულა, 12 მოხსნა და 7 დაფარება.

„მაიამიმ" კი მაინც წააგო. „ცენტრ ვლადიმერ სტეფანიას კარიერის საუკეთესო თამაშმაც ვერ აარიდა „ჰითს" ზედიზედ მეხუთე მარცხი" — წერს გაზეთი „მაიამი ჰერალდი".

სხვა დროს სახელოვანი პატ რაილი უთუოდ შეაქებდა ჩვენებურს შესანიშნავი თამაშისთვის, მაგრამ მას ახლა ნამდვილად არ სცხელა ვინმეს საქებ-სადიდებლად. რაც იგი ფლორიდულ გუნდს მეთაურობს, „ჰითი" ასეთ სავალალო დღეში არასდროს ჩავარდნილა.

თავად სტეფანია საკუთარი გარჯით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანს. „თამაშის მიწურულს დავიღალესავით — განუცხადა მან ჟურნალისტებს — ზედიზედ ორი მძიმე მატჩი ვითამაშე და შეხვედრის ბოლოს მართებულ გადაწყვეტილებებს ველარ ვიღებდი. ბედნიერი ვარ, ამდენ ხანს არასდროს ვყოფილვარ მოედანზე, მაგრამ ვწუხვარ, რომ წავაგეთ. არ ვიცი, რა არის საჭირო წარუმატებელი სერიის შესაწყვეტად. მძიმე შრომას არ ვიკლებთ, მაგრამ, ჩანს, უფრო მეტი მუშაობაა საჭირო".

იხილეთ მეცამეტე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი 13 უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი

# 16 ტური

# მერე რა, რომ ლამაზი იყო

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

**„ბათუმი“** დილით ადრე, საღამოს ჩავიდა წყალტუბოს, თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმში მოისვენა და მატჩისთვის შესაბამისად განეწყო. ზღვისპირელები ზედა ექვსეულში მოსახვედრად იბრძვიან და „სამგურალთან“ თამაშის შედეგს მათთვის გადამწყვეტი თუ არა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — გამარჯვების შემთხვევაში ისინი, როგორც მინიმუმი, მეხუთე ადგილზე დამკვიდრდებოდნენ, ხოლო, თუკი „დინამო“ და „მერანი“ წაიფორხილებდნენ, სატურნირო ცხრილში სულაც მესამე საფეხურზე აღმოჩნდებოდნენ. „ბათუმმაც“ შანსი არ გაუშვა ხელიდან, ჩემპიონატში პირველად იმარჯვა სტუმრად, იქეთ კონკურენტებმა ვერ იხეირეს და ასლან ბალაძის გუნდი მესამე ადგილზე მოკალათდა.

წყალტუბოელებს უკანდასახევი გზა დიდი ხანია მოჭრილი აქვთ. უკვე სამი თვეა „სამგურალს“ ჩემპიონატში არ მოუგია და უმაღლესი ლიგის ლატოვების რეალური საფრთხის წინაშე დგას, შემოდგომაზე დაკარგულს გუნდი მომავალ გაზაფხულს იოლად რომ ვერ აინაზღაურებს, დღესავით ნათელია. არადა, უბრძოლველად „სამგურალი“ ქულებს არავის უთმობს და „ბათუმთანაც“ ასე იყო.

მეტოქეებმა საკმაოდ სწრაფ ტემპში დაიწყეს თამაში და უპირატესობასაც მორიგეობით ფლობდნენ. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძელთა კართან შეიქმნა. მე-11 წუთზე ტულუშმა ზუსტად მიაწოდა ბურთი საჯარიმოში შეჭრილ დარჩიძეს, ოღონდ, მისი დარტყმული უზუსტო გამოდგა. ხუთ წუთში უკვე წყალტუბოელებს შეეძლოთ დაწინაურება, თუმცა ვაჩიბერაძემ საჯარიმოდან ხარიხას გაარტყა. მერე თამაშის უკეთესი ორგანიზაციის ხარჯზე ინიციატივა სტუმართა მხარეს გადავიდა, ბათუმელები ბევრს მოძრაობდნენ მოედნის ცენტრში, მწვავედაც უტევდნენ და შუა ტაიმში ერთ-ერთი იერიში გოლითაც დააგვირგვინეს. წყალტუბოელ მცველთა და მეკარის შეცდომით მაჭუტაძემ ისარგებლა და ახლოდან ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში.

რაც მართალია, გაშვებულს მასპინძლები არ დაუთრგუნავს. შესვენებამდე დარჩენილ დროში, ისინი მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდნენ და გათანაბრების შანსიც მიეცათ. 35-ე წუთზე ხუნდაძე აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ დარტყმა ვერ მოახერხა.

მეორე ნახევარი პირველისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მასპინძლები უფრო ხშირად უტევდნენ, სტუმრებმა კი კონტრიერიშებზე გააკეთეს აქცენტი. 58-ე წუთზე წყალტუბოელები მეორე გოლისგან მეკარემ იხსნა, ბოლოკიამ საჯარიმოს გარეთ წამით დაასწრო მაჭუტაძეს და ფეხით მოიგერია ბურთი. ამას წუთში ჭანტურიას კარისკენ დარსაძის სახიფათო დარტყმა მოჰყვა, წყალტუბოელმა მცირედით ააცილა მიზანს. მერე იყო და, ლამის მთელი გუნდით სტუმართა ნახევარზე გადასული მასპინძლები სწრაფ კონტრშეტევაზე წამოეგნენ. ხუჯაძე-აფხაზავა-მაჭუტაძის კომბინაცია ამ უკანასკნელის საჯარიმოში წაქცევით დასრულდა. აფხაზავამაც უნაკლოდ დაარტყა პენალტი.

ორი წუთიღა დასჭირდათ მასპინძლებს ერთის გასაქვითად. შალვა ღონღაძის გამოზომილი პასის შემდეგ ხუნდაძემ იმარჯვა და კარიდან წინ გამოსულ ჭანტურიას საჯარიმოს კუთხიდან ეფექტურად გაუტანა, (ხუნდაძისთვის ეს გოლი 97-ე გახლდათ ეროვნულ ჩემპიონატებში). წყალტუბოელებს თამაშის გადარჩენის იმედი მიეცათ, მძლავრადაც შეუტიეს მეტოქეს, თუმცა ზურგი მოიშიშვლეს და 75-ე წუთზე იღბლად გადაურჩნენ მაჭუტაძის დარტყმას, ბოლოკიამ თავგანწირულ ნახტომში შემლო ბურთის კუთხურზე გადაგდება. და მაინც, მასპინძლებს ბათუმელთა ერთი კონტრდარტყმაც გამოეპარათ და აფხაზავამ მესამედ შეარხია „სამგურალის“ კარის ბადე. არბიტრის მიერ წამატებულ წუთში სტუმრები საკუთარი საჯარიმოს წინა ხაზთან დაჯარიმდნენ. დარსაძემაც ცაცია მოიმარჯვა და... ცხრიანში ჩააჭედა. ლამაზი გოლი კი გახლდათ, ოღონდ „სამგურალს“ ვეღარაფრით უშველა.

წყალტუბო. 17 ნოემბერი. 15.00 საათი. 26 მაისი. 500 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 2:3 ბათუმი

0:1 მაჭუტაძე (22), 0:2 აფხაზავა (68პ), 1:2 ხუნდაძე (70), 1:3 აფხაზავა (75), 2:3 დარსაძე (90)

30 ბოლოკია
მწვრთნელი: ... გოგატიშვილი ... გოგატაძე
3 ფრანგიშვილი
2 ბერაძე | 4 ფხაკაძე | 13 დ. ჭელიძე
22 კოპალიანი | 21 ჯინჭარაძე | 8 შ. ღონღაძე | 10 დარსაძე
19 ხუნდაძე | 15 ვაჩიბერაძე
11 აფხაზავა | 9 მაჭუტაძე
10 ტულუში | 17 დარჩიძე | 5 კობიძე
7 ხუჯაძე
2 ჩხაიძე | 3 მინდაძე | 4 არჩვაძე
18 თურმანიძე
მწვრთნელი: ასლან ბალაძე
1 ჭანტურია

**შეცვლა:** ტულუში — 14. გვაზავა (46), ფხაკაძე — 20. ცომაია (46), კოპალიანი — 16. კიკვიძე (46)

**მსაჯები:** ა. შალამბერიძე, კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ა. სამხარაძე, დ. სანაია (ორივე სოხუმი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 18 |
| 11 | კუთხური | 2 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 3 | თამაშგარე | 7 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იავორსკიმ ჯაბა მოიწონა და წაიყვანა

## უკრაინელები მუჯირს იტალიაში გამოცდიან



ჯაბა მუჯირი

**ახალგაზრდულმა** „ვიტ ჯორჯიამ“, შაბათს „ეროვნულზე“ „დინამოს“ რომ გვარიანი სირცხვილი აჭამა, კიდევ ერთი მოთამაშე მიავლინა უცხოეთში. ფაქტია, კლუბის თავკაცებს გუნდის კიდევ უფრო გაახალგაზრდავება და ახალის შენება განუზრახავთ.

ამჯერად გეზი უკრაინისკენაა აღებული. ვიტელთა მარცხენაფლანგელი ჯაბა მუჯირი დღეს ლვოვში იმყოფება და იქაურ „კარპატთან“ ვარჯიშობს. უკრაინელთა გუნდის მწვრთნელის თანაშემწე იგორ იავორსკიმ ჩვენებური თბილისში, უშუალოდ საქმეში იხილა. მას მოეწონა სწრაფი ქართველი მცველი, ვეტერინართა ხელმძღვანელობასაც შეუთანხმდა და საქმეც დაიძრა.

დღე-დღეზე „კარპატი“ იტალიაში მიემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე. ლვოვიდან თბილისში თხოვნა მოსულა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენებურსაც თან ვიახლებთო. „ვიტ ჯორჯიამ“ უკრაინელებს დასტური მისცა და ჯაბა მუჯირის მომავალიც საბოლოოდ ორ კვირაში გაირკვევა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ მუჯირი რიგით მეხუთე ფეხბურთელია, ვინც მეცამეტე ეროვნულში „ვიტ ჯორჯიადან“ უცხოეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას. ისრაელში, რუსეთსა და იტალიაში გიორგი ყიფიანი, ელიკ საჯაია, ლევან მელქაძე და დავით დილმელაშვილი თამაშობენ.

**მამუკა ქვანტალიანი**

# მელქაძეს ნუგეში სჭეს, თამაში არ მისცეს

## სიენაში ქართველები შანსის რიგში დგანან



*საქართველოს ჩემპიონატში ლევან მელქაძეს გოლები გაჰქონდა, დავით დილმელაშვილი საიმედო საყრდენი იყო, ორივე ერთად ახალგაზრდული ნაკრების უცვლელი წევრებიც იყვნენ. მათი გუნდი — „ვიტ ჯორჯია“ უპრობლემოდ შედიოდა ზეექვსეულში და მედლებისთვის იბრძოდა.*

*მერე წინსვლის ერთი შანსი გამოჩნდა — ეროვნული ჩემპიონატიდან იტალიურ სერია B-ში გადაბარგება სახუმარო საქმე არ გახლდათ. ლევანი და დათო ახალი იმედებით დაადგნენ აპენინების გზას.*

*თითქოს ყველა პრობლემა უკან დარჩა, საქმეებიც კარგად აეწყო. ჯერ ამხანაგურ მატჩებში ითამაშეს, მერე სათასო შეხვედრებშიც მოსინჯეს ძალები და რომ გვეგონა, ჩვენებურებს სერია B-ში გზა ხსნილი აქვთო, სწორედ მაშინ გაჩნდა პრობლემები. ლევანი და დათო „სიენას“ სათადარიგო მოთამაშეები უფრო არიან.*

*გუშინ ყოფილ ვეტერინარებს იტალიაში დავუკავშირდით. „სარბიელს“ ლევან მელქაძემ უპასუხა...*

**— საქართველოში ორივე სტაბილურ მოთამაშეებად ითვლებოდით. ნელ-ნელა ეროვნული გუნდის კანდიდატობასაც ეჩვეოდით. „სიენაში“ გადასვლა იმ მომენტისთვის შეცდომა ხომ არ იყო?**

— იტალიაში ჩვენს გადასვლას შეცდომას ნამდვილად ვერ დავარქმევთ. აქ ყველანაირი პირობა გვაქვს დაოსტატებისთვის. სულ სხვა გარემო, განსხვავებული ვარჯიშები, მცოდნე სპეციალისტები და არანაირი საყოფაცხოვრებო პრობლემა, მხოლოდ ფეხბურთზე უნდა იფიქრო. ახლა მთავარია, სათამაშო პრაქტიკა გვქონდეს. სხვა გზა ჯერ არ ჩანს, ჩვენს შანსს უნდა ველოდოთ.

**— თუ მწვრთნელმა მოწყალე თვალით არ გადმოგხედათ, ასე აპირებთ მთელი წელიწადი უთამაშებლებმა გალიოთ?**

— ჩვენ ახალ გარემოში მოვხვდით, ამიტომ ყველაფერს უნდა შევეჩვიოთ. მჯერა, შანსი გვექნება. ახალი წლიდან სულ სხვაგვარად იქნება ჩვენი საქმე. არადა, სხვა გზას დავადგებით. 23 დეკემბერს ჩემპიონატის ბოლო თამაშია, 24-ში თბილისში მოვფრინავ. მანამდე ვეცდები, ყველაფერი გავარკვიო. ისევ სათადარიგო მოთამაშის იმიჯი არ დამაკმაყოფილებს და ჩემი მენეჯერი ენცო გამბაროც ჩაერევა საქმეში.

**— ითქვა, თითქოს ლევან მელქაძით კიევის „დინამო“ დაინტერესდაო. კონკრეტული წინადადებით თუ შეგეხმიანენ კიევიდან?**

— პირადად ჩემთან ამ საკითხზე არ უსაუბრიათ. მხოლოდ ის ვიცი, რომ უკრაინელები ზაფხულში მაკვირდებოდნენ და „ვიტ ჯორჯიასთანაც“ ჰქონდათ მოლაპარაკებები. კიევის „დინამოს“ წარმომადგენელი ენცო გამბაროსაც რამდენჯერმე დაუკავშირდა.

**— მოკლედ, შეიძლება, ახალი წლიდან „სიენას“ გამოეთხოვო?**

— ამაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი. „სიენასთან“ კონტრაქტი მაკავშირებს. ყველაფერი კი კონკრეტულ ვითარებაზე იქნება დამოკიდებული. მთავარია, სათამაშო პრაქტიკა მქონდეს, თორემ „სიენაშიც“ ჩინებულად ვიქნები.

— რა გითხრათ, ძირითად შემადგენლობასთან ვვარჯიშობ და სათადარიგო გუნდში ვთამაშობ. ჯერჯერობით სხვა პერსპექტივაც არ მიჩანს. დილმელაშვილი ძალიან ხშირად 18 ფეხბურთელს შორისაა, მაგრამ მოედანზე გასვლა ბოლო დროს იშვიათად უწევს.

**— უთამაშებლობის მიზეზი რა არის. მწვრთნელთან ამის შესახებ არ გისაუბრიათ?**

— არა, საუბარი არ გვქონია. ჩვენ ჩვეულებრივად მონდომებით ვვარჯიშობთ. თითქოს არც არავის ჩამოვუვარდებით, მაგრამ მოედანზე გასვლა ისევ სანატრელი გვაქვს.

**— „სიენას“ თავკაცის გულისწყრომა იქნებ იმან გამოიწვია, პირველივე ოფიციალურ მატჩში შეცვლაზე შესული მსაჯმა ერთ წუთში უკან რომ გაგაბრუნა?**

— იმ მომენტში მე გაძევებას არ ვიმსახურებდი. მეტოქის მცველი მეუხეშა, ვეცადე, თავაზიანად მომეცილებინა თავიდან, მსაჯმა კი ორივე გაგვაძევა. მოედნიდან გამოსული თვითონ პაპადოპულომ მანუგეშა, მსაჯი უსამართლოდ მოგექცაო.

დავუშვათ, მე რამე ვაწყენინე მწვრთნელს, დათოს ხომ არაფერი დაუშავებია. პირიქით, როცა პაპადოპულო ენდო, თავი არ დაუზოგავს, გაუმართლა, მაგრამ...

**მამუკა ქვანტალიანი**

**სარბიელელები თანაგუგრძნობთ „რუსთავი 2“-ს ავტოკატასტროფაში თანამშრომელთა დაღუპვის გამო და სამძიმარს ვუცხადებთ გარდაცვლილთა ოჯახებს**

საქართველოს ჩემპიონატი 13 პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

მეთექვსმეტე ტური. ცხინვალი — ხობი 4:2; ლოკომოტივი 3 — მილანი 1:2; თსუ — ქობულეთი 2:0; თორი — მერანი 2 2:3; დილა — დინამო 2 1:0; ლაზიკა — სამტრედია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 16 | 11 | 2 | 3 | 35:8 | 35 |
| მილანი | 16 | 10 | 4 | 2 | 39:14 | 34 |
| თსუ | 15 | 10 | 2 | 3 | 28:9 | 32 |
| ქობულეთი | 16 | 9 | 4 | 3 | 19:11 | 31 |
| ცხინვალი | 16 | 8 | 2 | 6 | 34:24 | 26 |
| ლოკომოტივი 3 | 16 | 6 | 6 | 4 | 22:17 | 24 |
| დინამო 2 | 16 | 7 | 1 | 8 | 14:17 | 22 |
| ლაზიკა | 16 | 6 | 4 | 6 | 19:25 | 22 |
| სამტრედია | 15 | 3 | 4 | 8 | 13:24 | 13 |
| ხობი | 16 | 2 | 7 | 7 | 13:27 | 13 |
| მერანი 2 | 16 | 3 | 1 | 12 | 11:34 | 10 |
| თორი | 16 | 1 | 1 | 14 | 13:50 | 4 |

## გერმანია
II ბუნდესლიგა. XIII ტური
მაინცი 1:1 აინტრახტი

## ინგლისი
პრემიერლიგა. XIII ტური
ჩარლტონი 4:4 ვესტ ჰემი

## იტალია
სერია B. XIII ტური
ჯენოა 2:2 ვიჩენცა

სერია C1/a. XII ტური
ტრიესტინა 1:0 ჩეზენა

## დანია
XVI ტური
ოდენსე 2:1 მიდტიულანდი

## ჰოლანდია
II დივიზიონი. XIV ტური
ჰელმონდი 1:2 იგლზი

# დინამო მიაშავშაბათეს

# ვიტ ჯორჯიას გოლები შაბაშით გაჰქონდა

კობა ინასარიძე

**მეთერთმეტე** წელიწადია, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ვესწრები, მეცამეტე ჩემპიონატი მიმდინარეობს და წინა შაბათამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ...

თბილისის „დინამოს", ქვეყნის ათგზის ჩემპიონს, საკუთარ მოედანზე ერთბაშად ხუთი გოლი გაეშვას!

ერთ მატჩში ორი ბურთი პირდაპირ კუთხურიდან გაეტანოთ!

შვიდიდან ექვსი გოლი სტანდარტული მდგომარეობების შედეგად გასულიყო!

...და ყველაფერი ეს შაბათს, „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩისას მოხდა.

„დინამოს" თამაშისას 12-ჯერაც გაუტანია გოლი და ოთხიც საკუთარ კარში მიუღია, სამბურთიანი სხვაობითაც დამარცხებულა, პენალტიც არაერთხელ გაუცუდებია და „ეროვნულზე" დაწინაურებულსაც ვერ მოუგია, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში „დინამოს" ასეთ გვემასა და მსგავს მატჩს არ შევსწრებივარ. და საერთოდ, „დინამოს" 76-წლიან ისტორიაში თითებზეა ჩამოსათვლელი შემთხვევა, თბილისელებს თბილისში ხუთი გოლი გაეშვათ. ეს შაბათს მოხდა. „დინამო" „ვიტ ჯორჯიამ" მიწასთან გაასწორა.

არადა, მატჩამდე რა იყო? განსაკუთრებული არაფერი. თუმც მაინც, შეხვედრა ტურში ცენტრალურად ითვლებოდა და დიდი ინტერესით ველოდით. „ვიტ ჯორჯიას" აქამდე „ეროვნულზე" „დინამოსთვის" ვერ მოეგო, ექვსიდან სამჯერ ფრედ უთამაშია და იმ ექვს თამაშშიც ხუთჯერ მოეხერხებინა მასპინძელთათვის ბურთის გატანა. „ვიტ ჯორჯიამ" შაბათს „დინამოზე" ჯავრი იყარა, თანაც როგორ.

გინდ „ვიტ ჯორჯია" იყოს, გინდ „ტორპედო", „ლოკომოტივი", „დინამო" რომ საკუთარ მოედანზე გოლს პირველი გაიტანს, მეტოქეს საქმე ერთი ათად გაურთულდება. ჰოდა, მე-7 წუთი იყო სახვაძემ მარცხენა ფლანგიდან კუთხური რომ ჩააწოდა და ამისულაშვილმა თავურით მერლანისგან შორეულ კუთხეში გაიტანა. სტუმართათვის მატჩი ცუდად დაიწყო. როგორია, მეშვიდე წუთზევე გოლი? თუმც ორიოდ წუთშივე გამოჩნდა, რომ ყველაფერი წინ გველოდა.

სახვაძის ფლანგზევე „დინამო" დაჯარიმდა. დოლიძემ ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც გოგობერიშვილი მცველებს უყურადღებოდ დაეტოვებინათ და მანაც ვარდნაში დაარტყა. ზოიძემ ბურთს თითები კი წაატანა, მაგრამ ამაოდ — ანგარიში გათანაბრდა.

ჩანდა, „დინამოსთვის" მოულოდნელი გახლდათ „ვიტ ჯორჯიას" ტაქტიკა. აბა, ვინ გარისკავს და „დინამოს" სტუმრად სამი თავდამსხმელით ეთამაშება. სერგო გაბელაიამ, რომელსაც ასეთი ტაქტიკა ადრეც გამოუყენებია, გარისკა და აი, შედეგიც — ხუთი გოლი. „ვიტ ჯორჯია" მეტოქეს ბურთის თავისუფლად მიღების, დამუშავებისა და პასის საშუალებას არ აძლევდა. სტუმრები დინამოელებს ცენტრის ხაზთანვე მჭიდროდ ეთამაშებოდნენ და კართან მიახლოებას არ აცლიდნენ.

ნახევარი საათი რომ მიილია, ვიტელებმა ერთხელაც გაიხარეს. ადამიას კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს კობიაშვილმა დაუხვედრა თავი და როგორც საბილიარდო კიით ლუზაში, ისე მოათავსა ბურთი ზოიძის კარში.

ხუთ წუთში კვლავ იყოჩაღეს სტუმრებმა. თუმც უფრო სწორი ის იქნება, ვთქვათ, დოლიძემ იყოჩაღა და ზოიძემ ელემენტალური შეცდომა დაუშვაო. ისევ კუთხური იყო, მარჯვნიდან. დოლიძემ ბურთი ჩაახვია, მეკარემ გაჭირვებით კუთხურზევე მოიგერია. ისევ დოლიძემ ჩააწოდა, ისევ ჩაახვია და... ბურთი ზოიძის ზურგსუკან, კარის კუთხეში აღმოჩნდა — 1:3. „ვიტ ჯორჯიასთვის" საქმეს უკვე კარგი პირი უჩანდა, თუმც მეორე ტაიმი და პირველის დარჩენილი დრო წინ იყო და სწორედ ტაიმის ბოლო წუთზე შეამცირა „დინამომ" სხვაობა. დარასელიამ კუთხური მარჯვნიდან ჩააწოდა, ბურთი მოჭრა. მერლანმა ლამის კარის ხაზიდან სცადა ბურთის საჯარიმოს გარეთ გატანა, მაგრამ მასთან ერთად რამდენიმე დინამოელიც ახტა და მერლანიც ბურთიანად კარში შევარდა. ტრიბუნიდან ჩანდა, მეკარეზე თავდასხმა იყო, თუმც მალაღურაძემ სხვაგვარად განსაჯა და სტუმრებმაც თამაში ცენტრიდან განაახლეს. განაახლეს და წუთშივე მეოთხეც გაიტანეს. მატჩში ერთ-ერთმა საუკეთესო ადამიამ დაახლოებით „დინამოს" საჯარიმოს წინა ხაზიდან დაარტყა. ზოიძე უძლური იყო. შესვენებაზე მწვრთნელმა ნოდიამ მეკარე შეცვალა, თუმც მაინც არაფერი გამოუვიდა. ერთი ბურთი „ვიტ ჯორჯიამ" ბათიაშვილსაც გაუტანა. ოცი წუთი რომ აკლდა მატჩის დამთავრებას, ადამიას ჩაწოდებული კუთხური და კობიაშვილის გოლი პირველ ტაიმში მათსავე გათამაშებულის ტყუპისცალივით მსგავსი გამოდგა. იქამდე კი „დინამოს" ანგარიშის კვლავ შემცირება შეეძლო და ვინ იცის, დარასელიას რომ ზირაქიშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გამოეყენებინა, ეგებ „დინამოს" მატჩი შეეტრიალებინა. ასე არ მოხდა, „ვიტ ჯორჯია" ჭკვიანურად თამაშობდა და მეორე ტაიმში, მასპინძლებს, თქვენ წარმოიდგინეთ პენალტს თუ არ ჩავთვლით, კარშიც და კარისკენაც თითოჯერ დაარტყმევინეს.

და ყველაზე საკვირველი ისაა, ასეთ მატჩში პენალტის გარდა გაცუდებული მომენტი რომ არ ყოფილა. თუმც, რატომ? ფეხბურთელებმა ხომ რამდენიც დაარტყეს, თითქმის ყველა გაიტანეს.

„ვიტ ჯორჯიამ" შაბათს, რატომღაც შავი მაისურებით მოთამაშე „დინამოს" ისტორიას ერთი შავი ფურცელი შემატა...

ხუთი გოლი „დინამოს" „ეროვნულზე" გაეშვას? არა, ასეთი შაბათამდე არ ყოფილა. აქამდე მატჩში არც ორი კუთხურ-გოლი და არც შვიდიდან ექვსი სტანდარტულების შემდეგ გატანილა და არც მსგავსი მატჩი ყოფილა.

*გივი ნოდია, „დინამოს" მწვრთნელი:*

— მეტოქემ აშკარად გვაჯობა და დამსახურებულად გაიმარჯვა. ვულოცავ „ვიტ ჯორჯიას". ამ მატჩმა ერთხელაც დამარწმუნა, რომ ჩვენი ჩემპიონატის დონე არც ისე დაბალია, როგორც ამბობენ. სტანდარტული მდგომარეობების შესრულებისას „დინამო" უყურადღებოდ იყო, თუმც ორჯერვე ჩვენც ასევე გავიტანეთ. კარგია, რომ „ვიტ ჯორჯიამ" ექვსეულისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

*სერგო გაბელაია, „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელი:*

— ანგარიში ლოგიკურია. რა თქმა უნდა, თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ, დღეს გამოჩნდა, რომ „ვიტ ჯორჯიას" დიდი პოტენცია აქვს. „დინამოს" თამაში შესწავლილი გვქონდა და როგორც ნახეთ, სწორი ტაქტიკით ვითამაშეთ. ჩვენი გუნდი ხუთმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ მათი შემცვლელები მოვძებნეთ და ასევე იქნება მომავალში. „ვიტ ჯორჯიაში" საკმაოდ პერსპექტიული ფეხბურთელები თამაშობენ. ჩვენ ექვსეულში მოსახვედრად არავის შევეკვრებით, ეს „ვიტ ჯორჯიას" პრინციპია. იქ თუ მოვხვდით, კაცურად მოვხვდებით, თუ არადა, რას ვიზამთ, მომავლისთვის უკეთ მოვემზადებით.



სერგო გაბელია





გივი ნოდია ვიტალი დარასელიის გაცუდებულმა პენალტმა, ცხადია, ცუდ გუნებაზე დააყენა

---

თბილისი. 17 ნოემბერი. 15.00 საათი. ეროვნული. 1 500 (ტევადობა 70 900)

## დინამო 2:5 ვიტ ჯორჯია

1:0 ამისულაშვილი (7), 1:1 გოგობერიშვილი (9), 1:2 კობიაშვილი (31), 1:3 დოლიძე (36), 2:3 დარასელია (44), 2:4 ადამია (45), 2:5 კობიაშვილი (70)

დარასელიამ ვერ გაიტანა პენალტი (52, მეკარე)

მწვრთნელი: გივი ნოდია

22 ზოიძე

2 სვანიძე, 5 შაშიაშვილი, 4 ვაშაკიძე, 3 კანდელაკი

7 ამისულაშვილი

8 ბურდული, 9 დარასელია, 6 ა. სახვაძე

10 ზირაქიშვილი, 11 ბობოხიძე

8 მ. ცქიფურიშვილი

20 ზ. მეტრეველი, 22 ადამია

7 გოგობერიშვილი

9 ლ. ნოზაძე

5 ზაზაშვილი, 14 დ. დოლიძე

4 კობიაშვილი, 23 თედორაძე

21 ჰანკოტაძე

1 მერლანი

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

შეცვლა: ცქიფურიშვილი — 10. გოჩაშვილი (29), ზოიძე — 12. ბათიაშვილი (46), დოლიძე — 2. არეშიძე (46), სახვაძე — 18. მიკუჩაძე (55), ბობოხიძე — 20. გ.გ. მიქაძე (68), ადამია — 6. ფერქრიშვილი (88)

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ქობათურა); ზ. ანიაშვილი (გორი)

სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

| | | |
|---|---|---|
| 9 | ჯარიმა | 14 |
| 3 | კუთხური | 7 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 2 | კარში დარტყმა | 3 |
| 2 | თამაშგარე | 5 |

---

ქუთაისი. 17 ნოემბერი. 15.00 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 19 432)

## ტორპედო 3:0 გორდა

1:0 ქუთათელაძე (70), 2:0 იონანიძე (78), 3:0 ქუთათელაძე (90)

მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

1 გვარამაძე

12 აბრამიძე, 6 ქემოკლიძე

22 ლ. ჭელიძე, 5 თოდუა

4 დიდავა, 7 ლევან სილაგაძე, 2 იონანიძე, 15 პოროშინი

23 იმედაძე, 9 ქუთათელაძე

9 რ. გოცირიძე

8 მელაძე, 17 ალადაშვილი, 5 გ. გ. მიქაძე

13 ზვ. ლაბაძე, 4 ბერიძე, 20 ლაშა სილაგაძე

15 ბალასანიძე, 2 კედელაშვილი

3 ბურნაძე

1 ბედიაშვილი

მწვრთნელი: თენგიზ კაცია

შეცვლა: ბედიაშვილი — 22. კოროშინაძე (24), ჭელიძე — 24. ხვადაგიანი (46), იმედაძე — 3. მახვილაძე (56), ბერიძე — 10 ჯელაძე (79)

გაფრთხილება: ლაშა სილაგაძე (24), ბალასანიძე (36), აბრამიძე (64)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); მ. ელიკაშვილი, ზ. მჭედლიშვილი (ორივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 13 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 12 | კარში დარტყმა | 1 |
| 1 | თამაშგარე | 3 |

# ზესტაფონმა თბილისში ქარი მოიტანა და ქულა წაიღო

თბილისი. 17 ნოემბერი. 15.00 საათი. სინათლე. 100 (ტევადობა 3 000)

## მერანი 1:1 მეტალურგი

1:0 ბაჯელიძე (45), 1:1 ფირცხალაიშვილი (68)

მწვრთნელი: ოთარ გაბელია

1 დევაძე
17 კვეკვესკირი
2 გოგიტაძე, 4 ზ. ცქიფურიშვილი
14 ჭინჭარაული
5 დევიძე, 15 ბოლქვაძე, 9 კოშკაძე
8 ბაჯელიძე, 10 გაგუა
7 დავითაშვილი

10 კრავეიშვილი
9 ხმალაძე
5 ღონღაძე, 8 სუხიაშვილი, 6 ამაშუკელი, 14 მემარნიშვილი
2 მადლაკელიძე, 4 მერებაშვილი, 3 ორმოცაძე
18 გურეშიძე
1 მერკვილიშვილი

მწვრთნელი: ზაურ ჩუბინიძე

შეცვლა: კრავეიშვილი — 11. ფირცხალაიშვილი (42), ღონღაძე — 17. გოგაძე (46)

გაფრთხილება: ამაშუკელი (24), მერკვილიშვილი (25)

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. ცირდავა (გულრიფში), ჯ. ბუიშვილი (ქიათურა)

სფფ-ის ინსპექტორი: ლ. ციციანი

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჯარიმა | 10 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 7 | კარში დარტყმა | 2 |
| 5 | თამაშგარე | 1 |

**ვახა ხუციშვილი**

**მოუშვებულ** „სინათლეზე“ ყოველი მხრიდან უბერავდა, განსაკუთრებით კი დასავლეთიდან. მატჩამდე ოდნავ წამოწვიმა კიდეც, რამაც არასაფეხბურთო ამინდი შექმნა. ალბათ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ ავჭალაში სულ რაღაც ასიოდე ქომაგმა მოიყარა თავი. კიდევ ერთი პრობლემა, ყველასთვის ნაცნობი, დენის უგზო-უკვლოდ გაქრობა გახლდათ, თუმცა ამ შეხვედრის მთავარი მოქმედი პირი მბრძანებელი ბუნება შეიქნა, ფეხბურთელები კი ეპიზოდურ როლებს ასრულებდნენ.

მასპინძლებს ექვსეულში დასამკვიდრებლად მორიგი სამი ქულა სჭირდებოდათ, ზესტაფონელებისთვის კი თითოეული ქულა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. „მერანს“ ძირითადის ორი მოთამაშე — გოჩა გუჯაბიძე და ანდრეი მუხინი — აკლდა, მაგრამ პირველ ნახევარში მათ ზურგის ქარი ეხმარებოდა. მეტოქის კართან ტრადიციულად ბაჯელიძე, გაგუა, დავითაშვილი აქტიურობდნენ, ფლანგებიდან კი კაპიტანი იოსებ დევიძე და კოშკაძე ერთვებოდნენ. ძლიერი ქარი ხშირ შემთხვევაში კარგი პარტნიორი იყო, ხშირად კი მოწინააღმდეგე. საწყისი თხუთმეტი წუთის განმავლობაში სტუმრები „მერანის“ შეტევებს ასე თუ ისე უმკლავდებოდნენ და ორჯერ კონტრიერიშის მცდელობაც ჰქონდათ. ორჯერვე კრავეიშვილმა საშუალო მანძილიდან დაჰკრა დევაძის კარისკენ, მაგრამ არაზუსტად. თავის მხრივ, მასპინძლებიც სახიფათოდ დაემუქრნენ „მეტალურგის“ კარს. მერკვილიშვილს ერთხელ ბურთი ხელიდან გაუვარდა და გურეშიძემ ვარდნაში განმუხტა მომენტი. აი, მეორედ კი, გაგუამ ფლანგიდან შესული კოშკაძე დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა. მისი არცთუ ისე მახვილი კუთხიდან დარტყმული ზესტაფონელთა მეკარემ კუთხურზე მოიგერია. ტაიმის შუაწელი მოედნის ცენტრში ორთაბრძოლებით გამოირჩა. ერთ ეპიზოდში მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ამაშუკელმა მთავარ მსაჯს ხელიც კი ჰკრა, რაზეც ფანიაშვილმა ხელისკვრითვე უპასუხა და დესერტად ყვითელი ბარათიც მიაყოლა.

პირველი ტაიმის მიწურულს ქარმა უმატა და ზესტაფონელები საკუთარ კარს მიაჯაჭვა. შედეგად მერკვილიშვილს ბურთის მოგერიებაც და წინ გაგზავნაც ძალიან უჭირდა. ერთი ასეთი მოგერიების დროს მან მერანელთა თავდამსხმელ სულიკო დავითაშვილს მოარტყა ბურთი, რომელიც მცველებმა უკუაგდეს, თუმცა იქვე ბაჯელიძე გაჩნდა და თითქმის ცარიელ კარში შეაგდო.

განახლდა თუ არა თამაში, სურათი რადიკალურად შეიცვალა. პირველ ნახევარში დაშავებული კრავეიშვილისა და ღონღაძის ნაცვლად სტუმართა რიგებში ფირცხალაიშვილი და გოგაძე გამოჩნდნენ. ახლა უკვე დასავლეთის ქარი დასავლეთიდანვე ჩამოსულ ზესტაფონელებს ეხმარებოდა. მათ ბუნების საჩუქარი შეირგეს კიდეც და ფირცხალაიშვილმა საპასუხო გოლის გატანა მოახერხა. ამის შემდეგ მასპინძლებმა სტუმართა დაცვისა და ქარის წინააღმდეგობის გადალახვა მოახერხეს. ისინი „მეტალურგის“ საჯარიმოში დამკვიდრდნენ. ბრძოლამ არცთუ იშვიათად უხეში ხასიათიც მიიღო, რასაც მერაბაშვილისა და ჭინჭარაულის შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ხაზზე გაყინულმა გვერდითმა მსაჯებმაც კი მათ გასაშველებლად მიირბინეს. მიუხედავად ზეწოლისა, „მეტალურგმა“ მაინც მოახერხა მისთვის საჭირო ქულის შენარჩუნება. ბოლომდე იბრძოლეს იმერლებმა და ოდნავ ყურადღებით რომ ყოფილიყვნენ, ეგებ თბილისიდან სამი ქულაც წაეღოთ. საბოლოოდ კი, ზესტაფონის „მეტალურგი“ იმ გუნდთა მარაქაში გაერია, ავჭალიდან ქულის წაღება რომ მოუხერხებიათ.





ბურთისთვის ბრძოლას ხელდახელ ბრძოლაც მოჰყვა

ფოთი. 17 ნოემბერი. 15.00 საათი. ფაზისი. 200 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 2:1 სიონი

1:0 ტორჩინავა (7), 2:0 ქობულაძე (71), 2:1 დაუშვილი (82)

მწვრთნელი: სოსო ფილია

12 ჩემია
13 ნარსია
14 ქუტიძე, 5 მ. ქობულაძე, 10 ფანჩულიძე
2 გოროზია
3 ტორჩინავა, 9 ე. გვასალია, 11 კვირკველია
7 კრასოვსკი
8 წივწივაძე

15 მინაშვილი
11 მოსეშვილი, 6 ამბიძე, 14 დაუშვილი
7 მინდიაშვილი, 5 ბარნოვი
4 პაპიძე, 3 შაქიაშვილი, 13 სვანიძე
9 სიდამონიძე
1 ვოლკოვი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე

შეცვლა: შაქიაშვილი — 2. კ. გოდერძიშვილი (46), წივწივაძე — 17. მუმლაძე (46), კრასოვსკი — 12. ბაჩილავა (75), გოროზია — 4. მიქელთაძე (79)

გაფრთხილება: მინაშვილი (79)

მსაჯები: ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, ზ. დოლიძე (სამივე თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჯარიმა | 10 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 7 | კარში დარტყმა | 2 |
| 5 | თამაშგარე | 1 |

# იბრძვიან: მახარაძე დასარჩენად, ფილია გადასარჩენად

**გოჩა ჯანაშია ფოთიდან**

**„ფაზისზე“** შაბათს ჩატარებული მატჩი, სავარაუდოდ, საინტერესო სანახაობა ქერი უნდა ყოფილიყო. ფოთში ასეთი სუსტი გუნდი კარგა ხანია, არ გვყოლიაო, ასეთ ლაპარაკს ხშირად მოისმენდით სოსო ფილიას შეგირდების წარუმატებელი სერიით განაწყენებულ კოლხ ქომაგებში. ჰოდა, „კოლხეთს“ კიდევ ერთ ჩავარდნას არავინ აპატიებდა.

მასპინძელთა ასეთი განწყობა გასაგებია, მაგრამ აბა, „სიონს“ რა დალხინებულად აქვს საქმე, ქულისთვის მაინც რომ არ ებრძოლა. მით უმეტეს, ქვემოქართლელები სტუმრად დაგროვილი ქულებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ უბრძოლველად არსად არაფერს რომ არ თმობენ, ესეც ფაქტია.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, არ გამართლდა იმ ხალხის პროგნოზი, ვინც უშელავათო ბრძოლას მოელოდა. რა ბრძოლა, როცა ზღვისპირელებმა ყოველგვარი ნერვიულობის და ოფლისღვრის გარეშე სძლიეს მეტოქეს.

თავიდანვე გახსნილი ბურთაობა გაჩაღდა და „კოლხეთი“ უმალ გასატანად დაიგეშა. მიზანსაც მალე მიაღწია. ელდარ გვასალიას ძლიერად დარტყმული ბურთი თეიმურაზ ვოლკოვმა მოიგერია, ორიოდ წუთში კი ისიც უძლური აღმოჩნდა. გელა ფანჩულიძის ფლანგიდან საჯარიმოში ჩაკიდებულ ბურთს ყველაზე ადრე ტორჩინავამ მიუსწრო და თავით გატანა არ გასჭირვებია. ამ ეპიზოდში და შემდეგაც ბოლნისელთა დაცვა არეული ჩანდა. შეცდომები იცოცხლე, ბლომად იყო და კოლხები უკეთ რომ გარჯილიყვნენ, საქმეს შესვენებამდე მოათავებდნენ.

„სიონი“ არც შეტევისთვის იცლიდა და ზოზინით მიიწევდა წინ. სტუმრებს სახიფათო კონტრჩხვლეტა მთელი ტაიმის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, მე-20 წუთზე გამოუვიდათ, მაგრამ დაუშვილის უხეირო დარტყმამ ყველაფერი წყალში ჩაყარა.

ფოთელები მთლიანად ფლობდნენ სიტუაციას, თუმც საგოლე ეპიზოდებით ვერ დაიკვეხნიდნენ. მათი იერიშები ხან უშედეგო კუთხურებით და ხან არაზუსტი დარტყმებით მთავრდებოდა. ტაიმის მიწურულს კი „სიონი“ ორჯერ გადაურჩა გოლს. პირველად კრასოვსკიმ გამოაცოცხლა ტრიბუნაზე გათოშილი ქომაგი. შორეული პასი საჯარიმოში კარგად მოიხელთა და რთული სიტუაციიდან კარში დარტყმაც შეძლო. იმარჯვა ვოლკოვმა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. იქიდან ჩაწოდებულს წივწივაძემ თავი დაუხვედრა და სამიოდ მეტრიდან სასწაულებრივ ააცილა კარს.

თამაში რომ განახლდა, ბოლნისელები ოდნავ გამოცოცხლდნენ. 65-ე წუთზე დაუშვილმა მარჯვენა ფრთაზე გაიბრძოლა, მცველებს ეფექტურად დაუსხლტა და კარის გასწვრივაც სახიფათოდ ჩააწოდა, საპირისპირო ფლანგიდან შემორბენილმა მინაშვილმა კი ლამის ცარიელ კარს ბურთი ზემოდან გადააშორა.

ტრავმაგამიზეზებული წივწივაძის მოედნიდან გასვლის შემდეგ „კოლხეთის“ შეტევები ერთხანს მინელდა, მაგრამ მეორე გოლის გასატანად ეს ხელისშემშლელი ფაქტორი არ გამოდგა. მასპინძლებმა მინაშვილის გამოხტომიდან ხუთიოდ წუთში იხეირეს. ტრიბუნაზე ვიღაცამ დაიწუწუნა, ამდენი უშედეგო კუთხური რა ამბავიაო. ამის თქმა იყო და ფანჩულიძემ კუთხურიდან ჩააწოდა, ყველაზე მაღლა ბურთს ქობულაძე აუხტა და თავურით მეორედ დაამწუხრა ვოლკოვი.

„სიონმა“ პრესტიჟის გოლის გატანაღა მოახერხა. ისევ დაუშვილი გამოირჩა, რომელმაც საჯარიმოში ბურთი კარგად დაამუშავა და ცაციათი შორეულ კუთხეში გაუტანა ჩემიას. ეს იყო და ეს, დარჩენილ წუთებში საინტერესო მეტი არაფერი მომხდარა.

ნამატჩევს თემურ მახარაძემ აღიარა, ჩვენთვის უმთავრესი ლიგაში დარჩენაა, დღეს რაც შეგვეძლო, ვითამაშეთო. სოსო ფილია შედეგით კმაყოფილი კი იყო, მაგრამ ლაზარეთად ქცეულ კოლხთა ბანაკს ჩაეფიქრებინა. ახვლედიანის, წივწივაძის, კვეტენაძისა და მამუკა გვასალიას არყოფნა ხომ დიდი დანაკლისი იქნება სამომავლოდ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 16 | 13 | 2 | 1 | 40:10 | 41 |
| ლოკომოტივი | 16 | 12 | 2 | 2 | 32:8 | 38 |
| ბათუმი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:21 | 28 |
| დინამო | 16 | 8 | 3 | 5 | 36:17 | 27 |
| მერანი | 16 | 8 | 2 | 6 | 27:23 | 26 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 6 | 6 | 4 | 24:18 | 24 |
| კოლხეთი | 16 | 7 | 3 | 6 | 25:25 | 24 |
| სიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 11:23 | 16 |
| გურია | 16 | 2 | 6 | 8 | 12:26 | 12 |
| გორდა | 16 | 2 | 4 | 10 | 13:31 | 10 |
| სამგურალი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:31 | 10 |
| მეტალურგი | 16 | 1 | 6 | 9 | 7:29 | 9 |

## ინგლისი

### XIII ტური

### ევერტონი 0:0 ჩელსი

ევერტონი: სიმონსენი, პისტონე, ვეირი, სტაბსი, ანსუორთი, ალექსანდერსონი (დ. ფერგიუსონი 74), გრაველსენი, ჯემილი, ნეისმიტი, რაძინსკი, უოტსონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
ჩელსი: ბოსნიჩი (კუდიჩინი 80), ბაბაიარო, ტერი, გალასი, მელხიოტი, იოკანოვიჩი (ზენდენი 46), დალა ბონა (სტანიჩი 46), პეტი, ლამპარდი, ჰასელბაინკი, ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: გრაველსენი, იოკანოვიჩი, მელხიოტი, ბაბაიარო
მსაჯი: პელსი
30 555 მაყურებელი

### დერბი ქაუნთი 1:0 საუთჰემპტონი

1:0 მავენი (25)
დერბი ქაუნთი: პოომი, გრენე (კრისტი 83), მავენი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, სავანო (ბოერტიენი 67), დიუკრო, ბარლი, დ. პაუელი, რავანელი, კარბონე
მწვრთნელი: კოლინ ტოდი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ლუნდეკვამი, კ. უილიამსი, ბრიჯი, ტელფერი, მარსდენი, ოკლი, სვენსონი (დელაპი 80), პახარსი, ბიტი (ლე ტისიე 66)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: უილიამსი
მსაჯი: დარკინი
32 063 მაყურებელი

### იფსვიჩი 1:2 ბოლტონი

0:1 ბერგსონი (6), 0:2 რიკეტსი (25), 1:2 ჰოლანდი (45)
იფსვიჩი: სერენი, მაკინი (ლე პენი 79), ბრემბლი, ჰრეიდარსონი, ვენუსი, პერალტა, ჰოლანდი, მეჯილტონი (ჯ. რაიტი 46), რეიზერი, ბენტი (ნეილორი 87), კუნბგო
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, უიტლოუ, ბერგსონი, ვარჰურსტი (ფარელი 66), ფრანდსენი, გარდნერი, ნოლანი, ჩარლტონი, რიკეტსი, უოლესი (ჰოლდსუორთი 69)
მწვრთნელი: სემ ოლიარდისი
გაფრთხილება: ვარჰურსტი, უოლესი
მსაჯი: ბენეტი
22 335 მაყურებელი

### სანდერლენდი 2:0 ლიდსი

1:0 არკა (48), 2:0 ფილიპსი (55)
სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, ტომე, დ. უილიამსი, გრეი, არკა, გევინ მაკკენი, ტირლველი, მაკატირი (მაკკარტნი 87), ნ. ქუინი (ლასლანდი 69), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ლიდსი: მარტინი, ჰარტი, მატეო, რ. ფერდინანდი, მილსი, ს. ჯონსონი, დაკური, ბაკე, ბეტი, ა. სმიტი, რობი კინი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ქუინი, მილსი, კინი, სმიტი
მსაჯი: ბარბერი
48 005 მაყურებელი

### ასტონ ვილა 0:0 მიდლსბრო

ასტონ ვილა: შმაიხელი, მ. დილანი (ტეილორი 14), ა. რაიტი, მელბერგი, ალფაი, სტოუნი, ჯ. ბოატენგი, ლ. ჰენდრი, კამღული (ვინოლა 71), ხუანი ანხელი, ვასელი
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
მიდლსბრო: კროსლი, სტოკდეილი, კუდრუ (კუპერი 46), ეჰიოგუ, საუთგეიტი, მარინელი (სტამპი 71), მასტო, ჯონსტონი, გრინინგი, ნემეტი (უინდასი 80), ბოკშიჩი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ვასელი, კუდრუ, ბოკშიჩი, კუპერი
მსაჯი: ჯონსი
35 424 მაყურებელი

### [illegible]

[illegible] (30), 1:1 [illegible]
[illegible]: [illegible], კერტისი, ბერგი, შორტი, ბიორნებიუ, გილესპი, ფლიტკროფტი (მინტი 76), თუგაი, დანი, დაფი (ბენტი 78), იანსენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიპია, ანჩო, რიისე, მაკალისტერი, ჯერარდი, ჰამანი, ბერგერი (მერფი 62), ოუენი, ფაულერი (ჰესკი 72)
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი (თანაშემწე)
გაფრთხილება: ფლიტკროფტი, ბენტი
მსაჯი: რილი
28 859 მაყურებელი

# წაუგებელიც არავინაა, აუღებელიც არაფერია






REUTERS ლონდონიდან

ტოტენჰემი — არსენალი. იუდა: სოლ კემპბელს „უაით ჰარტ ლეინი“ ისევე შეხვდა, როგორც ლუიშ ფიგუს „კამპ ნოუ“

### ფულემი 3:1 ნიუკასლი

1:0 საჰა (20), 2:0 ლეგვინსკი (28), 2:1 სპიდი (65), 3:1 ჰეილსი (70)
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი, გომა, ბრევეტი, შ. დევისი, მალბრანკი (გოლდბეკი 88), ლეგვინსკი, კოლინზი (კლარკი 67), ჰეილსი, საჰა
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, დაბიზასი (დისტინი 75), ობრაიენი, რ. ელიოტი, სოლანო (ლუა-ლუა 77), ლი (ამეობი 90), სპიდი, რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: ელიოტი, დაბიზასი, რობერი, ობრაიენი, ლი, შირერი
მსაჯი: უოლსტენჰოლმი
21 159 მაყურებელი

### მანჩესტერი 2:0 ლესტერი

1:0 ვან ნისტელროოი (21), 2:0 იორკი (50)
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, უესლი ბრაუნი, ბლანი, ირვინი (სილვესტრი 46), ბექჰემი, როი კინი, სქოულზი, გიგზი (ფორჩუნი 64), ვან ნისტელროოი, იორკი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ლესტერი: ი. უოქერი, კ. სტიუარტი, ფ. სინკლერი, მ. ელიოტი, დავიდსონი (როჯერსი 46), მარშალი, იზეტი, უაიზი, იმპი, ბენჯამინი (სკოუკროფტი 56), აკინბაი
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
გაფრთხილება: ვან ნისტელროოი, გიგზი, უაიზი
მსაჯი: დურსო
67 651 მაყურებელი

### ტოტენჰემი 1:1 არსენალი

0:1 პირესი (81), 1:1 პოიეტი (90)
ტოტენჰემი: სალივანი, პერი, კინგი, რიჩარდსი, ტარიკო, ფრიინდი (ს. დევისი 85), ანდერტონი, პოიეტი, ციგე, ლ. ფერდინანდი (რებროვი 70), შერინგემი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
არსენალი: რ. რაიტი, ლორენი, ს. კემპბელი, კოული, ეშლი კოული, პარლოუ, ვიეირა, გრიმანდი, პირესი, ბერხკამპი (ნ. კანუ 70), უილტორდი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ფერდინანდი, შერინგემი, კოული
მსაჯი: უინტერი
36 049 მაყურებელი

### ჩარლტონი — ვესტ ჰემი

[illegible]

**ეჭვია** „უაით ჰარტ ლეინი“ ერთადერთი სტადიონიც იყოს ინგლისში, სადაც თამბაქოს მოწევა მიღებული არ არის, მაგრამ მიღებული რომც იყოს, შაბათ საღამოს იქ მისულთაგან ერთადერთი კაცი თუ მოუკიდებდა სიგარეტს ნერვების დასამშვიდებლად.

სოლ კემპბელი ამ ზაფხულს გადავიდა „ტოტენჰემიდან“ „არსენალში“ უფასო ტრანსფერით და ორი მტრული წარსულის კლუბთა ისტორიაში მეოთხე ფეხბურთელი შეიქნა, ორივე მხრიდან რომ უთამაშია ავი ჩრდილოლონდონური დერბი.

დიახ, შაბათ საღამოს კემპბელი პირველად გავიდა „უაით ჰარტ ლეინზე“ სტუმარი გუნდის სამოსით და ვაჟკაცურად გაუძლო გადარეული ტოტენჰემელი ფანების დაწოლას. „იუდა“ — ასე ეწერა ათასობით ტრანსპარანტზე და ყველა ეს წარწერა კემპბელისკენ იყო მიშვერილი. ერთადერთი ტოტენჰემელი, ვინც მთელი კვირის მანძილზე მედიის მიერ აბურთავებულ კემპბელს ხელი გაუწოდა, ისევ გლენ ჰოდლი იყო, რომელიც სტადიონის გვირაბში დაუდარაჯდა გოლიათ მცველს და ხელი ჩამოართვა, გამაგრდიო.

სოლი გამაგრდა. მეთოფეები კვლავ წაუგებელნი დარჩნენ გასვლით შეხვედრაში, ეგ კი არა, იგებდნენ კიდეც. ამ უკანმოუხედავ და მკაცრ თამაშში ისინი რობერ პირესის საუცხოო დარტყმულის შემდეგ დაწინაურდნენ, თუმცა კი მასპინძლებმა მაინც გამოგლიჯეს ქულა, რომელსაც ნამდვილად იმსახურებდნენ. გუსტავო პოიეტმა ულამაზესად დაარტყა კრისტიან ციგეს ჩაწოდების შემდეგ და სტუმართა მეკარე რაიტმა, რომელსაც ეს ულამაზესი ეპიზოდი, ულამაზესივე მოგერიებით უნდა დაესრულებინა, საკუთარი ხელიდან ასხლიტა ბურთი კარში.

დერბი დერბად და, შაბათს პრემიერლიგას ახალი ლიდერი გაუჩნდა. „ლივერპული“ სულ ერთი დღით გაუსწორდა თამაშების რაოდენობით „ლიდსს“, ბლექბერნიდან ქულა წაიღო და ცხრილს სათავეში ჩაუდგა. სტუმრები მაიკლ ოუენმა დააწინაურა, რომელმაც მეორე სართული მოუგო ოტროველა ჰენინგ ბერგს. ბლექბერნელთაგან იენსენმა იმარჯვა, თუმცა დანსა და დაფსაც შეეძლოთ გატანა.

ამ თამაშისთვის სატურნირო მნიშვნელობა რომ გამოგვეცალათ, ისედაც საინტერესო იქნებოდა, ვინაიდან „როვერსის“ მენეჯერი გრემ სუნესი და „ლივერპულის“ დროებითი თავკაცი ფილ ტომპსონი ძველი მტრები გახლავან. 1981 წელს „ლივერპულის“ მაშინდელმა თავკაცმა ბობ პეისლიმ კაპიტნობა აართვა ტომპსონს და სუნესს უბოძა. ცხრა წლის წინათ კი, „ლივერპულისავე“ მენეჯერმა სუნესმა, გულის ოპერაციის შემდეგ სამსახურს რომ დაუბრუნდა, თავისი მარჯვენა ხელი ტომპსონი დაითხოვა, ზურგსუკან ჭორაობდაო. ეს უკანასკნელი ექვს წელიწადს იყო მოშორებული ფეხბურთს და ჟერარ ულიემლა მისცა სამუშაო, რომელიც ასევე ნაოპერაციევ გულს იმუშებს.

მტრებმა ცივად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს და დაცილდნენ.

„ლივერპული“ კი კვირა საღამოსთვისაც ლიდერად დარჩა, რადგან იმ საღამოს პრემიერლიგას უკვე აღარ ჰყავდა დაუმარცხებელი ლიდერი. „ლიდსმა“ სანდერლენდში წააგო მშრალად. ამ მოგებით „სანდერლენდმა“ რამდენიმე ანტირეკორდი გაიუქმა, კევინ ფილიპსმა ოთხმატჩიანი უგოლო ნავსი გატეხა, ჯეიხონ მაკატირმა კი თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა ამ სეზონში.

იორკშირელთა თავკაცმა დევიდ ოლირიმ ისლა დაიჩივლა, 68-ე წუთზე მსაჯმა გრემ ბარბერმა ნაღდი პენალტი არ მოგვცა და მოცელილი რობი კინი პირიქით [illegible] გორც [illegible]

[illegible] „ლესტერს“ მასპინძლობდა და, სავარაუდოდ, იოლად დაამარცხებდა, რისი მოსეირეც „ოლდ ტრეფორდზე“ მისული პრემიერლიგისთვის სარეკორდო 67 651 მაყურებელი იქნებოდა. ასეც მოხდა. დევიდ ბექჰემისა და გარი ნევილის პასებს რუუდ ვან ნისტელროოისა და დუაიტ იორკის თავები შეეგებნენ. ამ ორ გოლს შუა კი დურსომ მასპინძელთა კარში საეჭვო პენალტი დანიშნა, რომლის დასარტყმელადაც მაზი იზეტი გაემზადა. იზეტი კი გაემზადა, მაგრამ ფაბიენ ბარტეზმა მოულოდნელად დატოვა კარი და ძელზე ბუცების წმენდას და ხითხითს მოჰყვა.

ეს ამბავი ლამის სამ წუთს გაგრძელდა და ნერვებმოშლილმა იზეტმა ცარიელ კარში გაიტანა. დურსომ პენალტის გამეორება ბრძანა, იზეტი კიდევ უფრო აირია, ბურთი იმავ კუთხისკენ გაუშვა, მაგრამ მეტად რბილად და ბარტეზის ხელიდან ძელზე ასხლეტილი გავიდა კუთხურზე.

ზუსტად იმ კუთხეში და ზუსტად ძელზე ასხლეტით აულო პენალტი ედვინ ვან დერ სარმა ალან შირერს, რომელიც იმავ წამს მოცელეს და კვლავაც იმსახურებდა პენალტს, მაგრამ ამდენს ვინლა დაგისტვენს? თქვენი არ ვიცი და შირერის ვერგატანილი პენალტი პირველად ვნახე. ნიუკასლელთა მასპინძელმა „ფულემმა“ კი პირველად მოიგო შთამბეჭდავად ამ სეზონში. ვარცხნილობაშეცვლილმა ლუი საჰამ და მისმა ამხანაგებმა ერთმანეთზე უკეთესი გოლებით გააბითურეს „ნიუკასლი“, რომელსაც თითქოს ალმასვლა ეტყობოდა წინა ორ ტურში გამარჯვებების შემდეგ.

სხვა ისეთი არც არაფერი. ეს არის, რომ დერბის „პრაიდ პარკზე“ უალრესად კომიკური გოლი გავიდა, მაგრამ მის ღირსეულ აღწერას ვინმე გრავიტაციასა და ფსიქიატრიაში გარკვეული კაცის კალამი სჭირდება.

**ირაკლი ბამყრელიძე**
*ლონდონიდან*




მანჩესტერი — ლესტერი. ეს ის მომენტია, ბარტეზის ცელქობით ნერვებაშლილმა მაზი იზეტმა თერთმეტი მეტრიდან ცარიელ კარში რომ დაარტყა

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლივერპული | 11 | 7 | 2 | 2 | 21:11 | 10 | 23 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:6 | 2 | 10 | 6 | 4 | 1 | 1 | 13:5 | 8 | 13 |
| 2 ლიდსი | 12 | 6 | 5 | 1 | 15:7 | 8 | 23 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 6 | 11 | 7 | 3 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 12 |
| 3 ასტონ ვილა | 12 | 6 | 4 | 2 | 17:11 | 6 | 22 | 7 | 4 | 3 | 0 | 9:3 | 6 | 15 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:8 | 0 | 7 |
| 4 მანჩესტერი | 12 | 6 | 3 | 3 | 30:20 | 10 | 21 | 6 | 4 | 1 | 1 | 15:6 | 9 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 15:14 | 1 | 8 |
| 5 არსენალი | 12 | 5 | 5 | 2 | 25:14 | 11 | 20 | 5 | 1 | 2 | 2 | 11:10 | 1 | 5 | 7 | 4 | 3 | 0 | 14:4 | 10 | 15 |
| 6 ნიუკასლი | 12 | 6 | 2 | 4 | 22:17 | 5 | 20 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:8 | 1 | 10 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:9 | 4 | 10 |
| 7 ჩელსი | 12 | 4 | 7 | 1 | 16:11 | 5 | 19 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:5 | 3 | 9 | 7 | 2 | 4 | 1 | 8:6 | 2 | 10 |
| 8 ბოლტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 18:17 | 1 | 19 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 7 | 7 | 3 | 3 | 1 | 13:7 | 6 | 12 |
| 9 ბლექბერნი | 13 | 4 | 6 | 3 | 21:16 | 5 | 18 | 7 | 3 | 4 | 0 | 14:6 | 8 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:10 | -3 | 5 |
| 10 ტოტენჰემი | 13 | 5 | 3 | 5 | 20:18 | 2 | 18 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:11 | 2 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:7 | 0 | 7 |
| 11 ფულემი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:13 | 2 | 17 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:7 | 3 | 12 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 5 |
| 12 ევერტონი | 12 | 4 | 4 | 4 | 18:17 | 1 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:9 | 4 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:8 | -3 | 5 |
| 13 სანდერლენდი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | -2 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:8 | 1 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:6 | -3 | 5 |
| 14 მიდლსბრო | 13 | 4 | 3 | 6 | 16:20 | -4 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:12 | -1 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 5:8 | -3 | 6 |
| 15 ვესტ ჰემი | 11 | 4 | 2 | 5 | 12:21 | -9 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 10 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:18 | -13 | 4 |
| 16 ჩარლტონი | 11 | 3 | 4 | 4 | 12:13 | -1 | 13 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:7 | -3 | 5 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 2 | 8 |
| 17 დერბი ქაუნთი | 12 | 2 | 4 | 6 | 10:22 | -12 | 10 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:8 | -1 | 9 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:14 | -11 | 1 |
| 18 ლესტერი | 13 | 2 | 3 | 8 | 7:25 | -18 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:12 | -8 | 5 | 7 | 1 | 1 | 5 | 3:13 | -10 | 4 |
| 19 იფსვიჩი | 13 | 1 | 5 | 7 | 14:22 | -8 | 8 | 7 | 1 | 2 | 4 | 8:10 | -2 | 5 | 6 | 0 | 3 | 3 | 6:12 | -6 | 3 |
| 20 საუთჰემპტონი | 12 | 2 | 1 | 9 | 10:22 | -12 | 7 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | -7 | 1 | 7 | 2 | 0 | 5 | 5:10 | -5 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 10 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 10 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 9 |
| რავანელი (დერბი ქაუნთი) | 7 |
| ოუენი (ლივერპული) | 7 |

### XIV ტური

24 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | - | მანჩესტერი |
| ბოლტონი | - | ფულემი |
| ჩელსი | - | ბლექბერნი |
| ლიდსი | - | ასტონ ვილა |
| ლესტერი | - | ევერტონი |
| ლივერპული | - | სანდერლენდი |
| მიდლსბრო | - | იფსვიჩი |
| ნიუკასლი | - | დერბი ქაუნთი |
| საუთჰემპტონი | - | ჩარლტონი |
| ვესტ ჰემი | - | ტოტენჰემი |

## პირველი დივიზიონი

### XX ტური

### ჯილინგემი 0:0 უოტფორდი

### ვულვერჰემპტონი 0:0 უიმბლდონი

### ბარნსლი 1:1 უიმბლდონი

1:0 დიერი (51), 1:1 კუპერი (87)

### ბრედფორდი 2:0 უოლსოლი

1:0 ჯესი (35), 2:0 ხუანხო (79)

### ქოვენტრი 0:2 ბარნლი

0:1 ტეილორი (11), 0:2 ლიტლი (33)

### კრისტალ პალასი 4:1 ქრიუ

1:0 უოლტონი (25პ.კ.), 2:0 მორისონი (31), 3:0 კაროფკა (34), 3:1 ეშტონი (41), 4:1 ფრიდმენი (45)

### გრიმსბი 2:2 მილუოლი

1:0 როუენი (49), 1:1 სადლიე (76), 2:1 ბულდინგი (88), 2:2 კლარიჯი (90)

### ნოტინგემი 1:1 პრესტონი

[illegible]

### როთერჰემი 2:1 ვესტ ბრომვიჩი

1:0 სვეილზი (23), 2:0 ლი (70), 2:1 მური (90)

### შეფილდ იუნაიტედი 4:0 ბირმინგემი

1:0 მონტგომერი (16), 2:0 ბრაუნი (65), 3:0, 4:0 პეშისოლიდო (79, 82)

### სტოკპორტი 2:1 ნორვიჩი

1:0 პარსტი (28), 2:0 პალმერი (60), 2:1 მაკრინი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 20 | 11 | 4 | 5 | 39:28 | 37 |
| ვულვზი | 18 | 10 | 5 | 3 | 28:14 | 35 |
| კრისტალ პალასი | 17 | 11 | 1 | 5 | 41:23 | 34 |
| ვესტ ბრომვიჩი | 19 | 10 | 2 | 7 | 23:18 | 32 |
| ნორვიჩი | 19 | 10 | 2 | 7 | 25:24 | 32 |
| მილუოლი | 18 | 9 | 4 | 5 | 32:21 | 31 |
| პრესტონი | 19 | 8 | 7 | 4 | 32:23 | 31 |
| ქოვენთრი | 18 | 9 | 4 | 5 | 22:16 | 31 |
| სიტი | 18 | 9 | 3 | 6 | 43:28 | 30 |
| პორტსმუთი | 19 | 8 | 6 | 5 | 30:24 | 30 |
| ბრედფორდი | 19 | 8 | 4 | 7 | 38:36 | 28 |
| ბირმინგემი | 19 | 7 | 5 | 7 | 30:28 | 26 |
| უოტფორდი | 19 | 7 | 4 | 8 | 30:26 | 25 |
| უიმბლდონი | 19 | 6 | 7 | 6 | 33:30 | 25. |
| ნოტინგემი | 19 | 6 | 7 | 6 | 19:18 | 25 |
| შეფილდი | 20 | 5 | 8 | 7 | 20:24 | 23 |
| როტერჰემი | 20 | 5 | 7 | 8 | 25:32 | 22 |
| ქრიუ | 19 | 5 | 6 | 8 | 17:29 | 21 |
| გრიმსბი | 20 | 5 | 5 | 10 | 21:39 | 20 |
| ჯილინგემი | 18 | 5 | 4 | 9 | 24:28 | 19 |
| უოლსოლი | 19 | 5 | 4 | 10 | 20:30 | 19 |
| უენსდი | 20 | 4 | 7 | 9 | 19:32 | 19 |
| ბარნსლი | 19 | 3 | 6 | 10 | 21:41 | 15 |
| სტოკპორტი | 19 | 2 | 6 | 11 | 21:41 | 12 |

# ვერ იყო ეფე ეფექტური

## გერმანია

XIII ტური

**შტუტგარტი 3:0 ფრაიბურგი**
1:0 მაისნერი (4), 2:0 ტიფერტი (75), 3:0 ზაიცი (90)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკუში, ბორდონი, ვენცელი, სოლდო, მაისნერი, გლები (ტიფერტი 63), ბალაკოვი (მ. გერბერი 87), ზაიცი, განია (ადემარი 63)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, დიარა, კრუზე (ა. ცაიერი 46), კობიაშვილი, ვილი (დორნი 69), ცქიტიშვილი (რამდანე 69), ტანკო, ვ. ბუტი, სელიმი, იაშვილი
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ვილი
მაყურებელი: შტაინბორნი
33 000 მაყურებელი

**კიოლნი 1:2 ლევერკუზენი**
1:0 კურტი (57), 1:1 კირსტენი (63), 1:2 ნოივილი (72)
კიოლნი: პრიოლი, სიხონე, ჩიკონი (დონკოვი 80), კელერი, კულმანი, რეები, შპრინგერი, სინკალა, კროიცა, კურტი (დვოირი 69), რაიხი (ტიმი 59)
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, პლასენტე (ბრდარიჩი 62), რამელო, ბ. შნაიდერი (სებესკენი 38), ბალაკი, ბაშთურქი, ზე რობერტო, კირსტენი, ნოივილი (ვრანიეში 83)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: კულმანი, კელერი, სინკალა, შპრინგერი, ლუსიო, კირსტენი, ნოვოტნი, კელერი
გაძევება: კელერი (52)
მაყურებელი: კემლინგი
41 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:0 ბაიერნი**
1:0 სკრიპნიკი (40პ)
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი, კრსტაიჩი, ტიკუზუ, სკრიპნიკი, ფრინგსი, ფ. ერნსტი, ლისტეში (ბოროვსკი 88), აილტონი, ბოდე (სტალტერი 79)
მწვრთნელი: თომას შააფი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ფინკი, ეფენბერგი (სფორცა 46), სალიჰამიჯიჩი (ციკლერი 46), სერჟიო, კ. პიზარო, ელბერი (იანკერი 77)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: ვერლაატი, კრსტაიჩი, სტალტერი, ეფენბერგი, ლიზარაზუ, ციკლერი
მაყურებელი: ფანდელი
35 800 მაყურებელი

**მიუნხენი 1:3 დორტმუნდი**
0:1 ევერტონი (61), 0:2 კოლერი (70), 1:2 ჰესლერი (78), 1:3 ამოროზო (81პ)
მიუნხენი: იენჩი, ვოტავა, კურცი (ფ. ტაპალოვიჩი 60), პფუდერერი, დედიჩი (მ. ვაისენბერგერი 46), ტ. ჰოფმანი (ვინკლერი 68), მიუკლანდი, ჩერნი, ჰესლერი, ბიროფკა, ბიურკი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
დორტმუნდი: ლემანი, მეცელდერი, ვორნსი, დედე, ოლისე, როიტერი (სტევიჩი 12), ჰაინრიხი, ამოროზო (მადუნი 88), სორენსენი, ევერტონი (ბუგრი 90), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: მიუკლანდი, იენჩი, დედე, სტევიჩი, ჰაინრიხი
მაყურებელი: კრობი
27 200 მაყურებელი

**ჰამბურგი 0:0 შალკე**
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ჰერჩი, ჰოოგმა, პანადიჩი, ოუფფალუში, მალტრიცი, ჰოლერბახი, ტოფტინგი (მეიერი 67), ალბერტცი (ანტარი 76), მეიერი, ბარბარეზი (მაინცი 90)
მწვრთნელი: კურტ იარა
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ვან კერკჰოვენი, ვან ჰოოგდალემი, ნემეცი, ვერმანტი (მიოლერი 67), ბიომე (ბოჟიკოვი 76), მიოლერი, ხანდი, აგალი (უდე კამფეისი 90)
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ბარბარეზი, პანადიჩი, ბიომე, ნემეცი, ბოჟიკოვი
მაყურებელი: ფროილიხი
55 300 მაყურებელი

**ლაუტერნი 5:1 ზანქტ პაული**
0:1 მარკაო (30), 1:1 ლოკვენცი (40), 2:1 ჰ. კოხი (45), 3:1 კლოზე (60), 4:1 ლინკოლნი (71), 5:1 კლოზე (78)
ჰ. კოხმა ვერ გაიტანა პენალტი (24, მეკარე)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი (გაბრიელი 73), ბასლერი, კნაბი (კლოზე 81), რამზი, რატინიო (რიედლი 65), ჰოსლერი, მალცი, ლინკოლნი, ლოკვენცი, კლოზე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
ზანქტ პაული: ბულატი, სტანისლავსკი, ამადუ გომესი, იაკუბუ (ტრულსენი 16), ბარისი (რაჰე 72), ბერგი, ამერმანი, რასი, ჩენი (ბოგრეგერი 81), მარკაო
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
გაფრთხილება: ლინკოლნი, მალცი, ვეხტი, იოზეფი
მაყურებელი: შტრამპე
39 289 მაყურებელი

**ჰერტა 2:0 ვოლფსბურგი**
1:0 მარშე (22ს.კ.), 2:0 გოორი (88)
ჰერტა: ფიდლერი, შმიტდი, ვან ბურიკი, სიმუნიჩი, ჰარტმანი (სვერისონი 60), მაასი, დარდაი, ტრეჩოკი, ბაინლიხი (გოორი 76), მარსელინიო (ნოინდორფი 82), პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, შნოორი, ფრანცი (დ. მუნტიანუ 72), გრაინერი (ბილისკოვი 80), რაუ, მარშე (კენედი 30), კარჰანი, აკონორი, კუბზაუერი, პონტე, პეტროვი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: მაასი, ვან ბურიკი, გრაინერი, კარჰანი, მაასი
გაძევება: მაასი (38), კუბზაუერი (41)
მაყურებელი: შტარკი
27 400 მაყურებელი

**ნიურნბერგი 2:0 ჰანზა**
1:0 მიხალკე (51), 2:0 მიული (86ს.კ.)
ნიურნბერგი: კამპა, შტელე, კოში, ვიბლიშაუზერი, პასლაკი, სანე, ტავკარი, ლ. მიულერი, ლარსენი, მიხალკე (კაკუ 79), გომისი (მიოკელი 67)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
ჰანზა: შობერი, შრიოდერი, იაკობსონი, ოსვალდი, იასერი (ვაისპაუპტი 73), ვიბრანი, ლანცი (ბრანდი 62), მიული, რიდლევიჩი, ბაიერლე, არვიდსონი
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: კოში, ოსვალდი, ვიბლიშაუზერი, შრიოდერი, ოსვალდი
გაძევება: ოსვალდი (81)
მაყურებელი: აიმსენი
20 000 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 0:0 კოტბუსი**
მიონხენგლადბახი: შტილი, ეპერლე, პლეტში, ასანინი, მიუნხი, ნილსენი, ჰაუსვაილერი, ულიხი (შტასინი 83), კორზინევი (მიაკელი 64), ვან ჰუტი, ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, ჰუჯერინოვიჩი, ბეკა, ხვოსტი, რეგეკამპფი, აკრაპოვიჩი (ვაგნერი 64), კლეუგი, კობილანსკი, მილოვი (მირიზილა 69), ტომიჩი (ლაბაკი 86)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: ჰაუსვაილერი, ულიხი, ეპერლე, აკრაპოვიჩი, მილოვი
გაძევება: ნილსენი (67)
მაყურებელი: ზიპელი
27 800 მაყურებელი


REUTERS ბრემენიდან

ვერდერი — ბაიერნი. შტეფან ეფენბერგის ერთი ტაიმი და ერთი ყვითელი


REUTERS კიოლნიდან

კიოლნი — ლევერკუზენი. სტუმარი ულფ კირსტენი ბურთს აცდა და ძელს შეასკდა

**„ბავარიელებს** ტყავის შარვლები გავხადეთ" — ასეთი სიმღერით აცილებდა „ვეზერშტადიონის" გასახდელისკენ მიმავალ „ვერდერის" ფეხბურთელებს ფეხზე წამომდგარი და აღფრთოვანებული მაყურებელი. „ვერდერმა" მართლაც იყოჩაღა, მრისხანე „ბაიერნს" ჯიგრიანად ებრძოლა და ზედიზედ ცხრამოგებიანი ფანტასტიკური სერია შეუწყვიტა. ერთადერთი გოლი კი, პირველი ტაიმის მიწურულს, ყოფილმა დნეპროპეტროვსკელმა, 33 წლის უკრაინელმა ვიქტორ სკრიპნიკმა გაიტანა პენალტით. თერთმეტმეტრიანი მას შემდეგ დაინიშნა, რაც მატჩის საუკეთესო მოთამაშე ტორსტენ ფრინგსი ბიქსენტ ლიზარაზუმ საკუთარ საჯარიმოში წააქცია: „ეს ყველაზე სასიამოვნო გოლი იყო ჩემს კარიერაში — თქვა მერე სკრიპნიკმა — მით უმეტეს, რომ მსოფლიოს საუკეთესო მეკარე ოლივერ კანს გავუტანე". სკრიპნიკი, ვინც გერმანია — უკრაინის ამასწინანდელ მატჩში თანაგუნდელებთან ერთად გვარიანად შერცხვა, ამჯერად ჩინებულად თამაშობდა თავის მარცხენა ფრთაზე. დაცვაშიც ფხიზლობდა და შეტევებშიც ხშირად ერთვებოდა, ამიტომაც შეცვალეს შესვენების მერე სალიჰამიჯიჩი, რომელიც უკრაინელს ვერაფერს უხერხებდა.

მთავარი მოვლენა კი „ბაიერნის" კაპიტან შტეფან ეფენბერგის დაბრუნება გახლდათ. ეფემ „მიონხენგლადბახის" წინაამდეგ ბუნდესლიგის პირველივე ტურში იტკინა ფეხი და სამთვენახევარი მინდორზე აღარ გამოჩენილიყო. საინტერესოა, რომ ეს მატჩი ბაიერნელებმა 0:1 წააგეს, მერე ულიდეროდ დარჩენილმა „ბაიერნმა" თამაში თამაშზე მოიგო, ახლა კი კაპიტანი დაბრუნდა და სეზონში მეორედ დამარცხდა... მაგრამ, აბა, ეფე რა შუაშია, თუკი ჩვეულად შემართულმა ითამაშა, ბევრს ეცადა, ერთხელ საუცხოო პასით სალიჰამიჯიჩი მეკარესთან დატოვა, მაგრამ ბოსნიელმა ვერ ივარგა.

მეორე ტაიმში, როცა ეფენბერგი მინდორზე აღარ იყო, ციკლერმა, პაულო სერჟიომ და პიზარომ გასატანი ვერ გაიტანეს და გერმანელ ტელეკომენტატორს ათქმევინეს: დიახ, დღეს მასპინძლებს ნაღდად უმართლებთო. თუმცა, ოტმარ ჰიცფელდსაც მოვუსმინოთ: „პირველ ტაიმში რომ შეგვეგდო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. მეორეში უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ როცა ამდენ შანსს ვერ გამოიყენებ, მოგების იმედიც არ უნდა გქონდეს".

ბოლოს ჯოვანი ელბერზეც ვთქვათ, რომელიც ბავარიელებს სამკვირიანი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა. ბრაზილიელი საკუთარ თავს არ ჰგავდა. მოწინააღმდეგისთვის ოდნავი ხიფათიც არ შეუქმნია, და საერთოდ, ბურთი ხეირიანად არც მიულია.

ბავარიელების წაფორხილებით „ლევერკუზენმა" ისარგებლა და წლეულს პირველად მოექცა ბუნდესლიგის ცხრილის სათავეში. კლაუს ტოპმიოლერის გუნდმა საცოდავ „კიოლნს" სტუმრად 2:1 მოუგო და კვლავაც დაუმარცხებლად აგრძელებს შეჯიბრებას. მაინც რაშია მათი წარმატების საიდუმლო? რაში და კარგი ფეხბურთელების სიმრავლეში. ნოვოტნიმ, შნაიდერმა, რამელომ, ბალაკმა და ნოივილმა წინა ოთხშაბათს გერმანიას მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური მოუპოვეს, პლეი ოფში კარგად ითამაშა ბაშთურქმაც, ვინც თურქთა მიერ ავსტრიელთა ძლევაში თავისი წილი დაიდო, ლუსიო და ზე რობერტო ბრაზილიელთათვის ვენესუელასთან უმნიშვნელოვანეს მატჩში მონაწილეობდნენ, ხოლო არგენტინელმა პლასენტემ ურუგვაისთან ბოლო შესარჩევ შეხვედრაში ითამაშა. ამათ საუცხოო ფორმაში მყოფი „ბებერი" ულფ კირსტენიც დავუმატოთ, რომელიც კვლავაც ბუნდესნაკრების კანდიდატია და პასუხიც ეს იქნება. თუმცა ამ ბიჭებს კიოლნიდან სამი ქულის წაღება ერთობ გაუჭირდათ. ციებაშეყრილმა „კიოლნმა" პირველ ტაიმში ორი ისეთი მომენტი გააცუდა, რომ... ჯერ სინკალამ გარედან მოარტყა, ბურთი ბაძელს, მერე მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა რაიხმა უზუსტოდ დაარტყა. თავის მხრივ, დაწინაურების შანსები სტუმრებსაც ჰქონდათ, მაგრამ ზე რობერტომ ახლოდან ვერ შეაგდო, ნოივილმა კი ხარიხა შეაზანზარა.

პირველი მაინც მასპინძლებმა გაიტანეს, მარკუს კურტს შედეგიანი თავური გამოუვიდა, თანაც ამ გოლამდე ცოტა ხნით ადრე კიოლნელები რიცხობრივ უმცირესობაში დარჩნენ, ნოივილთან უხეშობისთვის იენს კელერმა მეორე ყვითელი მიიღო. აი, მერე კი სტუმრებმა იძალეს, კირსტენმა მალევე გაათანაბრა, ბოლოს კი ნოივილმა ეფექტური დამაგვირგვინებელი გაიტანა — სებესკენთან კედელი გაითამაშა, საჯარიმოში შეიჭრა და შორეულ კუთხეში აუღებელი დაარტყა.

მიუნხენში მოიგო დორტმუნდის „ბორუსიამაც" და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „გასვლის" გუნდია. წლეულს დორტმუნდელებმა შვიდი სტუმრობიდან ექვსჯერ გაიმარჯვეს, თანაც შაბათს დაშავებული რიკენი და როსიცკი აკლდათ.

შტუტგარტში კი ბადენ-ვიურტენბერგული დერბი გაიმართა. „შტუტგარტმა" 3:0 სძლია „ფრაიბურგს". ფოლკერ ფინკეს გუნდს, რომელსაც ბოლო ოთხ ტურში არ წაეგო, ამჯერად სასჯელმოხდილი ლევან კობიაშვილის დაბრუნებამაც ვერ უშველა. სამივე ქართველი სასტარტოში ათამაშეს, მხოლოდ ცქიტიშვილი შეცვალეს ბოლოსკენ. „კიკერმა" ამათ ერთობ დაბალი ქულები, ხუთიანები დაუწერა. თუმცა ჩვენებურთა ამბავი რა გასაკვირია, როცა შაბათს ლამის მთელმა „ფრაიბურგმა" „იხუთოსნა" („კიკერის" მიხედვით ყველაზე მაღალი შეფასება ერთიანია).

**სოლომონ გულისაშვილი**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ლევერკუზენი | 13 | 10 | 3 | 0 | 33:14 | 19 | 33 | 6 | 5 | 1 | 0 | 16:6 | 10 | 16 | 7 | 5 | 2 | 0 | 17:8 | 9 | 17 |
| 2 ბაიერნი | 13 | 10 | 1 | 2 | 30:5 | 25 | 31 | 6 | 6 | 0 | 0 | 17:1 | 16 | 18 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:4 | 9 | 13 |
| 3 ლაუტერნი | 13 | 9 | 1 | 3 | 30:17 | 13 | 28 | 7 | 6 | 1 | 0 | 19:7 | 12 | 19 | 6 | 3 | 0 | 3 | 11:10 | 1 | 9 |
| 4 დორტმუნდი | 13 | 9 | 1 | 3 | 21:9 | 12 | 28 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 3 | 10 | 7 | 6 | 0 | 1 | 13:4 | 9 | 18 |
| 5 ჰერტა | 13 | 7 | 2 | 4 | 22:17 | 5 | 23 | 7 | 5 | 0 | 2 | 15:7 | 8 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:10 | -3 | 8 |
| 6 ვერდერი | 13 | 7 | 2 | 4 | 18:14 | 4 | 23 | 7 | 5 | 1 | 1 | 11:6 | 5 | 16 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | -1 | 7 |
| 7 შალკე | 13 | 6 | 4 | 3 | 15:13 | 2 | 22 | 6 | 5 | 1 | 0 | 13:5 | 8 | 16 | 7 | 1 | 3 | 3 | 2:8 | -6 | 6 |
| 8 შტუტგარტი | 13 | 6 | 3 | 4 | 17:14 | 3 | 21 | 7 | 4 | 3 | 0 | 10:1 | 9 | 15 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:13 | -6 | 6 |
| 9 ფრაიბურგი | 13 | 4 | 4 | 5 | 18:20 | -2 | 16 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:7 | 5 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:13 | -7 | 5 |
| 10 გლადბახი | 13 | 3 | 5 | 5 | 15:18 | -3 | 14 | 7 | 1 | 4 | 2 | 6:7 | -1 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:11 | -2 | 7 |
| 11 მიუნხენი | 13 | 4 | 2 | 7 | 16:26 | -10 | 14 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:18 | -11 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:8 | 1 | 7 |
| 12 ჰამბურგი | 13 | 3 | 4 | 6 | 14:18 | -4 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | -4 | 5 |
| 13 ვოლფსბურგი | 13 | 3 | 3 | 7 | 18:19 | -1 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:5 | 4 | 8 | 7 | 1 | 1 | 5 | 9:14 | -5 | 4 |
| 14 ჰანზა | 13 | 3 | 3 | 7 | 11:19 | -8 | 12 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | -3 | 5 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:11 | -5 | 7 |
| 15 კოტბუსი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:25 | -12 | 12 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:11 | -4 | 7 | 7 | 1 | 2 | 4 | 6:14 | -8 | 5 |
| 16 ნიურნბერგი | 13 | 3 | 1 | 9 | 10:24 | -14 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 7 | 6 | 1 | 0 | 5 | 2:13 | -11 | 3 |
| 17 კიოლნი | 13 | 2 | 2 | 9 | 9:25 | -16 | 8 | 7 | 2 | 0 | 5 | 6:13 | -7 | 6 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:12 | -9 | 2 |
| 18 ზანქტ პაული | 13 | 1 | 4 | 8 | 12:25 | -13 | 7 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:8 | -3 | 4 | 7 | 0 | 3 | 4 | 7:17 | -10 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| პიზარო (ბაიერნი) | 8 |
| ელბერი (ბაიერნი) | 7 |
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 7 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 7 |
| ამოროზო (დორტმუნდი) | 7 |
| მარსელინიო (ჰერტა) | 6 |

**XIV ტური**
24 ნოემბერი
ბაიერნი - ნიურნბერგი
ვოლფსბურგი - გლადბახი
კოტბუსი - შტუტგარტი
ფრაიბურგი - მიუნხენი
დორტმუნდი - ლაუტერნი
ზანქტ პაული - კიოლნი
ლევერკუზენი - ჰამბურგი
შალკე - ვერდერი
ჰანზა - ჰერტა

## მეორე ბუნდესლიგა

XIII ტური

**ალემანია 2:1 ფიურტი**
1:0 უნსოლდი (36ს.კ.), 2:0 შმიდტი (39პ), 2:1 ჰესენმიულერი (86)
გიორგი დეკანოიძე განაცხადში ვერ მოხვდა

**ჰანოვერი 0:0 ზაარბრიუკენი**

**კარლსრუე 1:1 უნიონი**
1:0 გრაფი (51), 1:1 იასა (82)

**ობერჰაუზენი 5:0 შვაინფურტი**
1:0 რიტპიჩი (44), 2:0, 3:0 ვაიერი (48, 63), 4:0 რიტპიჩი (64), 5:0 ფალკო (75)

**ბოხუმი 0:0 არმინია**

**ბაბელსბერგი 0:3 როიტლინგენი**
0:1 დიაბა (21), 0:2 შმიდელი (68), 0:3 კუგარი (73პ)

**უნტერჰახინგი 0:1 დუისბურგი**
0:1 გრუევი (26)

**ალენი 0:0 ვალდჰოფი**

**მაინცი — აინტრახტი**
წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 12 | 10 | 1 | 1 | 28:10 | 31 |
| ჰანოვერი | 13 | 8 | 5 | 0 | 35:10 | 29 |
| არმინია | 13 | 8 | 2 | 3 | 25:11 | 26 |
| აინტრახტი | 12 | 7 | 3 | 2 | 20:12 | 24 |
| ბოხუმი | 13 | 5 | 5 | 3 | 24:20 | 20 |
| კარლსრუე | 13 | 6 | 2 | 5 | 20:21 | 20 |
| ალენი | 13 | 6 | 2 | 5 | 24:30 | 20 |
| უნიონი | 13 | 5 | 4 | 4 | 25:17 | 19 |
| ფიურტი | 13 | 5 | 4 | 4 | 18:14 | 19 |
| როიტლინგენი | 13 | 5 | 2 | 6 | 24:25 | 17 |
| უნტერჰახინგი | 13 | 5 | 2 | 6 | 14:15 | 17 |
| ალემანია | 13 | 4 | 3 | 6 | 13:23 | 15 |
| დუისბურგი | 13 | 3 | 5 | 5 | 17:20 | 14 |
| შვაინფურტი | 13 | 3 | 3 | 7 | 9:24 | 12 |
| ვალდჰოფი | 13 | 2 | 5 | 6 | 12:21 | 11 |
| ბაბელსბერგი | 13 | 3 | 2 | 8 | 15:31 | 11 |
| ობერჰაუზენი | 13 | 2 | 3 | 8 | 18:24 | 9 |
| ზაარბრიუკენი | 13 | 1 | 3 | 9 | 9:22 | 6 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-17 ტური: მაგდებურგი — პადერბორნი 3:1; იურდინგენი — ქემნიცი 1:0; ესენი — მიუნსტერი 1:2; აუე — დიუსელდორფი 2:2; ლიუბეკი — დრეზდენი 1:2; ოსნაბრიუკი — ფორტუნა 0:2; ფერლი — ვერდერი (მ.) 1:3; ლევერკუზენი (მ.) — კელი 1:1; ვატენშაიდი — ბრაუნშვაიგი 1:1

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-18 ტური: კიკერსი — ვეენი 1:2; ელვერსბერგი — მანჰაიმი 2:0; ერფურტი — დარმშტადტი 0:0; ფულდა — შტუტგარტი (მ.) 2:2; რეგენსბურგი — ბურგჰაუზენი 0:1; ჰოფენჰაიმი — კაიზერსლაუტერნი (მ.) 2:3; ზიგენი — აშაფენბურგი 4:1; ბაიერნი (მ.) — ტრირი 0:2; ოფენბახი — აალენი 5:2

## ესპანეთი

# ნეტავ, ტრისტანს მთამაშა...

XIII ტური

### დეპორტივო 3:1 სოსიედადი

0:1 ხაბი ალონსო (8), 1:1, 2:1, 3:1 მაკაი (35, 56, 75)
დეპორტივო: მოლინა, სეზარი, კაპდევილა, ელდერი, ექტორი, მაურო სილვა, ჯალმინია (ვალერონი 68), ამავისკა, სერხიო (ემერსონი 51), ვიქტორი, მაკაი (ტრისტანი 75)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
სოსიედადი: ალბერტო, კვარმე, არანსაბალი, ლუის ალბერტო, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, ტაიფუნი (დიმიტრაძე 71), დე პედრო, ხოხლოვი (არანბურუ 78), იდიაკესი, იანკაუსკასი (დე პაულა 59)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: ლუის ალბერტო, იდიაკესი, მაურო სილვა
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
28 000 მაყურებელი

### რეალი 2:1 სევილია

1:0, 2:0 მორიენტესი (41, 59), 2:1 მოიზესი (75)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, ელგერა, მაკელელე, ფიგუ (მაკმანამანი 77), ზიდანი, რაული, მორიენტესი (მუნიტისი 69)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, ნიეგუსი, პოდესტა (ფრანსისკო 47), ფრედი (გალარდო 82), კასკერო, ლუის ხილი, მოიზესი, რეიესი (ტოედტლი 46)
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: პოდესტა, მაკელელე, მაკმანამანი, დავიდ კასტედო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
63 312 მაყურებელი

### ლას პალმასი 0:0 ბარსელონა

ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, პაკუ, შურერი, ანხელი, სემვისი, ხორხე (ელოი 80), კარმელო (ხოსიკო 59), პაბლო ლაგო (ორლანდო 77), ტევენეტი, რუბენი
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, პ. ანდერსონი, კოკო, პუიოლი, ხავი, კოკუ, ლუის ენრიკე (ჯოვანი 67), ოვერმარსი (გაბრი 51), სავიოლა, კლუივერტი (როჩემბაკი 58)
მწვრთნელი: კარლეს რექსაჩი
გაფრთხილება: კოკუ, ლუის ენრიკე, პაკუ, სემვისი, კარმელო, ჯოვანი, ორლანდო
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
17 000 მაყურებელი

### ალავესი 1:0 სელტა

1:0 პაბლო (6)
ალავესი: ერერა, კოლოჩინი, ტელიესი, ლორენსი, ჯელი, პაბლო, კრუიფი, ასტუდილიო, ტურიელი (ვიჩგე 59), რუბენ ნავარო (ივან ალონსო 46), მაგნო (კ. კანუ 80)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
სელტა: კავალიერო, სილვინიო (ვაგნერი 81), კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, იაგო (ედუ 67), კარპინი, გუსტავო ლოპესი (ჯაკობო კამბოსი 85), დორივა, ლუქსენი, კატანია
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: ლორენსი, ლუქსენი, ტელიესი, დორივა, პაბლო, სილვინიო, ერერა
მსაჯი: მუნიოს ფერნანდესი
14 000 მაყურებელი

### ბილბაო 0:0 ვილიარეალი

ბილბაო: ლაფუენტე, ლარაინსარი (კარლოს გარსია 64), ოსკარ ვალესი, ლაკრუსი, ორბაისი, იესტე (ესკერო 74), ხავი გონსალესი, ალკისა, ტიკო, ხ. ეჩებერია (დ. კარანკა 85), ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
ვილიარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, გალვანი, კიკე ალვარესი, უნაი, გალკა, კანია, ხორხე ლოპესი (გიარე 70), კალეხა (გრასია 63), პალერმო, ვიქტორი (ბერუე 88)
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: უნაი, პალერმო, ლაკრუსი
მსაჯი: რამირეს დომინგესი
35 000 მაყურებელი

### ესპანიოლი 2:1 მალიორკა

1:0 ალექს ფერნანდესი (22), 1:1 ლუკე (27), 2:1 მარტინ პოსე (80)
ესპანიოლი: მორა, ფრანი, ლოპო, სოლდევილა, რიკარდო, ალექს ფერნანდესი, როხერი (ივან დიასი 54), ვატესი (კატალა 71), მარტინ პოსე, დე ლუკასი (პალენსია 60), ტამუდო
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, სივიერო, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო, ჩიჩი სოლერი, ნოვო (რიერა 82), მარკოსი (პაუნოვიჩი 68), ეტოო, ლუკე (კარლოსი 79)
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
გაფრთხილება: კამპანო, ალექს ფერნანდესი, ფრანი, ნადალი, რიერა, ივან დიასი
მსაჯი: მეია დავილა
16 900 მაყურებელი

### ვალენსია 0:0 ტენერიფე

ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, აიალა, კარბონი, კურო ტორესი, ალბელდა, კილი გონსალესი (ვისენტე 59), რუფეტე (ანგულო 69), აიმარი (მარჩენა 79), სალვა, ხუან სანჩესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ტენერიფე: სერხიო არაგონესესი, სლოვაკი, პაბლო პასი, ლუსენმოფი, ხავი ვენტა, ბასავილბასო, მარტი (ხაიმე 84), ივან ანია, მარიონი (დავიდ ჩარკოსი 86), უგო მორალესი (იდალგო 89), ხისკო
მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი
გაფრთხილება: კარბონი, სლოვაკი, ივან ანია, უგო მორალესი, პაბლო პასი
გაძევება: ანგულო (75)
მსაჯი: პინო სამორანო
45 000 მაყურებელი

### ვალიადოლიდი 2:0 სარაგოსა

1:0 ბლანკო (20პ), 2:0 ფერნანდო (70)
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, ტორეს გომესი, ტენა, ეუსებიო (ფერნანდო 65), ხესუსი, რიკეტი, ოსკარი, ტოტე, ბლანკო
მწვრთნელი: პეპე მორე
სარაგოსა: ხუანმი, რებოსიო, აგუადო, პაკო ხემესი, ქსკერდინია, გარიტანო (გალეტი 73), ხოსე იგნასიო (ველისკა 61), მარკოს ვალესი, აკუნია (ზაინოუ 73), ხუანელე, იორდი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო რომო
გაფრთხილება: აგუადო, ტორეს გომესი, პენია, პაკო ხემესი, აგუადო
გაძევება: აგუადო (84)
მსაჯი: პერეს პურული
12 000 მაყურებელი

### მალაგა 2:1 ოსასუნა

1:0 დელი ვალდესი (17), 2:0 ზარატე (45), 2:1 ივან როსადო (89)
მალაგა: პედრო კონტრერასი, როხასი, ლიტუში (ხოსემი 52), როტეტა, ისნატა, მიგელ ანხელი, მუსამპა, ხერარდო, ზარატე (ლეკო 66), სანდრო (კანაბალი 67), დელი ვალდესი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
ოსასუნა: უნსუე, მატეო (მანოლო 52), კრუჩაგა, პაბლო კონტრერასი, ოლარა, ალფრედო (არმენტანო 56), პუნიალი, ფერნანდო, განსედო, ლეკუმბერი (მონტენეგრო 55), ივან როსადო
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: როტეტა, განსედო, მიგელ ანხელი, მატეო, კანაბალი, სანდრო
მსაჯი: პერეს პერესი
12 000 მაყურებელი

### ბეტისი 2:0 რაიო ვალეკანო

1:0 ჟოაუ ტომასი (54), 2:0 ამატო (60პ)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ბელენგერი (ამატო 54), რივასი, კასასი, ჩაპი, იტო, დენილსონი (დანი 77), ხოაკინი, ბენჯამინი (გუდიონსონი 76), ჟოაუ ტომასი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, გრაფი, დე კინტანა, ალკასარი, ერნანდესი, ივან იგლესიასი (რუა 68), ელდერი, არტეაგა, ბერაგონი (მაინსი 80), ბოლიჩი, გლაუჩიო (ბალიჩი 54)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: არტეაგა, კასასი, არტეაგა, ლოპეტეგი, ერნანდესი, ჩაპი
გაძევება: არგეაგა (48)
მსაჯი: უნდიანო მალენკო
32 000 მაყურებელი

**შაბათს** პრიმერადივიზიონის ანონსში ვწერდით, ლიდერის შესაცვლელად რამდენიმე პირობა უნდა შესრულდესო. კერძოდ, „ბარსელონას“, „ვალენსიას“ ან „ალავესს“ უნდა მოეგო, „დეპორტივო“ კი დამარცხებულიყო. მაგრამ დახეთ: ამ მოთხოვნებიდან მხოლოდ ერთი შესრულდა, „ალავესმა“ გაიმარჯვა, რაც, ცხადია, საკმარისი არ გამოდგა.

ლა კორუნიაში მატჩი ისე დაიწყო, ხალხს „დეპორტივოს“ სხვა აუტსაიდერებთან შეხვედრები გაახსენდებოდა. შეგახსენებთ, რომ გალისიელები იქამდე „რაიო ვალეკანოსთან“ და „ტენერიფესთან“ დამარცხდნენ და ახლაც „რეალ-სოსიედადისგან“ გოლი უკვე მერვე წუთზე გაუშვეს. ეს ხაბი ალონსომ მოახერხა დაახლოებით ოცდახუთი მეტრიდან. სხვათა შორის, ბასკთა მწვრთნელი ჯონ ტოშაკი მატჩის წინ ამბობდა, ხაბის დიდი იმედი მაქვსო და აკი გაუმართლა კიდეც. თუმცა გამართლებამ 35-ე წუთამდე გასტანა, ანუ როი მაკაის პირველ საპასუხომდე, რასაც ჰოლანდიელმა კიდევ ორი დაუმატა და ჰეთ თრიქი შეასრულა. ისიც აღვნიშნოთ, რომ მაკაი მხოლოდ იმიტომ იყო მოედანზე, რომ მწვრთნელმა დიეგო ტრისტანი ჩემპიონთა ლიგისთვის დაასვენა.

„ალავესმა“ ცხრილში მეორე საფეხურიდან გააძევა „ბარსელონა“. ვიტორიელებმა 1:0 მოუგეს „სელტას“, ხოლო „ბარსელონა“ ლას პალმასში უგოლო ფრეს დასჯერდა.

ალავესელთა ერთადერთი გოლი ასე გავიდა: პაბლომ ოციოდე მეტრიდან მოიქნია, ბურთი მცველს მოხვდა და ბადეში აღმოჩნდა. ამ დროისთვის მატჩის დაწყებიდან მხოლოდ ექვსი წუთი იყო გასული, ვიგოელებს გასათანაბრებლად საკმარისი დრო ჰქონდათ, მაგრამ ალექსანდრ მოსტოვოის გარეშე მოთამაშე „სელტამ“ ესპანეთში საუკეთესოდ მიჩნეულ ალავესელთა დაცვას ვერაფერი დააკლო. ეს ვიგოელთა ზედიზედ მესამე დამარცხებაა.

ლას პალმასის „ინსულარზე“ ხალხმა გოლი ვერ იხილა, თუმც ლაღ და გახსნილ თამაშში უამრავი მომენტი შეიქმნა. მასპინძელთაგან რუბენმა, ლუის ტევენეტმა და ხორხემ აიკლეს ბარსელონელთა მცველები, სტუმართაგან კი ხავიერ სავიოლა, პატრიკ კლუივერტი და ლუის ენრიკე ჩადიოდნენ იგივეს საპირისპირო კართან, მაგრამ რაღ გინდა...

გოლი არც „ვალენსია“ — „ტენერიფეს“ შეხვედრაში გასულა და ხეირიანი მომენტებიც აქ ბევრად ნაკლები იყო. მხოლოდ სალვა ბალესტამ შეუტია სახიფათოდ პირველ ტაიმში, ეს იყო და ეს. მოგვიანებით მასპინძლებს მიგელ ანხელ ანგულო გაუძევეს ბრუნო მარიონისთან უხეშობისთვის და ამან მათი თამაში უფრო ფრთხილი გახადა. სამაგიეროდ, „ვალენსია“ კვლავაც ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩება.

[illegible] ცდილობს მადრიდის „რეალი“, რომელმაც შინ [illegible] „სევილიას“ [illegible] მრებს ორივე გოლი ფერნანდო მორიენტესმა გაუტანა და ორივე ზინედინ ზიდანის ჭკვიანური პასების შედეგად. მოიზეს გარსიას ერთმა საპასუხომ კი „რეალს“ ვერაფერი დააკლო.

დედაქალაქელებსა და ლიდერთა ოთხეულს შორის ბილბაოს „ატლეტიკი“ და სევილიის „რეალ-ბეტისი“ იმყოფებიან.

ბასკებს თავი არ დაუზოგავთ, ბოლოს და ბოლოს უხერხულიცაა, გუნდი ლიდერთა შორიახლოს ტრიალებდეს და ერთადერთ საშინაო გამარჯვების ამარა იყოს, მაგრამ „ვილიარეალის“ დაცვა ვერა და ვერ გატეხეს. სტუმრები კი მატჩის შემდეგ ბილბაოში მოპოვებული ქულით დიდად კმაყოფილები ჩანდნენ.

„ბეტისმა“ კვლავ ბოლო ადგილზე დატოვა „რაიო ვალეკანო“, რაკი ორი უპასუხო ბურთი გაუტანა და შინ ხელცარიელი გაუშვა. აქვე ვთქვათ, რომ „ბეტისისთვის“, რომელიც ერთხანს დივიზიონის ლიდერიც იყო, ეს პირველი გამარჯვება გახლდათ ბოლო ხუთ შეხვედრაში.

„რეალ-მალიორკას“ მწვრთნელის შეცვლა ჯერჯერობით ვერაფერში წაადგა — გუნდი ბარსელონაში „ესპანიოლთან“ დამარცხდა და გასავარდნთა ზონაშია. შეიძლებოდა, კუნძულელთა ადგილას „მალაგა“ ყოფილიყო, ოღონდ იმ შემთხვევაში, შინ „ოსასუნასთან“ თუ წააგებდა. ასე არ მოხდა. დელი ვალდესმა და არიელ ზარატემ პამპლონელებს ორი გოლი გაუტანეს, რომლებიც ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს — კუთხურის ჩაწოდების შემდეგ მათი ავტორები ბურთს ერთსა და იმავე ადგილას დაუხვდნენ და თავი დაუხვედრეს.

**გიორგი დარჯანია**







რეალი — სევილია. ფერნანდო მორიენტესი (№9) ორივე გოლს ზინედინ ზიდანის პასს უნდა უმადლოდეს

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დეპორტივო | 13 | 8 | 2 | 3 | 27:16 | 11 | 26 | 7 | 5 | 1 | 1 | 18:7 | 11 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:9 | 0 | 10 |
| 2 | ალავესი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:8 | 7 | 24 | 7 | 5 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 16 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:4 | 2 | 8 |
| 3 | ბარსელონა | 13 | 6 | 5 | 2 | 21:9 | 12 | 23 | 6 | 4 | 2 | 0 | 15:3 | 12 | 14 | 7 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 0 | 9 |
| 4 | ვალენსია | 13 | 5 | 8 | 0 | 14:8 | 6 | 23 | 7 | 5 | 2 | 0 | 7:1 | 6 | 17 | 6 | 0 | 6 | 0 | 7:7 | 0 | 6 |
| 5 | ბეტისი | 13 | 6 | 3 | 4 | 15:12 | 3 | 21 | 7 | 5 | 1 | 1 | 10:3 | 7 | 16 | 6 | 1 | 2 | 3 | 5:9 | -4 | 5 |
| 6 | ბილბაო | 13 | 5 | 5 | 3 | 17:17 | 0 | 20 | 7 | 1 | 4 | 2 | 6:9 | -3 | 7 | 6 | 4 | 1 | 1 | 11:8 | 3 | 13 |
| 7 | რეალი | 13 | 5 | 4 | 4 | 22:18 | 4 | 19 | 7 | 4 | 3 | 0 | 15:6 | 9 | 15 | 6 | 1 | 1 | 4 | 7:12 | -5 | 4 |
| 8 | სელტა | 13 | 4 | 6 | 3 | 22:16 | 6 | 18 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 11 | 7 | 1 | 4 | 2 | 10:10 | 0 | 7 |
| 9 | ვილიარეალი | 13 | 5 | 3 | 5 | 14:12 | 2 | 18 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 4 | 10 | 7 | 2 | 2 | 3 | 4:6 | -2 | 8 |
| 10 | ვალიადოლიდი | 13 | 5 | 3 | 5 | 15:20 | -5 | 18 | 7 | 3 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:13 | -4 | 8 |
| 11 | სევილია | 13 | 4 | 5 | 4 | 19:17 | 2 | 17 | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 9 | 7 | 2 | 2 | 3 | 11:11 | 0 | 8 |
| 12 | ესპანიოლი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:21 | -4 | 17 | 7 | 4 | 1 | 2 | 13:9 | 4 | 13 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:12 | -8 | 4 |
| 13 | სარაგოსა | 13 | 5 | 2 | 6 | 12:16 | -4 | 17 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | -2 | 7 | 7 | 3 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 10 |
| 14 | მალაგა | 13 | 4 | 4 | 5 | 16:19 | -3 | 16 | 7 | 2 | 2 | 3 | 11:13 | -2 | 8 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 8 |
| 15 | ლას პალმასი | 13 | 4 | 3 | 6 | 14:12 | 2 | 15 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:6 | 5 | 12 | 6 | 1 | 0 | 5 | 3:6 | -3 | 3 |
| 16 | ოსასუნა | 13 | 4 | 3 | 6 | 11:18 | -7 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 8 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:13 | -7 | 7 |
| 17 | ტენერიფე | 13 | 4 | 2 | 7 | 10:16 | -6 | 14 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:5 | 3 | 10 | 7 | 1 | 1 | 5 | 2:11 | -9 | 4 |
| 18 | მალიორკა | 13 | 4 | 2 | 7 | 11:19 | -8 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:5 | 0 | 7 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:14 | -8 | 7 |
| 19 | სოსიედადი | 13 | 3 | 2 | 8 | 14:23 | -9 | 11 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 5 | 7 | 2 | 0 | 5 | 7:12 | -5 | 6 |
| 20 | რაიო ვალეკანო | 13 | 3 | 1 | 9 | 14:23 | -9 | 10 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:7 | 2 | 9 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:16 | -11 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტრისტანი (დეპორტივო) | 7 |
| სავიოლა (ბარსელონა) | 6 |
| ტოტე (ვალიადოლიდი) | 6 |

### XIV ტური

25 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| სელტა | - | ესპანიოლი |
| ვილიარეალი | - | ალავესი |
| ბარსელონა | - | ბილბაო |
| სარაგოსა | - | ლას პალმასი |
| სევილია | - | ვალიადოლიდი |
| რაიო ვალეკანო | - | რეალი |
| ოსასუნა | - | ბეტისი |
| ტენერიფე | - | მალაგა |
| სოსიედადი | - | ვალენსია |
| მალიორკა | - | დეპორტივო |

## მეორე დივიზიონი

XV ტური

### ხაენი 3:3 სპორტინგი

1:0 პეპელუ (16), 2:0 მილოშევიჩი (38), 3:0 პეპელუ (50), 3:1 დავიდ პირი (53), 3:2 სოტო (75), 3:3 მიჩელი (83)

### რასინგი 4:0 ნუმანსია

1:0 პაბლო სიერა (6), 2:0 ბოდიპო (20), 3:0 მატეო (53), 4:0 ისმაელი (58პ)

### ლეგანესი 2:1 ლევანტე

0:1 ლამზეა (12ს.კ.), 1:1 მიგელ ანხელი (16), 2:1 გამისი (59)

### ხერესი 0:1 ატლეტიკო

0:1 აგილერა (17)

### ეიბარი 1:1 უელვა

0:1 რაულ მოლინა (45), 1:1 ალდეონდო (46)

### ესტრემადურა 0:0 ალბასეტე

### პოლი ეხიდო 0:0 მურსია

### ბურგოსი 0:1 ბადახოსი

0:1 მოლისტი (60)

### ხიმნასტიკი 1:2 ელჩე

1:0 დეუსი (34), 1:1, 1:2 ნინიო (45, 53)

### ოვიედო 3:1 კორდობა

1:0 ხენი (39), 1:1 ალფონსო (44), 2:1 ოსკარ ალვარესი (49), 3:1 პაბლო დიასი (90)

### ფეროლი 3:1 სალამანკა

1:0 პალასიოსი (7), 1:1 რობერტი (10), 2:1 ფრან ნოგეირა (46), 3:1 ისმაელი (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 15 | 10 | 3 | 2 | 27:11 | 33 |
| ხერესი | 15 | 9 | 1 | 5 | 18:13 | 28 |
| ოვიედო | 15 | 6 | 7 | 2 | 16:8 | 25 |
| ფეროლი | 15 | 7 | 3 | 5 | 22:18 | 24 |
| ალბასეტე | 15 | 6 | 5 | 4 | 14:9 | 23 |
| უელვა | 15 | 6 | 5 | 4 | 16:14 | 23 |
| ბურგოსი | 15 | 7 | 2 | 6 | 13:13 | 23 |
| ხაენი | 15 | 6 | 4 | 5 | 15:17 | 22 |
| ეიბარი | 15 | 5 | 6 | 4 | 17:9 | 21 |
| რასინგი | 15 | 5 | 6 | 4 | 18:15 | 21 |
| სალამანკა | 15 | 5 | 6 | 4 | 20:20 | 21 |
| ელჩე | 15 | 5 | 6 | 4 | 12:16 | 21 |
| მურსია | 15 | 4 | 7 | 4 | 15:15 | 19 |
| ნუმანსია | 15 | 4 | 6 | 5 | 15:18 | 18 |
| ბადახოსი | 15 | 5 | 3 | 7 | 12:15 | 18 |
| ლეგანესი | 15 | 4 | 6 | 5 | 10:15 | 18 |
| სპორტინგი | 15 | 4 | 5 | 6 | 19:20 | 17 |
| კორდობა | 15 | 4 | 4 | 7 | 16:19 | 16 |
| ესტრემადურა | 15 | 3 | 6 | 6 | 11:15 | 15 |
| ლევანტე | 15 | 3 | 5 | 7 | 12:22 | 14 |
| ხიმნასტიკი | 15 | 2 | 6 | 7 | 13:19 | 12 |
| პოლი ეხიდო | 15 | 1 | 6 | 8 | 13:23 | 9 |

## იტალია

XI ტური

### მილანი 0:0 პიაჩენცა

მილანი: აბიატი, კონტრა, ლაურსენი, კოსტაკურტა, კალაძე, გატუზო (ზამოტი 60), ალბერტინი, ბროკი (სერჯინიო 46), რუი კოშტა (პირლო 74), შევჩენკო, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
პიაჩენცა: ორლანდონი, კრისტანტე, ა. ლუკარელი, მალტალიატი, ტოსტო (მორა 54), დი ფრანჩესკო, სტატუტო, ვოლპი, მატუზალემი, უბნერი (კარდონე 70), კაჩა (გაუტიერი 61)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კაჩა, კრისტანტე, გატუზო, ვოლპი, გაუტიერი, კრისტანტე
გაძევება: კოსტაკურტა (59), კრისტანტე (66)
მსაჯი: დე სანტისი
50 000 მაყურებელი

### რომა 0:0 ინტერი

რომა: ანტონიოლი, ძებინა (პანუჩი 56), სამუელი, ალდაირი, კაფუ, ტომაზი (ემერსონი 66), ასუნსაო, ლიმა, კანდელა, ტოტი, დელვეკიო
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, ზიმიჩი (სორონდო 78), გრეშკო, კონსეისაუ, დალმა, დი ბიაჯო, კ. ძანეტი, გულიელმინპიეტრო (კალონი 69), ვიერი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: კ. ძანეტი, კანდელა, ძებინა, დი ბიაჯო, სორონდო
მსაჯი: როზეტი
70 000 მაყურებელი

### იუვენტუსი 3:1 პარმა

1:0 ტრეზეგე (9), 1:1 ლამუში (23), 2:1 დელ პიერო (75), 3:1 ტრეზეგე (90)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ფერარა, იულიანო, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო (კ. ძენონი 63), ნედვედი (ზალაიეტა 61), დელ პიერო (მარესკა 82), ტრეზეგე
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
პარმა: ფრეი, სარტორი, ჯეტუ, ფ. კანავარო, ბენარივო (ნაკატა 78), აპია, ალმეიდა, ლამუში, ჟუნიორი (ტორიზი 71), ბონაცოლი (ბოგოსიანი 54), დი ვაიო
მწვრთნელი: დანიელ პასარელა
გაფრთხილება: ფერარა, ტაკინარდი, ჯეტუ, ბონაცოლი, ჟუნიორი
გაძევება: ალმეიდა (39)
მსაჯი: პაპარესტა
38 355 მაყურებელი

### უდინეზე 1:4 ლაციო

0:1 კრესპო (54), 0:2 ლივერანი (74), 1:2 კაბალიერო (77), 1:3 კლაუდიო ლოპესი (85), 1:4 კრესპო (89)
უდინეზე: დე სანტისი, გარგო, სოტილი, ბერტოტო, ალმირონი (კაბალიერო 56), ლ. ელგერა (მარკოს პაულუ 70), დ. პიზარო, პინცი (სოზა 70), იორგენსენი, მუცი, დი მიკელე
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
ლაციო: პერუცი, ნეგრო, ნესტა, კოუტო (დ. ბაჯო 87), ფავალი, პობორსკი, ლივერანი, ჯანიკედა, დ. სტანკოვიჩი (ფიორე 80), კრესპო, ს. ინძაგი (კლაუდიო ლოპესი 83)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ბერტოტო, გარგო, ლივერანი, ნესტა, ბერტოტო, პობორსკი, ჯანიკედა, ინძაგი, გარგო
გაძევება: ბერტოტო (54), გარგო (78)
მსაჯი: ტრეფოსი
14 000 მაყურებელი

### ვერონა 3:2 კიევო

0:1 ერიბერტო (33), 0:2 კორინი (37პ), 1:2 ოდო (40პ), 2:2 ლანა (70ს.კ.), 3:2 კამორანეზი (72)
ვერონა: ფერონი, გონელა (სალვეტი 65), ძანჯი, პ. კანავარო, ოდო, იტალიანო, ლ. კოლუჩი, სერიჩი, კამორანეზი (დოსენა 86), ფრიკი (ჯილარდინო 77), მუტუ
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
კიევო: ლუპატელი, ს. ლანა, რეგროტალიე, დანა, ფოლიო, მანფრედინი (ბეგეტო 81), კორინი, პეროტა, ერიბერტო (მარელე 66), კორადი (კოსატო 73), მარაცინა
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: იტალიანო, კორინი, ფოლიო, ლუპატელი, კოლუჩი, ერიბერტო, ჯილარდინო, სერიჩი
გაძევება: მარაცინა (60)
მსაჯი: ტრენტალანჯე
41 000 მაყურებელი

# ტურწითელა



REUTERS რომიდან

რომა — ინტერი. რომაელმა ფრანჩესკო ტოტიმ თავი დაკარგა

### ატალანტა 1:0 ვენეცია

1:0 როსინი (29)
ატალანტა: ტაიბი, ძაური, სალა, კარერა, ბელინი, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო, დონი (პაგანინი 86), როსინი, კომანდინი (საუდატი 79)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ვენეცია: ჯ. როსი, ალეგრინი, ბილიკა, ბიორკლუნდი, ბეტარინი, მორონე (დე ფრანჩესკო 56), დ. ანდერსონი, მარასკო, რუკავინა (ვალტოლინა 60), ბუდანი (დი ნაპოლი 56), ვანუკი
მწვრთნელი: ალფრედო მანი
გაფრთხილება: დაბო, მარასკო
გაძევება: საუდატი (80), მარასკო (80)
მსაჯი: პალმიერი
15 000 მაყურებელი

### ფიორენტინა 0:0 ტორინო

ფიორენტინა: მანინგერი, ტორიჩელი, ადანი, მორეტი, მარკო როსი (ამარალი 79), დი ლივიო, ბარონიო, კ. ამორუზო, ვანოლი (აგოსტინი 66), განცი (ვაკუფცისი 73), ნუნუ გომეში
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ტორინო: ბუჩი, კომოტო, გალანტე, ფატორი, დელი კარი, პ. კასტელინი, ასტა, კოე (ვერგასოლა 74), დე აშენტისი, ფერანტე (მასპერო 82), ოსმანოვსკი (ტირიბოკი 65)
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: კოე, კასტელინი, ბარონიო, დე აშენტისი
მსაჯი: პრესკერნი
13 000 მაყურებელი

### ლეჩე 1:0 ბოლონია

1:0 ჩირილო (36)
ლეჩე: კიმენტი, სტოვინი, პოპესკუ, სავინო, ჩირილო, კონტიკიო, სუპერბი, კოლონელო (მალუსკი 89), ჯორჯეტი, ტონეტო, ვუგრინეცი (პელიკორი 90)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე (ძაკარდო 69), ფრეზი, მ. კასტელინი, ნერვო (დელა როჩა 84), ბრიგა, ოლივე (ვოლპე 69), პეკია, მანჩელარი, კრუზი, ბელუჩი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: კონტიკიო, ოლივე, კრუზი, ბრიგა, ფრეზი, ძაკარდო, ჩირილო, კიმენტი
გაძევება: კონტიკიო (63)
მსაჯი: ბერტინი
12 000 მაყურებელი

### პერუჯა 1:1 ბრეშა

0:1 ტონი (6), 1:1 ზე მარია (18პ)
პერუჯა: მაცანტინი, სოლიანო, დი ლორეტო, რეზაეი, ზე მარია, ტედესკო (გროსო 37), გატი (კორდოვა 68), ბაიოკო, მილანეზე, ბაცანი, ვრიზასი (ბერეტონი 88)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი, კალორი, დაინელი, მასიმო ესპოზიტო (ტარე 62), ა. ფილიპინი, გვარდიოლა (ილანა 80), ე. ფილიპინი, სუსი, ჯუნტი (შოპი 77), ტონი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: სოლიანო, გვარდიოლა, გროსო, ჯუნტი, დაინელი, ე. ფილიპინი, პეტრუცი, ესპოზიტო
მსაჯი: კოლინა
8 000 მაყურებელი

„რომეო და ჯულიეტა“ მეტისმეტად ამაღელვებელი ამბავი გამოდგა და 3:2 დასრულდა — „ვერონამ“ „კიევოს“ მოუგო. სერია ა-ს მიმდინარე სეზონში „კიევომ“ ათ ტურში მეორე მარცხი იწვნია, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ლიდერობს.

„კიევო“ 2:0-ს იგებდა, ზუსტად ისე, როგორც ტურინში, თავისი პირველი მარცხის დროს.

არადა, ბრაზილიელი ერიბერტოს გოლისა და ეუჯენიო კორინის წარმატებული პენალტის შემდეგ სერია ა-ს ცხრილის მწვერვალს ოთხქულიანი სხვაობა დაემუქრა — ამ შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე „იუვენტუსმა“ „პარმას“ 3:1 მოუგო და გაირკვა, რომ ლიდერთაგან ერთადერთმა მიიმატა სამი ქულა.

მაგრამ შემდეგ, მასიმო ოდოს საპასუხო პენალტმა უმალ გააჩინა კითხვის ნიშანი. ამ პენალტზე, თქვენი ნებართვით, ერთი-ორი წინადადებით შევჩერდებით: როდესაც ოდო ბურთის დასარტყმელად, სხვათა შორის, საკმაოდ ნელა გაიქცა, „კიევოს“ მეკარემ, ლუპატელიმ, დინჯი ნაბიჯით ხაზის გასწვრივ სეირნობა წამოიწყო, მაგრამ უცბად მოტრიალდა და სეირნობის საპირისპირო მხარეს, მარცხნივ გადახტა. ხრიკმა ვერ გაჭრა.

მეორე ტაიმში „კიევოს“ ფორვარდი მასიმო მარაცინა მოედნიდან გააძევეს და „ვერონამ“ გაქვითა — საკუთარ კარში ერთობ ხასაცილო გოლი სალვატორე ლანამ გაიტანა. და უმალ ვერონელთა გამარჯვებისაც გავიდა: არგენტინელმა მაურო ხერმან კამორანეზიმ ტრიბუნებზე თავმოყრილი 41 ათასი ქომაგის ნახევარს სიხარული მოჰგვარა.

ხოლო „კიევოსთვის“ ერთადერთი სასიამოვნო ის მოხდა, რომ წინა დღით „ინტერმა“ სტუმრად „რომას“ ვერ მოუგო — 0:0. სწორედ ამიტომ დარჩნენ დებიუტანტები ცხრილის სათავეში.

აი, „იუვენტუსმა“ კი, როგორც მოგახსენეთ, ექვსმატჩიანი ვერგამარჯვების შემდეგ, როგორც იქნა გაიხარა. „ბებერმა ქალბატონმა“ პარმელებს სამი გოლი გაუტანა. ორი ფრანგმა დავიდ ტრეზეგემ შეაგდო, ერთი — ალესანდრო დელ პიერომ, რაც, მეორე მხრივ, იმას ნიშნავდა, რომ არგენტინელმა მწვრთნელმა და წარსულში დიდმა ვარსკვლავმა დანიელ პასარელამ „პარმას“ თავკაცის რანგში სერია ა-ში პირველივე შეხვედრა წააგო.

ანგარიში ტრეზეგემ გახსნა. შემდეგ, ტრეზეგეს თანამემამულემ, საბრი ლამუშიმ გაქვითა და საქმე თანაბრადაც მიდიოდა, მაგრამ მსაჯმა სტუმართა არგენტინელი ნახევარმცველი მატიას ალმეიდა რომ გააძევა — სხვათა შორის, ისეთიც არაფერი დაუშავებია — ყველაფერი ისევ „იუვეს“ სასარგებლოდ მოტრიალდა.

ტურინელთა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ მატჩის შემდეგ განაცხადა: „მნიშვნელოვანია, რომ ისევ მოვიგეთ, რასაც კარგა ხანს ვერ ვახერხებდით, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ ნირწამხდარნი არასდროს ვყოფილვართ“.

ამასობაში „ბოლონიამ“ ზედა გუნდებში გარევის შანსი გაუშვა ხელიდან — ბრუნო ჩირილოს გოლით ბოლონიელები ლეჩეში დამარცხდნენ. აღსანიშნავია, რომ „ლეჩეს“ მცველი ალესანდრო კონტიკიო გაუძევეს მოედნიდან, ხოლო მეკარემ, ანტონიო კიმენტიმ არგენტინელ ხულიო კრუზს პენალტი აუღო.

„ბრეშა“ — „პერუჯას“ შეხვედრაში მეტოქეებმა გოლების საქმე თავიდანვე მოითავეს. ჯერ ბრეშელმა ლუკა ტონიმ შეაგდო, შემდეგ „პერუჯაში“ მოთამაშე ბრაზილიელმა ზე მარიამ პენალტით გაქვითა. ეს ყველაფერი კი 18 წუთში მოხდა.

„ლაციომ“ სახოლოოდ ცხრა კაცით დარჩენილ „უდინეზეს“ [illegible] 4:1 [illegible] არგენტინელმა ერნან კრესპომ საჯაროდ განაცხადა, რომ ძველებურად კარგ ფორმაშია.

„ეს გამარჯვება ნათელი მაგალითია იმისა, რომ ჩვენი გუნდი დღითიდღე იზრდება. ყოველივე კი „ბრეშას“ 5:0 დამარცხებით დავიწყეთ“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე რომაელთა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ.

და ბოლოს, შევეხმიანოთ ზემოთ ნახსენებ შეხვედრას „რომასა“ და „ინტერს“ შორის. როგორც მოგახსენეთ ის 0:0 დასრულდა.

„ეს ორი მომზადებული გუნდის კარგი თამაში გახლდათ“ — ბრძანა „რომას“ თავკაცმა ფაბიო კაპელომ.

„მე თუ მკითხავთ, „ინტერს“ სკუდეტოს მოპოვება ხელეწიფება. მართალია, სეზონის მანძილზე „იუვენტუსთან“, „მილანსა“ და „რომასთან“ გვიხდება პაექრობა, მაგრამ ისინიც ხომ იმავე დღეში არიან“ — ფილოსოფიურად დასძინა „ინტერის“ არგენტინელმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა.

ბოლოს კი ერთიც ვთქვათ, ეს ტური წითელი ბარათების სიუხვითაც გამოირჩა. მსაჯებმა 9 ფეხბურთელს დაატოვებინეს ნაადრევად მინდორი.

**პაპუნა ძიდია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 კიევო | 10 | 6 | 2 | 2 | 20:11 | 9 | 20 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:9 | 1 | 8 |
| 2 ინტერი | 10 | 5 | 4 | 1 | 15:9 | 6 | 19 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:6 | 5 | 12 | 5 | 1 | 4 | 0 | 4:3 | 1 | 7 |
| 3 იუვენტუსი | 10 | 4 | 5 | 1 | 17:10 | 7 | 17 | 6 | 3 | 2 | 1 | 13:8 | 5 | 11 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 2 | 6 |
| 4 რომა | 10 | 4 | 5 | 1 | 14:7 | 7 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 7 | 11 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 0 | 6 |
| 5 ბოლონია | 10 | 5 | 2 | 3 | 7:6 | 1 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 2:4 | -2 | 7 |
| 6 მილანი | 10 | 4 | 4 | 2 | 17:12 | 5 | 16 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:3 | 5 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 0 | 7 |
| 7 ვერონა | 10 | 4 | 4 | 2 | 14:11 | 3 | 16 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 1 | 9 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 7 |
| 8 ლაციო | 10 | 3 | 5 | 2 | 12:6 | 6 | 14 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:1 | 7 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | -1 | 5 |
| 9 ბრეშა | 10 | 3 | 5 | 2 | 16:18 | -2 | 14 | 5 | 1 | 4 | 0 | 11:10 | 1 | 7 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | -3 | 7 |
| 10 უდინეზე | 10 | 3 | 3 | 4 | 17:17 | 0 | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 7:13 | -6 | 2 | 4 | 3 | 1 | 0 | 10:4 | 6 | 10 |
| 11 ლეჩე | 10 | 3 | 3 | 4 | 11:15 | -4 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 4 |
| 12 პარმა | 10 | 2 | 5 | 3 | 11:13 | -2 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 9:7 | 2 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | -4 | 2 |
| 13 ატალანტა | 10 | 3 | 2 | 5 | 10:17 | -7 | 11 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 4 |
| 14 პერუჯა | 10 | 2 | 4 | 4 | 9:12 | -3 | 10 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 |
| 15 ტორინო | 10 | 2 | 4 | 4 | 9:15 | -6 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 6 | 0 | 4 | 2 | 6:11 | -5 | 4 |
| 16 ფიორენტინა | 10 | 3 | 1 | 6 | 14:21 | -7 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 8:15 | -7 | 3 |
| 17 პიაჩენცა | 10 | 2 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:6 | 1 | 6 | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | -3 | 3 |
| 18 ვენეცია | 10 | 0 | 3 | 7 | 5:16 | -11 | 3 | 4 | 0 | 2 | 2 | 0:2 | -2 | 2 | 6 | 0 | 1 | 5 | 5:14 | -9 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რ. ბაჯო (ბრეშა) | 8 |
| უბნერი (პიაჩენცა) | 8 |
| შევჩენკო (მილანი) | 7 |
| მუცი (უდინეზე) | 7 |
| კალონი (ინტერი) | 6 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 6 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 6 |

XII ტური

25 ნოემბერი

ბოლონია - რომა
ბრეშა - უდინეზე
კიევო - პერუჯა
ინტერი - ფიორენტინა
ლაციო - იუვენტუსი
პარმა - მილანი
პიაჩენცა - ატალანტა
ტორინო - ვერონა
ვენეცია - ლეჩე

## სერია B

XIII ტური

### სიენა 0:0 პისტოიეზე

სიენა: ჯიანელო, რაგოსკინი, მანდელი, მინანი, რადიჩე, მ. როსი (სკალცო 55), არჯილი, ჯარჩოლო, სკაჩალუგა (პაგანო 82), კამპოლონი (ძამპანა 67), დე ჩეზარე
დავით ყიფიანი სათადარიგო იყო
ლევან მელქაძე ტრავმირებულია
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
4 000 მაყურებელი

### ჩიტადელა 0:1 ბარი

0:1 პალმიერი (42)

### ანკონა 2:3 კოზენცა

1:0 ალბინო (9), 1:1 ჯამპაოლო (14), 1:2 მენდილი (62), 1:3 ჯამპაოლო (69პ), 2:3 პარენტე (82პ)

### კომო 3:0 პალერმო

1:0 ოლივეირა (6), 2:0 ტალდო (38), 3:0 მუზიკო (89)

### კროტონე 1:1 სამპდორია

1:0 გრანდონი (43ს.კ.), 1:1 ფლაკი (86პ)

### მესინა 2:1 ნაპოლი

1:0 გოდეაში (40), 1:1 მონტეძინე (59), 2:1 გოდეაში (80)

### მოდენა 3:1 რეჯინა

1:0, 2:0 ფაბრინი (7, 9), 3:0 ვერონეზე (10), 3:1 კოცა (79)

### სალერნიტანა 1:0 კალიარი

1:0 ოლივი (74)

### ტერნანა 1:1 ემპოლი

1:0 ბორგობელო (28), 1:1 როკი (89)

### ჯენოა — ვიჩენცა

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომო | 12 | 8 | 1 | 3 | 17:12 | 25 |
| მოდენა | 12 | 7 | 3 | 2 | 25:8 | 24 |
| ემპოლი | 12 | 7 | 3 | 2 | 20:11 | 24 |
| რეჯინა | 11 | 6 | 3 | 2 | 14:7 | 21 |
| ჯენოა | 11 | 6 | 2 | 3 | 14:7 | 20 |
| ვიჩენცა | 11 | 5 | 4 | 2 | 17:17 | 19 |
| პალერმო | 12 | 5 | 3 | 4 | 16:17 | 18 |
| სალერნიტანა | 12 | 5 | 2 | 5 | 16:18 | 17 |
| კოზენცა | 12 | 5 | 2 | 5 | 18:21 | 17 |
| მესინა | 11 | 4 | 4 | 3 | 12:12 | 16 |
| ნაპოლი | 12 | 4 | 4 | 4 | 11:12 | 16 |
| ანკონა | 12 | 4 | 3 | 5 | 10:12 | 15 |
| ბარი | 11 | 4 | 2 | 5 | 8:12 | 14 |
| სამპდორია | 11 | 3 | 3 | 5 | 11:12 | 12 |
| კროტონე | 12 | 2 | 4 | 6 | 14:16 | 10 |
| ტერნანა | 12 | 1 | 7 | 4 | 10:13 | 10 |
| პისტოიეზე | 12 | 2 | 4 | 6 | 5:10 | 10 |
| ჩიტადელა | 11 | 3 | 1 | 7 | 13:20 | 10 |
| კალიარი | 12 | 1 | 6 | 5 | 7:14 | 9 |
| სიენა | 11 | 1 | 5 | 5 | 9:16 | 8 |

## სერია C1/a

მე-12 ტური: ალბინოლეფე — სპალ 1:1; კარარეზე — პიზა 2:3; ლივორნო — ლეკო 2:0; ლუკეზე — არეცო 2:1; ლუმეცანე — სპეცია 1:0; პადოვა — ალძანო 1:0; რეჯანა — ვარეზე 2:3; ტრევიზო — მონცა 1:1. ტრიესტინა — ჩეზენა წუხელ გვიან გაიმართა

## სერია C1/b

მე-12 ტური: აველინო — ბენევენტო 2:1; კატანია — ნოჩერინა 2:0; კიეტი — ტორესი 2:0; ფერმანა — ასკოლი 1:2; ტეილა — დი სანგრო 1:0; ლანჩანო — პესკარა 1:1; ლოდიჯანი — სორა 1:1; ტარანტო — ჯულიანოვა 2:1; პეზარო — ვიტერბეზე 1:0

# იტალიის ჩემპიონატი
## მეთერთმეტე ტურის მატჩი
## მილანი 0:0 პიაჩენცა

პაჩა კალაძე: 90 წუთი

# ხუთოსნები და ანჩელოტი

„სან სიროზე" იმპერატორი აღარ გამოჩნდა — თურქი ფათიჰ თერიმის ნაცვლად „მილანს" ახლა კარლო ანჩელოტი წვრთნის, პრაგმატიკოსი სპეციალისტი, რომელმაც თავისი ფეხბურთელობის დროინდელი გუნდი ჩაიბარა და პირველივე შეხვედრაში ნახა, რომ... იგი შინ „პიაჩენცასაც" კი ვერ უგებს.

ერთი სიტყვით, ნათლობა მძიმე საქმე გამოდგა — ქულების დაკარგვა ქულების დაკარგვად და კიდევ, ვეტერან ალესანდრო კოსტაკურტას, რომელიც 80-იანი წლების მიწურულს მწვრთნელის თანაგუნდელი გახლდათ, მსაჯმა წითელი ბარათი უჩვენა. მერე რა, რომ ერთი ხნის შემდეგ წითელი ბარათის ძალით მოედანი პიაჩენცელმა ფილიპო კრისტანტემაც დატოვა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე ანჩელოტიმ ბრძანა: „როგორც ჩანს, ჩვენს გუნდს საკუთარი ნიჭის გამოვლენა ჯერ კიდევ არ ეხერხება".

შეხვედრა თავიდან ბოლომდე ჩაატარა საქართველოს ნაკრების წევრმა კახა კალაძემ, თუმც ერთობ დაბალი შეფასება, 5,5 მიიღო. საერთოდაც აღსანიშნავია, რომ მილანელებმა ამ მატჩში ფრიად დაბალი ქულები დაიმსახურეს. მაგალითად, ისეთ ვარსკვლავს, ანდრეი შევჩენკო რომ გახლავთ, მხოლოდ და მხოლოდ ხუთიანი დაუწერეს.

**ბაჩუნა ძიძია**

## ჰოლანდია

XIII ტური

**პსვ ეინდჰოვენი 3:1 ნაიმეგენი**

1:0 ბუმა (3), 1:1 სიმრი (36), 2:1 ოიერი (53პ), 3:1 რომედალი (87)

პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ოიერი, ფაბერი, ჰოფლანდი, ჰაინცე, ლუსიუსი, ბოგელუნდი (რომედალი 51), დე იონგი, ბუმა (ბახტაძე 66), ბრუგინკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

31 000 მაყურებელი

**გრონინგენი 4:2 სიტარდი**

0:1 კრამბი (2), 1:1, 2:1 დრენტი (22, 25), 2:2 ლანდერლი (34), 3:2 უგო (85), 4:2 ჩურლოვიჩი (90)

**უტრეხტი 6:0 გრააფსხაპი**

1:0 კუიტი (6), 2:0 ვან დენ ბერგი (15), 3:0 კუიტი (37), 4:0 ცვაანცვიკი (48), 5:0 ვან დენ ბერგი (60), 6:0 ვან მოლი (85)

**აიაქსი 1:3 ბრედა**

1:0 ვან დერ ვაარტი (7), 1:1 კრისტიანო (30), 1:2 ესტიუარტი (51), 1:3 კრისტიანო (64)

**ფეიენოორდი 3:2 ვიტესი**

1:0 ვან ჰოიდონკი (26), 1:1 ვან ბიუკერინგი (27), 2:1, 3:1 ტომასონი (39, 52), 3:2 ვ. სიკორა (55)

**დენ ბოსხი 1:3 ტვენტე**

0:1 ვან დე პაარი (21), 1:1 მიხელსი (61), 1:2 ვან დერ ლეეგტე (69), 1:3 პოლაკი (72პ)

**ტილბურგი 1:1 როდა**

1:0 ბომბარდა (53), 1:1 მატიისენი (58ს.კ.)

**ალკმაარი 0:1 ვალვაიკი**

0:1 კორნელისე (84)

**ჰერენვენი 3:0 სპარტა**

1:0 ზიიმი (31ს.კ.), 2:0 ოლბოკი (42), 3:0 დენებოომი (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 12 | 8 | 2 | 2 | 27:13 | 26 |
| ფეიენოორდი | 11 | 8 | 1 | 2 | 25:7 | 25 |
| ჰერენვენი | 13 | 7 | 3 | 3 | 26:10 | 24 |
| ვიტესი | 13 | 6 | 5 | 2 | 13:7 | 23 |
| ბრედა | 13 | 6 | 3 | 4 | 20:21 | 21 |
| უტრეხტი | 13 | 6 | 2 | 5 | 23:17 | 20 |
| პსვ ეინდჰოვენი | 13 | 6 | 2 | 5 | 22:19 | 20 |
| ტილბურგი | 13 | 4 | 6 | 3 | 19:18 | 18 |
| ნაიმეგენი | 13 | 5 | 3 | 5 | 12:19 | 18 |
| ვალვაიკი | 13 | 5 | 2 | 6 | 15:15 | 17 |
| ალკმაარი | 13 | 4 | 2 | 7 | 14:16 | 14 |
| ტვენტე | 12 | 3 | 5 | 4 | 14:17 | 14 |
| გრონინგენი | 13 | 4 | 2 | 7 | 16:22 | 14 |
| გრააფსხაპი | 13 | 4 | 2 | 7 | 15:25 | 14 |
| დენ ბოსხი | 13 | 2 | 7 | 4 | 16:19 | 13 |
| სპარტა | 13 | 3 | 4 | 6 | 14:28 | 13 |
| როდა | 13 | 3 | 3 | 7 | 14:19 | 12 |
| სიტარდი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:24 | 8 |

## ავსტრია

მე-19 ტური: აუსტრია — ადმირა 0:0; ბრეგენცი — კერნტენი 0:1; რიდი — რაპიდი 2:0; შტურმი — ზალცბურგი 1:2; ტიროლი — გრაცერი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 17 | 13 | 3 | 1 | 38:2 | 42 |
| შტურმი | 17 | 9 | 5 | 3 | 29:14 | 32 |
| გრაცერი | 18 | 9 | 4 | 5 | 34:25 | 31 |
| კერნტენი | 17 | 8 | 3 | 6 | 18:22 | 27 |
| ზალცბურგი | 18 | 7 | 5 | 6 | 20:20 | 26 |
| აუსტრია | 18 | 5 | 6 | 7 | 23:22 | 21 |
| რიდი | 19 | 5 | 6 | 8 | 25:30 | 21 |
| ბრეგენცი | 18 | 5 | 5 | 8 | 21:35 | 20 |
| რაპიდი | 18 | 5 | 3 | 10 | 15:25 | 18 |
| ადმირა | 18 | 2 | 2 | 14 | 10:38 | 8 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

## შვეიცარია

A ჯგუფი. XIX ტური

**ციურიხი 2:3 ლუგანო**

0:1 ჯ. როსი (14), 1:1 ჩაველაშვილი (17), 1:2 ბასტიდა (39), 1:3 ჯ. როსი (45), 2:3 კვენტინი (61)

ციურიხი: პასკოლო, შელდმანი, ა. ბაუმანი (ჯანინი 78), ჩინაბი, კვენტინი, ბალასი, ჯამარაული, მაგრო, ფ. გერერო, ბკალე (შასო 59), ჩაველაშვილი

მწვრთნელი: ჟორჟ ბრეგი

გაფრთხილება: კვენტინი, ბაუმანი, ჩაველაშვილი

4 900 მაყურებელი

**ბაზელი 1:0 აარაუ**

1:0 კუმანტარაკისი (61)

ლევან ხოზირიძე სათადარიგო იყო

**ლოზანა 2:4 გრასჰოპერი**

0:1 კაბანასი (3), 1:1 სიმონი (5), 1:2 მვარუვარი (15), 1:3 ნუნიესი (61), 2:3 ლეანდრო (87), 2:4 პეტრიჩი (90)

**ქსამაქსი 0:0 იანგ ბოისი**

**სერვეტი 2:3 სიონი**

1:0 ლონფატი (32), 1:1 ოიონგი (56), 1:2 მორეირა (67), 2:2 პინტუ (73), 2:3 მფუტი (90)

**სენტ გალენი 1:1 ლუცერნი**

0:1 გიანი (61), 1:1 ხაირო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 19 | 11 | 4 | 4 | 45:31 | 37 |
| სიონი | 19 | 10 | 3 | 6 | 39:25 | 33 |
| ლუგანო | 19 | 9 | 5 | 5 | 34:30 | 32 |
| სენტ გალენი | 19 | 8 | 7 | 4 | 35:29 | 31 |
| გრასჰოპერი | 19 | 9 | 3 | 7 | 41:28 | 30 |
| სერვეტი | 19 | 8 | 5 | 6 | 32:26 | 29 |
| იანგ ბოისი | 19 | 7 | 7 | 5 | 34:25 | 28 |
| ციურიხი | 19 | 6 | 7 | 6 | 22:26 | 25 |
| აარაუ | 19 | 6 | 6 | 7 | 25:22 | 24 |
| ქსამაქსი | 19 | 5 | 7 | 7 | 24:28 | 22 |
| ლუცერნი | 19 | 3 | 3 | 13 | 21:54 | 12 |
| ლოზანა | 19 | 2 | 3 | 14 | 18:46 | 9 |

## დანია

მე-16 ტური: სილკებორგი — ოლბორგი 2:0; ესბიერგი — ბრონდბიუ 0:2; ვაილე — ორჰუსი 0:3; კოპენჰაგენი — ვიბორგი 2:1; ლიუნგბიუ — აკადემისკი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 16 | 12 | 3 | 1 | 42:8 | 39 |
| აკადემისკი | 16 | 8 | 6 | 2 | 26:14 | 30 |
| კოპენჰაგენი | 16 | 8 | 5 | 3 | 24:14 | 29 |
| ოლბორგი | 16 | 8 | 3 | 5 | 24:24 | 27 |
| ესბიერგი | 16 | 8 | 2 | 6 | 22:23 | 26 |
| მიდტიულანდი | 15 | 5 | 7 | 3 | 18:13 | 22 |
| ოდენსე | 15 | 5 | 5 | 5 | 22:23 | 20 |
| ვიბორგი | 16 | 3 | 7 | 6 | 18:21 | 16 |
| ორჰუსი | 16 | 3 | 5 | 8 | 17:26 | 14 |
| ლიუნგბიუ | 16 | 2 | 7 | 7 | 16:26 | 13 |
| ვაილე | 16 | 3 | 4 | 9 | 20:40 | 13 |
| სილკებორგი | 16 | 1 | 4 | 11 | 12:29 | 7 |

## საბერძნეთი

მე-6 ტური: იონიკოსი — პანიონიოსი 1:1; აკრატიტოსი — პანაჰაიკი 3:1; პაოკ — ეგალეო 3:1; ოფი — აეკ 0:1; ოლიმპიაკოსი — ქსანთი 1:1; პანათინაიკოსი — არისი 2:1; ირაკლისი — ეთნიკოსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 6 | 5 | 0 | 1 | 11:3 | 15 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 4 | 2 | 0 | 16:5 | 14 |
| პანათინაიკოსი | 6 | 3 | 2 | 1 | 17:6 | 11 |
| ოფი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:8 | 10 |
| პაოკ | 6 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| არისი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 |
| აკრატიტოსი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:6 | 8 |
| ქსანთი | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 8 |
| ეთნიკოსი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 |
| ირაკლისი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:9 | 8 |
| პანიონიოსი | 6 | 0 | 4 | 2 | 7:11 | 4 |
| პანაჰაიკი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:18 | 4 |
| იონიკოსი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:11 | 3 |
| ეგალეო | 6 | 0 | 1 | 5 | 7:18 | 1 |

# შოთა ხსნის და ხურავს

## შოტლანდია

XV ტური

**რეინჯერსი 4:0 დანფერმლაინი**

1:0 არველაძე (6), 2:0, 3:0 ფლო (50, 55), 4:0 არველაძე (59)

რეინჯერსი: კლოსი, ამორუზო, კონტერმანი, ბოლი, რიკსენი, რეინა, ფერგიუსონი, ნუმანი, კანიჯა, ფლო (ლოვენკრანდსი 70), შ. არველაძე

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

გაძევება: როსი (80, „დანფერმლაინი")

48 554 მაყურებელი

**ლივინგსტონი 1:0 დანდი**

1:0 უილსონი (67)

დანდი: ლენგფილდი, სმიტი, ხიზანიშვილი, დელ რიო, ბეგეტო, რაე, ქიმბაია, კარანსა (არტერო 63), რობერტსონი, მილნი (კაბალიერო 69), სარა

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

გაძევება: აურელიო (38, „ლივინგსტონი"), დელ რიო (76, „დანდი")

6 112 მაყურებელი

**აბერდინი 2:0 ჰიბერნიანი**

1:0 ვინტერსი (90), 2:0 ზერუალი (90)

**დანდი იუნაიტედი 2:1 სენტ ჯონსტონი**

1:0 ალჯოფრი (63), 1:1 კონოლი (64), 2:1 ჰამილტონი (74)

გაძევება: ჰამილტონი (79, „იუნაიტედი"), დოდსი (80, „სენტ ჯონსტონი")

**ჰარტსი 0:1 სელტიკი**

0:1 ლარსონი (44პ)

**კილმარნოკი 2:0 მოზერუელი**

1:0 ბოიდი (40), 2:0 დი ჯაკომო (80)

**თითქოს** სულ ახლახან იყო, „რეინჯერსის" მწვრთნელ დიკ ადვოკაატს გაგდების საფრთხე რომ ემუქრებოდა, მაგრამ მას მერე გლაზგოელებმა 12 მატჩიდან 11 მოიგეს და, მართალია, ლიდერ „სელტიკთან" სხვაობა ვერ შეამცირეს (რაც, ცხადია, უმთავრესი მიზანია), ჰოლანდიელს სამუშაო შეუნარჩუნეს. თითქოს ახლიდან დაიბადაო, წერს ბრიტანული პრესა „რეინჯერსზე".

თანაქალაქელ მტერთან მიახლოების კარგი შანსი „ჩაფრებს" ამ კვირის ბოლოს ეძლევათ, როცა ლიდერს თავისი ფეხით ესტუმრებიან. მანამდე, ხუთშაბათს, გლაზგოელებს „პარი სენ ჟერმენი" ელის უეფას თასზე. მართლაც მნიშვნელოვანი კვირაა.

წინა შაბათს კი სქოთურ ლიგაში ამ ბოლო დროისთვის დამახასიათებელი რამ მოხდა: „რეინჯერსმა" უპრობლემოდ და დიდი ანგარიშით იმარჯვა, „სელტიკმა" კი კვლავ მინიმალურად, შვედი ჰენრიკ ლარსონის პენალტით მოიგო. აკი გადაასწრეს კიდეც პროტესტანტებმა კათოლიკეებს გატანილი გოლების რაოდენობით, მაგრამ მთავარი, ისევე როგორც ყველგან, შოტლანდიაშიც ქულაა.

შოთა არველაძეს ექვს რეინჯერსულ თამაშში ექვსი ბურთი აქვს შეგდებული, ტორე ანდრე ფლოს კი 12 სალიგო მატჩში — 13. სწორედ ამ ორი ფორვარდის წყვილ-წყვილი გოლით იხარა შაბათს „აიბროქსმა" და დაძაბული კვირის წინ ჩინებულ განწყობაზე დააყენა. კვლავ გაამართლა ადვოკაატის ტაქტიკამ — მან ისევ სამი თავდამსხმელით თამაში ირჩია და ამის უპირატესობის დამტკიცებას საფუძველი ქართველმა ჩაუყარა: მე-6 წუთზე შოთამ კანიჯას პასით ისარგებლა და სტუმართა ჰოლანდიელ მეკარე მარკო რუიტენბეეკს პირველი ბურთი გაუტანა. არველაძემვე დახურა თამაშის შედეგი, როცა მასპინძელთა ცხრაწუთიანი და სამგოლიანი ბლიც-კრიგი ჰოლანდიელი რიკსენის პასის ზუსტი გამოყენებით დააგვირგვინა და თავის მწვრთნელს პარიზში გაფრენა დაუჩქარა: მორჩა თამაშიო, თქვა ადვოკაატმა და 62-ე წუთზე მომავალი მეტოქის დასაზვერად გაეშურა. ამის მერე მინდორზე საინტერესო არაფერი მომხდარა, დანფერმლაინელთა მაროკოელი მცველის იუსუფ როსის გაძევებას თუ არ ჩავთვლით — ამან მეკარესთან პირისპირ გასული კანიჯა მოცელა.

წითელი ბარათი არც მეორე „ჩვენებური" გუნდის თამაშს მოკლებია. ლივინგსტონის „ვესტ ლოთიან კურიერ სტედიუმზე" (გადასარევი სახელწოდებაა, არა?) თავის ისტორიაში პირველად მოთამაშე „დანდიმ" პირველ ტაიმში მიღწეული სათამაშო და რიცხობრივი უპირატესობა (მასპინძლებს კარლოს აურელიო გაუძევა მსაჯმა) ვერ გამოიყენა, მეორე ნახევრის დასაწყისში კი „დანდის" ყოფილი ფეხბურთელის, ბობი უილსონის ვაჟისგან, ბარისგან, მატჩის ერთადერთი გოლი გაუშვა და დამარცხდა. არადა, ბოლო მეოთხედში სტუმრებს, ძირითადად თემურ ქეცბაიას ზუსტი პასების წყალობით, რამდენიმე ნაღდს მიახლოებული მომენტი შეექმნათ, მაგრამ პრემიერლიგის დებიუტანტთა მეკარე კალკინმა (რუსი არ გეგონოთ) ანგარიშის გათანაბრება არ დაანება. თანაც დ[illegible]თავრებამდე 15 წუთით ადრე დანდ[illegible]ლებმა არგენტინელი ვალტერ დელ რიო დაკარგეს ორი გაფრთხილების გამო.



რეინჯერსი — დანფერმლაინი. შოთა არველაძემ მეტოქეც ამოაყირავა

REUTERS ფოტო

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 14 | 13 | 1 | 0 | 32:5 | 40 |
| რეინჯერსი | 14 | 10 | 3 | 1 | 35:9 | 33 |
| ლივინგსტონი | 14 | 7 | 5 | 2 | 20:11 | 26 |
| აბერდინი | 15 | 8 | 2 | 5 | 24:21 | 26 |
| დანდი იუნაიტედი | 15 | 5 | 4 | 6 | 18:28 | 19 |
| ჰიბერნიანი | 14 | 5 | 3 | 6 | 24:21 | 18 |
| კილმარნოკი | 15 | 5 | 3 | 7 | 15:19 | 18 |
| დანდი | 15 | 5 | 3 | 7 | 15:24 | 18 |
| ჰარტსი | 15 | 5 | 1 | 9 | 18:21 | 16 |
| დანფერმლაინი | 15 | 5 | 0 | 10 | 20:31 | 15 |
| მოზერუელი | 15 | 3 | 4 | 8 | 16:28 | 13 |
| სენტ ჯონსტონი | 15 | 1 | 3 | 11 | 11:30 | 6 |



ლანსი — სედანი. კაცი კაცს შეეტყორცნა, ბურთი გაიტყორცნა

REUTERS ფოტო

# ნასტვენი ლიდერი

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XIV ტური

**ოსერი 2:1 ლილი**

1:0 ჯ. სისე (39), 2:0 ლაშუერი (82), 2:1 კამი (90ს.კ.)

**სოშო 2:0 მეცი**

1:0 სანტუში (35), 2:0 ტრაპასო (77)

**პსჟ 1:1 გენგამი**

1:0 უგო ლეალი (57), 1:1 ჟაკომ საქი (86)

**მონპელიე 2:1 ბასტია**

1:0 მანსარე (19), 2:0 მუულიდა (60), 2:1 ნალისი (75)

**ლორიანი 0:3 ლიონი**

0:1 კარიერი (7), 0:2 ს. ანდერსონი (29), 0:3 გოვუ (31)

**ლანსი 1:0 სედანი**

1:0 ბლანშარი (11)

**ბორდო 2:3 ტრუა**

1:0 პაულეტა (16), 1:1 გუსე (45), 1:2 ლოკო (49), 1:3 გუსე (62), 2:3 კრისტიანი (69)

**რენი 2:0 ნანტი**

1:0 მონტერუბიო (51პ), 2:0 რევეილიე (75)

**მონაკო 1:1 მარსელი**

1:0 ნონდა (54პ), 1:1 ბაკაიოკო (70)

**შინაურ** კედლებში „სედანის" დამმარცხებელი ლანსელები ჩემპიონატს უკვე ოთხქულიანი უპირატესობით ლიდერობენ, მაგრამ ამას მათი ქომაგებისთვის ხელი არ შეუშლია მატჩის შემდეგ გასახდელში სტვენით გაეცილებინათ.

ჩრდილოელები ჯერჯერობით საშუალოდ თამაშში 2,21 ქულას იხვეჭენ და თუ ასევე გააგრძელეს, სეზონის ბოლოს 75 ქულა დაუგროვდებათ, რაც მთელი 7 ქულით მეტი იქნება წინა სეზონში ჩემპიონ „ნანტის" მონაგარზე. ასეთი მშვენიერი მაჩვენებლის მიუხედავად, „სისხლისა და ოქროსფერებმა" სედანელებთან მეტად ულიმღამოდ ითამაშეს.

ერთადერთი გოლის ავტორი ჟოსლენ ბლანშარი აღიარებს, რომ მისმა გუნდმა გაჭირვებით მოიგო, მაგრამ ამავე დროს ეს გამარჯვება დაუმსახურებელი ნამდვილად არ იყო. „სედანელები ძალიან ძლიერად თამაშობდნენ და ბევრი ჩვენს ადგილზე ამ მატჩს ნაღდად ვერ მოიგებდა" — თქვა ბლანშარმა.

„ტახებს", მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის დაწყებიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ ათნი დარჩნენ, მეკარე ნიკოლა საშის გაძევების გამო, გოლის გატანის რამდენიმე რეალური შანსი მაინც ჰქონდათ. მასპინძელთა მწვრთნელის ჟოელ მიულერის აზრით, ეს პარადოქსი იყო: „საშის გაძევების შემდეგ „სედანი" აჯანყდა და მატჩის გაკონტროლებას ველარ ვახერხებდით. ხშირად ამბობენ-ხოლმე, რომ ლიდერებს ბედი წყალობთო. დღეს კი ვიტყოდი, რომ „ლანსს" ძალიან გაუღიმა ბედმა, რადგან მის კარს გიიომ ვარმიუზი იცავს. ჩვენი ქომაგები დიდად შეცდნენ, როცა ჩემპიონატს ასეთ მაღალ დონეზე ვატარებთ, ერთი თამაშის ჩაგდება, მით უმეტეს, ქულების დაუკარგავად, ტრაგედია არ არის. ეს დიდ გუნდებს ეპატიებათ. თუ ჩვენ ასე ცუდები ვართ, მაშინ რაღა უნდა თქვან ბორდოელებმა, რომლებმაც შინ „ტრუასთან" 2:3 წააგეს?"

**გაგი გურული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 14 | 9 | 4 | 1 | 22:11 | 31 |
| ლიონი | 14 | 8 | 3 | 3 | 28:13 | 27 |
| ოსერი | 14 | 7 | 5 | 2 | 22:14 | 26 |
| ლილი | 14 | 7 | 5 | 2 | 17:11 | 26 |
| სოშო | 14 | 6 | 5 | 3 | 21:14 | 23 |
| ტრუა | 14 | 7 | 2 | 5 | 19:16 | 23 |
| ბორდო | 14 | 5 | 6 | 3 | 11:8 | 21 |
| პსჟ | 14 | 4 | 8 | 2 | 16:12 | 20 |
| რენი | 14 | 5 | 2 | 7 | 16:24 | 17 |
| მონაკო | 14 | 4 | 4 | 6 | 14:15 | 16 |
| ბასტია | 14 | 5 | 1 | 8 | 14:18 | 16 |
| გენგამი | 14 | 4 | 4 | 6 | 12:22 | 16 |
| მონპელიე | 14 | 3 | 6 | 5 | 10:12 | 15 |
| მარსელი | 14 | 3 | 6 | 5 | 9:11 | 15 |
| ლორიანი | 14 | 4 | 3 | 7 | 22:26 | 15 |
| მეცი | 14 | 4 | 1 | 9 | 8:16 | 13 |
| სედანი | 14 | 2 | 5 | 7 | 12:19 | 11 |
| ნანტი | 14 | 2 | 4 | 8 | 9:20 | 10 |

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. I ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

### ბაიერნი — მანჩესტერი

**სავარაუდო შემადგენლობები**

კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ფინკი, ჰარგრივსი, ეფენბერგი, ელბერი, იანკერი

ბარტეზი, გ. ნევილი, ბრაუნი, ბლანი, ირვინი, ბექემი, ვერონი, კინი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროოი

მიუნხენი. „ოლიმპიაშტადიონი". მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

### ბოავიშტა — ნანტი

**სავარაუდო შემადგენლობები**

რიკარდუ, ფრეშაუ, ერივენი, პაულუ ტურა, პედრუ ემანუელი, გლაუბერი, ალეშანდრე, მარტელინიუ, სერჟინიუ, დუდა, ელპიდიუ სილვა

ლანდრო, არმანი, ლასპალი, ფაბრი, ჟილე, ბერსონი, ჯემბა, ოლემბე, და როშა, ზიანი, ანდრე

პორტუ. „ბესა". მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)

# ბაიერნი შეაშინეს: კაპიტანმა კითხვა არ იცის



2001 წლის 18 აპრილი. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის საპასუხო, მიუნხენურ მატჩში „ბაიერნმა" „მანჩესტერი" 2:1 დაამარცხა

**მოდით,** თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ „ბაიერნ" — „მანჩესტერ იუნაიტედის" ღლევანდელ მატჩის წინ მათი დაპირისპირების ისტორიაზე არაფერს ვიტყვით, რაკი ჩემპიონთა ლიგის 1999 წლის ფინალსა და 2001 წლის მეოთხედფინალზე იმდენი ითქვა და დაიწერა, გამეორება მოსაბეზრებელი უნდა იყოს.

თუ ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ვერდერ"

— „ბაიერნის" მატჩი ნახეთ, ან მიმოხილვა უკვე წაიკითხეთ, მიუნხენელთა კაპიტნის შტეფან ეფენბერგის დაბრუნების ამბავი მოგხვდებოდათ თვალში. „მანჩესტერთან" ის სასტარტო შემადგენლობაში იქნება" — განაცხადა გერმანელთა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა და არად ჩააგდო ის ფაქტი, რომ სამთვენახევრიანმა მკურნალობამ ეფენბერგის თამაშის ხარისხს თავისი დაღი დაასვა. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ „ვერდერთან" ეფეს თამაშის სურათის წაკითხვა უჭირდა და პასებსაც ჩვეული სიზუსტით ვერ არიგებდა. ამის თაობაზე „ბილდმა" დაწერა: „ეფენბერგი დაბრუნდა, ფრთხილად... ბაიერნო", რითაც მიანიშნა, მიუნხენელები უკაპიტნოდ თამაშს და, რაც მთავარია, მოგებას მიეჩვივნენ და სანამ ის ფორმაში შევა, გაუჭირდებათო. ალბათ, ამის პასუხია ჰიცფელდის სიტყვები: „ეფეს მიმართ მომთმენნი უნდა ვიყოთ, კაცს ამდენი ხანია, არ უთამაშია და რა გასაკვირია, რაღაცეები არ გამოუვიდეს. ვთვლი, რომ ბრემენში მას ცუდად არ უთამაშია, მე უარესს ველოდი".

ეფენბერგის დაბრუნების მიუხედავად, „ბაიერნს" კვლავ აწუხებს ტრავმირებულთა სიმრავლე, რაც უპირველესად ნახევარდაცვას ეხება. არ მომჯობინებულან იენს იერემისი და მეჰმეთ შოლი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყმაწვილი ინგლისელი ოუენ ჰარგრივსი სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს. საერთოდ კი, ბავარიელები კარგი განწყობილებით ელიან დღევანდელ მატჩს. მათმა კომერციულმა დირექტორმა ული ჰოინესმა თქვა, რთული მატჩი იქნება, მაგრამ მოგება შეგვიძლია და მოვიგებთ კიდეცო. ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ კი აღნიშნა, ევროპაში კვლავაც საუკეთესონი ვართო, რაც, სხვათა შორის, ალექს ფერგიუსონმაც დაადასტურა.

ინგლისელთა სავარაუდო სასტარტო შემადგენლობაში როი კინიც მოიხსენიება. არადა, შეგახსენებთ, რომ მას მუხლი სავალალო მდგომარეობაში აქვს და წესით, ექიმების ნებართვის გარეშე სახლიდანაც არ უნდა გადიოდეს. ეს ფაქტიც ამ მატჩის უდიდეს მნიშვნელობაზე მეტყველებს. მიუნხენში გაემგზავრა ხუან სებასტიან ვერონიც, რომელმაც შაბათს „ლესტერთან" მატჩი გამოტოვა.

„იუნაიტედს" არ ეყოლება რონი იონსენი. მისი მუხლის ტრავმის ამბავი ახალი არ არის. სამაგიეროდ, რაიან გიგზმა ჯანმრთელობის პრობლემები დროულად მოაგვარა. მანჩესტერელთა მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი კი ისევ მიმართავს ახალ სისტემას, რომლის მიხედვითაც გუნდი ერთი თავდამსხმელით ითამაშებს. ეს რუუდ ვან ნისტელროოი იქნება.

ჯგუფის მეორე მატჩში „ბოავიშტა" „ნანტს" უმასპინძლებს და ფრანგებს მეტოქის თავქარიანობის იმედი აქვთ. „პირველ ჯგუფურ ეტაპზე სერიოზულ მეტოქედ არავინ გვთვლიდა და დაისაჯნენ. იმედი მაქვს, არც ახლა დაგვაფასებენ და ამათაც დავსჯით" — თქვა ნანტელთა ფორვარდმა პიერ-ივ ანდრემ. ფრანგები იმასაც ამბობენ, საიმედო დაცვა გვყავს, რაც „ლაციოსთან" მატჩშიც დავამტკიცეთო.

ეგებ ასეც იყოს, მაგრამ თავდასხმაში „ნანტს" გვარიანი პრობლემები აქვს, რაკი ვიორელ მოლდოვანი და ვიქტორ ბონილია დაშავებულნი არიან.

პრობლემები არც პორტუგალიელებს აკლიათ. მათ ბოლივიელ ნახევარმცველს, საჯარიმოების დიდოსტატ ერვინ სანჩესს პარასკევს, სათასო მატჩისას, კოჭი უტკენია და თითქმის სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ვერ ითამაშებს. მას სავარაუდოდ ბრაზილიელი ალეშანდრე გულარტი შეცვლის. საუკეთესო ფორმაში არც კაპიტანი პედრუ ემანუელია, თუმცა მასზე ამბობენ, მატჩამდე მომჯობინდებაო. აი, არმანდო პეტი კი „ნანტს" ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაუპირისპირდება.

**ირაკლი ნინიძე**

## B ჯგუფი

### ლივერპული — ბარსელონა

**სავარაუდო შემადგენლობები**

დუდეკი, კარაგერი, რიისე, ანშო, ჰიიპია, ბერგერი, მერფი, მაკალისტერი, ჯერარდი, ოუენი, ჰესკი

ბონანო, რაიციგერი, პ. ანდერსონი, ფ. დე ბური, კოკო, გაბრი, ხავი, კოკუ, ლუის ენრიკე, რივალდო, კლუივერტი

ლივერპული. „ენფილდ როუდი". მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)

### გალათასარაი — რომა

**სავარაუდო შემადგენლობები**

მონდრაგონი, ბიულენთ ქორქმაზი, ემრე ასიქი, კაპონე, ჰაქან უნსალი, სერგენი, ვიქტორია, ბიულენთ აკინი, არიფი, უმით კარანი, ჰასან შაში

ანტონიოლი, კაფუ, ლიმა, ალდაირი, ძებინა, კანდელა, სამუელი, ტომაზი, ასუნსაო, ტოტი, ბატისტუტა

სტამბოლი. „ალი სამი იენი". მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)

# ტომპსონმა გაიხსენა და დაივიწყა

**„ბარსელონას"** თავდამსხმელი პატრიკ კლუივერტი გულშემატკივრებს დაპირდა, „ლივერპულს" შარშანდელ წყენას არ ვაპატიებთ და აუცილებლად მოვუგებთო. ეს გუნდები ერთმანეთს უეფას თასის შარშანდელ ნახევარფინალშიც შეხვდნენ და ბრიტანელებმა ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვეს. მაშინ კლუივერტმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და ის პენალტი კატალონიელთათვის საბედისწერო გამოდგა: „ძალიან გავიხარებ თუ შარშანდელი გაუგებრობის გამოსწორების საშუალება მომეცემა — ამბობს კლუივერტი — ლივერპულში მხოლოდ გასამარჯვებლად მივდივართ, თუმცა სიმართლეს გეტყვით, ჩვენი მთავარი ამოცანაა არ წავაგოთ."

„ესპანეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლას პალმასთან" ფრედ ვითამაშეთ. ვფიქრობ, „ენფილდზე" მაყურებელი სულ სხვა „ბარსელონას" იხილავს — დასძენს კახა კალაძის ყოფილი თანაგუნდელი, ამჟამად კატალონიელი ფრანჩესკო კოკო — სხვაგვარად არაფერი გამოვა. ძალიან რთული მატჩი გველის. ჩვენ ხომ მაიკლ ოუენის წინააღმდეგ უნდა ვითამაშოთ, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია."

„ბარსას" დამარცხების მერე შარშანდელი უეფას თასის ფინალში „ლივერპულმა" ესპანურსავე „ალავესს" მოუგო და ეს ჯილდო ისტორიაში მეორედ მოიპოვა. პირველად კი 25 წლის წინ, 1976-ში იმარჯვა და ნახევარფინალში მაშინაც... „ბარსელონა" ჩამოიცილა გზიდან. „წითლებმა" „კამპ ნოუზე" 1:0 იმარჯვეს, შინ „ენფილდზე" კი 1:1 ითამაშეს. მაშინ ერთ მხარეს ჟერარ ულიეს ამჟამინდელი თანაშემწე და დროებითი მწვრთნელი ფილ ტომპსონი ირჯებოდა, მეორე მხარეს „ბარსას" დამრიგებელი კარლოს რექსაჩი, საინტერესო ის არის, რომ საპასუხო მატჩში გოლები სწორედ ამათ გაიტანეს. თუ რექსაჩისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო, ტომპსონი მცველი გახლდათ და ცხადია, თავისი გოლი სხვაგვარად დაამახსოვრდა: „ კარიერაში ბევრი გოლი არ გამიტანია, ამიტომ ის ბურთი ძალიან კარგად მახსოვს — იხსენებს ტომპსონი — რექსაჩმა რამდენიმე წუთში გაათანაბრა. ძალიან ნერვიული თამაში იყო." მერე ფინალში „ლივერპულმა" „ბრიუგეს" მოუგო და დაიწყო „დიდი გუნდის" ისტორია. მომდევნო ორ წელიწადს „წითლებმა" ჩემპიონთა თასი არავის დაანებეს და ინგლისელების თავისებურება მოგეხსენებათ, ახლაც სჯერათ, რომ ისტორია გამეორდება და „ლივერპული" ძველი დიდების გზას დაადგება.

„ჩემს მოთამაშეებს გამარჯვებისთვის საკმარისი მოტივაცია გააჩნიათ — აცხადებს ტომპსონი — ძველი ამბავი დავიწყებულია, ახლა მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ. ეს და მომავალ კვირას „რომასთან" მატჩები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჯგუფში საბოლოო განლაგებისთვის, ამიტომ თავს არ დავზოგავთ."

მასპინძლებს დისკვალიფიცირებული გერმანელი ნახევარმცველი ჰამანი, დაშავებული კაპიტანი რედნაპი და ექვსი კვირით ფეხბურთს ჩამოშორებული ინგლისის ნაკრების მუახაზელი ბარმბი დააკლდებათ. ამ უკანასკნელმა ახლახან მუხლის ოპერაცია გაიკეთა. სტუმრები კი ასევე დასჯილ პუიოლს ვერ ათამაშებენ.

ფაბიო კაპელოს „რომა" სტამბოლში „გალათასარაის" ეწვევა. რომაელებს არგენტინელი შემტევი გაბრიელ ბატისტუტა დაუბრუნდებათ. „ბატიგოლმა" ოქტომბრის ბოლოს, „ლაციოსთან" რომაულ დერბიში მიიღო ტრავმა და ვარჯიში ახლახან განაახლა. კაპელო მისი მდგომარეობით კმაყოფილია, თუმც შიშობს, რომ უცაბედმა დიდმა დატვირთვამ მასზე, შესაძლოა, ცუდად იმოქმედოს.

იტალიელი ჟურნალისტების ინფორმაციით, ბატისტუტა ასევე ტრავმირებული მარკო დელვეკიოს ადგილს დაიკავებს, რომელიც წინა შაბათს „ინტერთან" შეხვედრაში დაშავდა.

„გალათასარაის" რუმინელ მწვრთნელ მირჩა ლუჩესკუს კი დაცვის მოთამაშეთა გამოჯანმრთელება ახარებს. კაპიტანი ბიულენთ ქორქმაზი და ბრაზილიელი კაპონე სრულად განკურნებულან და დღეს ტოტი-ბატისტუტას შემტევი წყვილის გაუვნებლებას შეეცდებიან.

**სოლომონ გულისაშვილი**





კარლოს რექსაჩი და ფილ ტომპსონი: ჩვენ ხომ ერთმანეთისთვის ჭეელობაშიც გაგვიტანია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წარმოგიდგენთ

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XIV ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 012 | ფიურტი-უნტერჰახინგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 013 | დუისბურგი-ბოხუმი | 2.5 | 3,0 | 2.5 |
| 2200 | 014 | აინტრახტი-ჰანოვერი | 2.2 | 3.0 | 3,1 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). გადადებული მატჩი.**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 021 | ფორტუნა-მაგდებურგი | 2.3 | 3.2 | 2.7 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XVIII ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 022 | ლევერკუზენი(მ.)-ბრაუნშვაიგი | 2.8 | 3,1 | 2.3 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XIX ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 033 | ბურგჰაუზენი-კიკერსი | 1.45 | 3.5 | 7.0 |
| | 034 | ბურგჰაუზენი-კიკერსი 0:1 | 2,0 | 3.2 | 2.3 |
| 22.15 | 035 | დარმშტადტი-ჰოფენჰაიმი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 055 | ნორვიჩი-ქრიუ | 1.45 | 3.6 | 6,0 |
| | 056 | ნორვიჩი-ქრიუ 0:1 | 2,0 | 3.2 | 2,3 |
| 23.45 | 057 | უიმბლდონი-უოლსოლი | 1.6 | 3,3 | 5.3 |
| 23.45 | 058 | პრესტონი-ბრედფორდი | 1,8 | 3,1 | 4.0 |

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 059 | ჯილინგემი-კრისტალ პალასი | 2,7 | 3,2 | 2,3 |

**ინგლისი. I დივიზიონი. XXI ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 060 | ბარნსლი-გრიმსბი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 061 | ბარნსლი-გრიმსბი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**ინგლისი. II დივიზიონი. XIX ტური**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 075 | ბლეკპული-ნოტსი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.45 | 076 | ბორნმუთი-პორტ ვეილი | 1.8 | 3,2 | 3,8 |
| 23.45 | 077 | ბერი-ბრისტოლი | 2.5 | 3,0 | 2.5 |
| 23.45 | 078 | კემბრიჯი-რექსემი | 1,75 | 3.2 | 4.0 |
| 23.45 | 079 | კარდიფი-კოლჩესტერი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 080 | ჰადერსფილდი-ბრენტფორდი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 081 | რედინგი-ტრანმერი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.45 | 082 | უიგანი-ჩესტერფილდი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 23.45 | 083 | უიკომბი-ნორთჰემპტონი | 1,5 | 3,4 | 6,5 |

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 084 | ქუინს პარკი-სუინდონი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 23.45 | 085 | სტოკი-ოლდემი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.45 | 086 | ბრაიტონი-პიტერბორო | 1.5 | 3.5 | 6,0 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XIX ტური**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 099 | დარლინგტონი-როჩდეილი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 100 | როვერსი-მენსფილდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 101 | კარლაილი-შრუსბერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 102 | ჩელტენჰემი-მაკლსფილდი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 23.45 | 103 | ჰარტლპული-ჰალიფაქსი | 1.65 | 3,3 | 4,7 |
| 23.45 | 104 | ლეიტონი-ოქსფორდი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 105 | ლინკოლნი-კიდერმინსტერი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 106 | ლუტონი-ჰალი | 1,85 | 3,2 | 3.6 |
| 23.45 | 107 | რაშდენი-სკანთორპი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.45 | 108 | საუთენდი-პლიმუთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.45 | 109 | ტორკი-ექსეტერი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.45 | 110 | იორკი-სუონსი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

**ინგლისი. III დივიზიონი. XX ტური**

23 ნოემბერი

| | | |
|---|---|---|
| 23.45 | 111 | მენსფილდი-იორკი |
| 23.45 | 112 | სუონსი-ჰარტლპული |

**იტალია. სერია „ბ“. გადადებული მატჩები.**

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 142 | ბარი-სიენა | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 21.30 | 143 | რეჯინა-მესინა | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 21.30 | 144 | სამპდორია-ჩიტადელა | 1,65 | 3,0 | 5,6 |

**იტალია. სერია „ბ“. XIV ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 145 | კალიარი-ანკონა | 2.0 | 2.7 | 3,6 |

**პორტუგალია. I ლიგა. XII ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 197 | გიმარაეში-სეტუბალი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. XIV ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 215 | ალკმაარი-დენ ბოსხი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 226 | ემენი-ზვოლე | 2,0 | 3,3 | 3,2 |
| 23.00 | 227 | დენ ჰააგი-ტელსტარი | 1,6 | 3,4 | 5,0 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. XV ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 228 | ჰაარლემი-ვოლენდამი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 23.00 | 229 | დენ ჰააგი-ჰერაკლესი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.00 | 230 | ზვოლე-ჰელმონდი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 231 | ზვოლე-ჰელმონდი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 232 | როზენდაალი-მაასტრიხტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 233 | როზენდაალი-მაასტრიხტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 234 | ოსი-ექსელსიორი | 3,6 | 3,4 | 1,75 |
| 23.00 | 235 | კამბური-ვენლო | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 23.00 | 236 | დორდრეხტი-იგლსი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

**ჩეხეთი. XV ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 268 | სიგმა-ბანიკი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**პოლონეთი. I ფინალური ჯგუფი. II ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 277 | კატოვიცე-რუხი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

**პოლონეთი. II ფინალური ჯგუფი. II ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 281 | ზაგლებე-ვიძევი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**თურქეთი. XIII ტური**

23 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 285 | გიოზთეფე-ფენერბაჩე | 3,6 | 3,1 | 1,9 |

**ავსტრია. გადადებული მატჩები.**

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 315 | შტურმი-ადმირა | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 316 | შტურმი-ადმირა 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.30 | 317 | ბრეგენცი-გრაცერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 318 | კერნტენი-ზალცბურგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |

**პოლონეთი. თასი. მეოთხედფინალი. I წრე.**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 346 | ლეგია-რუხი | 1,4 | 3,8 | 7,0 |

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 347 | ლეხ ლოძი-ვისლა | 5,3 | 3,5 | 1,55 |
| 20.30 | 348 | პლოცკი-ხეიტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 349 | ამიცა-გროცლინი | 1,45 | 3,6 | 6,5 |

**ჩემპიონთა ლიგა. I ტური**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 401 | ბაიერნი-მანჩესტერი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 23.45 | 402 | ლივერპული-ბარსელონა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 23.45 | 403 | ბოავიშტა-ნანტი | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 23.45 | 404 | გალათასარაი-რომა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 405 | პანათინაიკოსი-პორტუ | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.45 | 406 | სპარტა-რეალი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 23.45 | 407 | იუვენტუსი-ლევერკუზენი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 23.45 | 408 | დეპორტივო-არსენალი | 1,75 | 3,2 | 4.0 |

**შესარჩევი მატჩი. პლეი-ოფი.**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12.45 | 431 | ავსტრალია-ურუგვაი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

**კალათბურთი**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03:30 | 501 | ტორონტო-დეტროიტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 04.00 | 502 | ჩიკაგო-ატლანტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 503 | ვაშინგტონი-შარლოტი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 05.00 | 504 | მაიამი-მინესოტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.30 | 505 | დალასი-სიეტლი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07.00 | 506 | პორტლენდი-ჰიუსტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 07:30 | 507 | გოლდენ სტეიტი-ნიუ იორკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 07.30 | 508 | კლიპერსი-ლეიკერსი | 2,8 | 12,0 | 1,3 |

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 509 | ფილადელფია-დეტროიტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.00 | 510 | კლივლენდი-მემფისი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 04.00 | 511 | შარლოტი-დალასი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 04.00 | 512 | ბოსტონი-ატლანტა | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 513 | ორლანდო-მინესოტა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.00 | 514 | მილუოკი-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 6,0 |
| 05.30 | 515 | სან ანტონიო-სიეტლი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 06.00 | 516 | დენვერი-ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 06.00 | 517 | ფინიქსი-ნიუ იორკი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 06.00 | 518 | იუტა-ნიუ ჯერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 07.00 | 519 | საკრამენტო-პორტლენდი | 1,4 | 12,0 | 2,3 |

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 520 | ინდიანა-ვაშინგტონი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 521 | ტორონტო-მილუოკი | 1,55 | 12,0 | 1,9 |
| 07.30 | 522 | კლიპერსი-ნიუ ჯერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

**ჰოკეი.**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 552 | ოტავა-ვანკუვერი | 1,65 | 4.0 | 2.5 |
| 04.00 | 553 | ფილადელფია-ნიუ ჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 554 | მონრეალი-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.30 | 555 | ტამპა ბეი-ანაჰაიმი | 1.8 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 556 | დეტროიტი-ნეშვილი | 1,4 | 4,0 | 3.4 |
| 05.00 | 557 | რეინჯერსი-კოლორადო | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 06.00 | 558 | ედმონტონი-სტ. ლუისი | 1,75 | 4,0 | 2.3 |
| 06.00 | 559 | კალგარი-ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 06.00 | 560 | ფინიქსი-მინესოტა | 1.6 | 4.0 | 2.7 |

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 561 | აილენდერსი-კოლორადო | 1,75 | 4,0 | 2,3 |
| 04.00 | 562 | ვაშინგტონი-ტამპა ბეი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 04.00 | 563 | კოლუმბუსი-დეტროიტი | 2,5 | 4,0 | 1,65 |
| 04.30 | 564 | ბუფალო-ტორონტო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.30 | 565 | პიტსბურგი-ვანკუვერი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 566 | ფლორიდა-ანაჰაიმი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 05.00 | 567 | ნეშვილი-ჩიკაგო | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 05.30 | 568 | დალასი-კაროლინა | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 07.30 | 569 | სან ხოსე-მინესოტა | 1,6 | 4,0 | 2,7 |

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 570 | ოტავა-კალგარი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.00 | 571 | ატლანტა-მონრეალი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 06.00 | 572 | ედმონტონი-ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,0 | 3.0 |

| I ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 20 ნოემბერი | | | | | | |
| 23.45 | 701 | ბაიერნი-მანჩესტერი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.45 | 702 | ლივერპ-ბარსელონა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 23.45 | 703 | ბოავიშტა-ნანტი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 704 | გალათასარაი-რომა | 3,8 | 10,0 | 20.0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 | 705 | ბორდო-როდა | 1.6 | 15,0 | 30,0 | 2,8 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 21.00 | 706 | ჰაპოელი-ლოკომოტივი | 3.8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3.8 |
| | | | | | 21 ნოემბერი | | | | | | |
| 23.45 | 707 | პანათინაიკოსი-პორტუ | 2,8 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 23.45 | 708 | სპარტა-რეალი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 23.45 | 709 | იუვენტუსი-ლევერკ | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,3 | 4,7 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.45 | 710 | დეპორტივო-არსენალი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| | | | | | 22 ნოემბერი | | | | | | |
| 21.00 | 711 | სერვეტი-ჰერტა | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 5,0 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 21.15 | 712 | კოპენჰაგენი-დორტმუნდი | 4.210,0 | 20,0 | 5,6 | 5,0 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 | |
| 21.30 | 713 | პარმა-ბრონდბი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,3 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 21.30 | 714 | პაოკ-პსვ | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,7 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 22.00 | 715 | ლიბერეცი-მალიორკა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 22.30 | 716 | ბრიუგე-ლიონი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 23.15 | 717 | აეკ-ლიტექსი | 1.6 | 12,0 | 25,0 | 2,8 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.15 | 718 | გრასჰოპერი-ლიდსი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 23.30 | 719 | ფეიენოორდი-ფრაიბურგი | 2,610,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 | |
| 23.45 | 720 | ფიორენტინა-ლილი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.45 | 721 | მილანი-სპორტინგი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 22,0 | 11,0 | 11,0 |
| 24.00 | 722 | რეინჯერსი-პსჟ | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 00.05 | 723 | იფსვიჩი-ინტერი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 00.30 | 724 | ვალენსია-სელტიკი | 2.1 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |

# თასის აღება

| 902 ჩემპიონთა თასი | | | |
|---|---|---|---|
| რეალი | 3,5 | ინტერი | 3,5 |
| მანჩესტერი | 3,5 | ლიდსი | 3,5 |
| იუვენტუსი | 4,0 | ვალენსია | 4,0 |
| რომა | 5,0 | პარმა | 6,0 |
| ლივერპული | 5,0 | დორტმუნდი | 8,0 |
| ბაიერნი | 5,0 | ჰერტა | 12,0 |
| ბარსელონა | 5,0 | მალიორკა | 15,0 |
| არსენალი | 6,0 | ფიორენტინა | 20,0 |
| დეპორტივო | 8,0 | პსჟ | 20,0 |
| ლევერკუზენი | 15,0 | ბორდო | 20,0 |
| გალათასარაი | 30,0 | რეინჯერსი | 20,0 |
| ნანტი | 30,0 | ფრაიბურგი | 20,0 |
| ბოავიშტა | 30,0 | იფსვიჩი | 20,0 |
| პორტუ | 30,0 | პსვ | 20,0 |
| პანათინაიკოსი | 30,0 | სელტიკი | 20,0 |
| სპარტა | 30,0 | ლიონი | 20,0 |
| **901 უეფას თასი** | | ლილი | 20,0 |
| მილანი | 3,5 | ფეიენოორდი | 20,0 |
| | | სპორტინგი | 30,0 |
| | | ბრიუგე | 30,0 |

**უეფას თასი. III ეტაპი. I წრე.**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 409 | ბორდო(საფრანგეთი)-როდა(ჰოლანდია) | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 21.00 | 410 | ჰაპოელი ტელ ავივი(ისრაელი)-ლოკომოტივი(რუსეთი) | 2,5 | 3,0 | 2,5 |

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 411 | სერვეტი(შვეიცარია)-ჰერტა(გერმანია) | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.15 | 412 | კოპენჰაგენი(დანია)-დორტმუნდი(გერმანია) | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.30 | 413 | პარმა(იტალია)-ბრონდბი(დანია) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.30 | 414 | პაოკ(საბერძნეთი)-პსვ(ჰოლანდია) | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.00 | 415 | ლიბერეცი(ჩეხეთი)-მალიორკა(ესპანეთი) | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 416 | ბრიუგე(ბელგია)-ლიონი(საფრანგეთი) | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.15 | 417 | აეკ(საბერძნეთი)-ლიტექსი(ბულგარეთი) | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.15 | 418 | გრასჰოპერი(შვეიცარია)-ლიდსი(ინგლისი) | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 23.30 | 419 | ფეიენოორდი(ჰოლანდია)-ფრაიბურგი(გერმანია) | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.45 | 420 | ფიორენტინა(იტალია)-ლილი(საფრანგეთი) | 2.0 | 3,1 | 3,4 |
| 23.45 | 421 | მილანი(იტალია)-სპორტინგი(პორტუგალია) | 1,45 | 3,5 | 7.0 |
| 24.00 | 422 | რეინჯერსი(შოტლანდია)-პსჟ(საფრანგეთი) | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| 00.05 | 423 | იფსვიჩი(ინგლისი)-ინტერი(იტალია) | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 00.30 | 424 | ვალენსია(ესპანეთი)-სელტიკი(შოტლანდია) | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**მერკოსურის თასი. ნახევარფინალი. I წრე.**

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.45 | 425 | კორინთიანსი(ბრაზილია)-სან ლორენსო(არგენტინა) | 1,7 | 3,2 | 4,4 |

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.45 | 426 | ფლამენგო(ბრაზილია)-გრემიო(ბრაზილია) | 1,9 | 3,1 | 3,6 |

**მერკონორტეს თასი.**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.10 | 427 | ემელეკი(ეკვადორი)-ატლეტიკო ნასიონალი(კოლუმბია) | 2,0 | 3,1 | 3,4 |

21 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.30 | 428 | ვიზარდსი(აშშ)-ლაგუნა(მექსიკა) | 3,4 | 2,5 | 2,1 |

22 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 429 | სპორტინგ კრისტალი(პერუ)-ბარსელონა(ეკვადორი) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

**1/2 ფინალი. I მატჩი.**

20 ნოემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 430 | ნეკახა(მექსიკა)-მილიონარიოსი(კოლუმბია) | 1,65 | 3,2 | 5,0 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა.**

20 ნოემბერი

21.00 801 ბორდო(საფრანგეთი)-როდა(ჰოლანდია) ............ 1,1-4,0

21.00 802 ჰაპოელი ტელ ავივი(ისრაელი)-ლოკომოტივი(რუსეთი) ............ 3,5-1,2

22 ნოემბერი

21.00 803 სერვეტი(შვეიცარია)-ჰერტა(გერმანია) ............ 4,0-1,1

21.15 804 კოპენჰაგენი(დანია)-დორტმუნდი(გერმანია) ............ 4,0-1,1

21.30 805 პარმა(იტალია)-ბრონდბი(დანია) ............ 1,1-4,0

21.30 806 პაოკ(საბერძნეთი)-პსვ(ჰოლანდია) ............ 2.3-1,4

22.00 807 ლიბერეცი(ჩეხეთი)-მალიორკა(ესპანეთი) ............ 3.5-1.15

22.30 808 ბრიუგე(ბელგია)-ლიონი(საფრანგეთი) ............ 2,5-1,35

23.15 809 აეკ(საბერძნეთი)-ლიტექსი(ბულგარეთი) ............ 1,1-4,0

23.15 810 გრასჰოპერი(შვეიცარია)-ლიდსი(ინგლისი) ............ 4,0-1,1

23.30 811 ფეიენოორდი(ჰოლანდია)-ფრაიბურგი(გერმანია) ............ 1,7-1,7

23.45 812 ფიორენტინა(იტალია)-ლილი(საფრანგეთი) ............ 1,75-1,65

23.45 813 მილანი(იტალია)-სპორტინგი(პორტუგალია) ............ 1,15-3,5

24.00 814 რეინჯერსი(შოტლანდია)-პსჟ(საფრანგეთი) ............ 1,8-1,6

00.05 815 იფსვიჩი(ინგლისი)-ინტერი(იტალია) ............ 2,8-1,3

00.30 816 ვალენსია(ესპანეთი)-სელტიკი(შოტლანდია) ............ 1,25-2,8

# ნუ გაგვაკვირვებთ აფრიკელებს

18 ნოემბერი. თბილისი. «ლოკომოტივის» სტადიონი. 17 000 მაყურებელი

## საქართველო 17:31 სამხრეთ აფრიკა „ა“

საქართველო: ხამაშურიძე, ურჯუკაშვილი, ზიბზიბაძე (ი. გიორგაძე, ხეხელაშვილი), ალანია, ბუგიანიშვილი, ჯიმშელაძე, იოვაძე (მოდებაძე); შველიძე, ა. გიორგაძე (ჯაველიძე), ცაბაძე (რატიანიძე), დიდებულიძე (ნიკოლაენკო), ნადირაძე, ბოლგაშვილი (პაპაშვილი), ლაბაძე, მჭედლიშვილი
ლ: ხამაშურიძე (26), ლაბაძე (60); 2გ: ჯიმშელაძე (26, 60); ჯ: ჯიმშელაძე (69);
სამხრეთ აფრიკა: ლუბშერი, კაიზერი, ჟუბერი, იულისი (ბობო), ველში, დიუ ტუა, კონრადი; პიუმანი, ფან ნიკერკი (სენტონი), რაუტენბახი, დავიდსი, ბოთა (ფან შიერდენი), სხოლტცი, ლაბუსხანი, სავერბი
4ლ: ლაბუსხანი (16, 40), ბოთა (42), იულისი (56); 4გ: დიუ ტუა (16, 40, 42, 56); ჯ: დიუ ტუა (80)
გაფრთხილება: ურჯუკაშვილი, ფან ნიკერკი;
მსაჯები: იან პაიდ-ლეი, ვენსან აზულეი, ერვე დიუბე (კანადა)



ლევან ცაბაძე მეტოქეს ჩვეული ჟინით აწვებოდა



აუტებში აფრიკელთა უპირატესობა აშკარა იყო

ბაჩუკი ქოთოლაშვილის ფოტო

ბაჩო სვანიძე

„დღეს ჩვენ ძალიან ამაყები ვართ. მიუხედავად მარცხისა, ბიჭებზე აუგი არ დამცდება. საქართველოს ნაკრები ვაჟკაცურად იდგა — თქვა ნამატჩევს [illegible] ჯვალოსანთა მთავარმა მწვრთნელმა კლოდ სორელმა და დაამატა — როდესაც სამხრეთ აფრიკის ჰიმნი დაუკრეს, ტანში ჟრუანტელმა დამიარა, წარმოვიდგინე, რამდენი მსოფლიო დონის მორაგბე მდგარა ამ ჰიმნზე“.

[illegible] მსოფლიო დონის ვერა, მაგრამ არანაკლები მოთამაშეებით ესტუმრნენ სამხრეთაფრიკელები ბორჯღალოსნებს. ლუბშერს, კაიზერს, ჟუბერს, დიუ ტუას არაერთხელ დაუცავთ თავიანთი ქვეყნის უპირველესი გუნდის — „ქურციკების“ ღირსება. კაიზერს სულაც ჯონა ლომუს წინააღმდეგ უთამაშია და გვარიანად გაუტანჯავს „ოლ ბლექსის“ ვარსკვლავი. ამათ აფრიკელთა ჯანიანი და მობილური მორკინალებიც დაუმატეთ, რომლებიც „ზე-12-ის სერიაში“ არიან გამობრძმედილები და ნათელი გახდება, რომ ბორჯღალოსნებს ამ დონის მეტოქესთან კვირამდე არ უთამაშიათ, შესაბამისად ამ დონის მატჩი არ გამართულა თბილისში.

აჯერად ვერ იმარჯვეს ბორჯღალოსნებმა, მაგრამ ვის მოუტრიალდება ენა დასაძრახად, როდესაც მათ წინაშე „ქურციკებით“ გაძლიერებული გუნდი იდგა. ჩვენი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტოქეს არ შეუშინდნენ და უშეღავათო ბრძოლა გაუმართეს. უკვე მერამდენედ დაამტკიცეს სორელის შეგირდებმა, რომ სახელებს არ უფრთხიან და მოედანზე სულს და გულს დებენ.

მატჩის შემდეგ თვით აფრიკელთა მთავარმა მწვრთნელმა ალისტერ კუტცემ ბევრი გვაქო და ისიც აღნიშნა, მსოფლიო თასზე რომ ვერ გახვიდეთ, დიდად გამაკვირვებთო.

ჯერ კიდევ მატჩის წინ ამბობდა სორელი, სწორედ აფრიკელებთან დავინახავთ, რა მიმართულებით მოგვიწევს მუშაობა, თორემ ერთა თასზე იმგვარად დავიფრინეთ მეტოქეები, მიჭირს ნაკლის აღმოჩენა და ჩვენი ადგილის დადგენა მსოფლიოს რაგბიშიო. არ შემცდარა ფრანგი მოძღვარი, ვინაიდან კვირას გამართულ მატჩში მართლაც ყველაფერი ნათლად გამოჩნდა.

ძალიან კარგი საქმე გაკეთდა აფრიკელთა ჩამოყვანით. ჯერ ერთი, რაგბის ქართველმა გულშემატკივარმა ფრიად დონიანი და სანახაობრივი თამაში იხილა. მეორე და მთავარი: ჩვენმა მორაგბეებმა და მწვრთნელმა ის სუსტი მხარეები დაინახეს, რომელთა გამოსწორებაზე ძალიან დიდი მუშაობა მართებთ.

უპირველეს ყოვლისა, ქართველებს არ ეყოთ გამძლეობა და სისწრაფე. აკი აღიარეს კიდეც მატჩის შემდეგ ჩვენმა მორაგბეებმა, ფიზიკურად ამგვარად ძლიერი მეტოქე პირველად ვნახეთ და მათ მიერ შემოთავაზებულ მაღალ ტემპს მხარი ვერ ავუბითო. გარდა ამისა, ბორჯღალოსნებს ბლომად ჰქონდათ ტექნიკური წუნი, ხშირად ცდებოდნენ გადაცემებისას, რაც, ალბათ, შეუთამაშებლობის და ზედმეტად ნერვიულობის ბრალი იყო.

ბარე სამი სალელოე შეტევა ჩაიშალა იმის გამო, რომ მორაგბეებს ან ბურთი გაუვარდათ, ანაც ზუსტი პასი ვერ გააკეთეს. თვალში საცემი იყო სტუმართა უპირატესობა აუტებში. მართალია, რიგ შემთხვევებში აფრიკელები წესების დარღვევით გვიგებდნენ დერეფანს, მაგრამ ამას მსაჯისთვის შეუმჩნევლად აკეთებდნენ, რაც მათ მაღალ კლასზე მიუთითებს. ცალკე თემაა ჩვენი უკანა ხაზის არაორგანიზებული თამაში. ბორჯღალოსანთა ბეკებს ძალიან უჭირდათ დაცვიდან შეტევაში გადასვლა და პირიქით. ჩვენი მცველები პირქარში რატომღაც ბურთის ხელით გათამაშებით ცდილობდნენ იერიშზე გადასვლას, რაც აშკარად არ გამოსდიოდათ. როდესაც სტუმართა უკანახაზელებს რაქიდან ან მოლიდან სწრაფად გამოჰქონდათ ბურთი და თვალის დახამხამებაში ათამაშებდნენ მარაოს, ჩვენი ბეკები დაცვაზე გადაწყობას ვერ ასწრებდნენ. ქართველები არცთუ ხშირად მიმართავდნენ ფეხით თამაშს, როცა მეტოქის გარე ნახევარმცველი დიუ ტუა ყოველი შესაძლებლობისას უმალ აუტებში გზავნიდა ბურთს, რითიც გვარიანად იგებდა მანძილს.

მხოლოდ შერკინებაში ვერ გვაჯობეს სტუმრებმა, მაგრამ ვერც ჩვენ დავჯაბნეთ ისინი. შედეგად უპირატესობა ვერ მოვიპოვეთ და ბორჯღალოსანთა უკანა ხაზი მეტწილად დაცვითი ფუნქციებით იყო დაკავებული, თუმც მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბარე ათჯერ მაინც ნაღდი ლელო არ დაადებინეს აფრიკელებს.

და კიდევ, რამდენიც არ უნდა ვიმახოთ, საკმარისი გამოცდილება უკვე დაგვიგროვდაო, მთლად მართლები არ ვიქნებით. ეტყობა, ეს გამოცდილება სამხრეთ აფრიკის დარ გუნდებთან საკმარისი არ არის. აბა, სხვას რას მივაწეროთ ის ორი დასანანი ლელო, რომლებიც პირველი ტაიმის ბოლო წუთზე და მეორე ნახევრის დასაწყისშივე მივილეთ. აკი აღნიშნა კიდეც მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სორელმა, გამოცდილი გუნდი ასეთ ლელოებს არ უნდა უშვებდესო.

ყველაფრის თავიდათავი ისევ შეუთამაშებლობა. ფრანგებთან და აფრიკელებთან გამართული ეს ორი მატჩი დიდად წაადგებათ ბორჯღალოსნებს, მაგრამ კიდევ უფრო მეტი თამაში გვმართებს, რიგიანად რომ დავოსტატდეთ და გამოცდილებაც გავიმდიდროთ. აგერ, სამხრეთაფრიკელთა მთავარმა მწვრთნელმა რომ გაიგო, საქართველოს ნაკრები აპრილში რუმინეთის ძლევის შემდეგ პირველად შეიკრიბაო, ფრიად გაკვირვებული დარჩა.



რიკარდო ლუბშერის შეჩერება ერთობ ძნელი იყო

ბაჩუკი ქოთოლაშვილის ფოტო

## მატჩის შემდეგ

***კლოდ სორელი,*** *საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— ეს მატჩი ჩვენი პროგრესის კატალიზატორი უნდა ყოფილიყო. ახლა კარგად დავინახე, თუ რა მიმართულებით მოგვიწევს მუშაობა. სამწუხაროდ და საბედნიეროდ, ყოველთვის ვერ მოიგებ. თუ ამ დონის მატჩები კიდევ გვექნება, ჩვენი პროგრესი უფრო სწრაფი იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ დღეს გაცილებით მაღალ დონეზე ვითამაშეთ, ვიდრე საფრანგეთთან, მაგრამ ერთკვირიანი შუალედი აშკარად არ გვეყო უფრო მეტისთვის. ეს იყო გაკვეთილი. საყვედურს ვერც ერთ მორაგბეს ვერ ვეტყვი.

— მსაჯის მოქმედების შეფასება ჩვენი საქმე არ არის. მე მხოლოდ ერთი რამ მაინტერესებს — აღიარებენ თუ არა ჩემი მოთამაშეები მიღებულ წესებს. მსაჯზე წაგების გადაბრალება გაუმართლებელი მგონია. ჩვენ დღეს მაინც წავაგებდით. ეს მატჩი განსაჯა კანადელმა, რომელსაც ერთგვარი გამოცდა უნდა ჩაებარებინა: მას მსოფლიოს თასზე მსაჯობის პრეტენზია აქვს. კარგი იქნება, თუ ვიდეოფირს ნახავს და თავის შეცდომებს აღმოაჩენს: ეს მას, როგორც მსაჯს, ძალიან დაეხმარება. ისე კი, ჩვენ უფრო მეტი შანსი გვაქვს მსოფლიოს თასზე მოხვედრის, ვიდრე მას.

— თუ არ ჩავთვლით პირველი ტაიმის ბოლოს და მეორე ტაიმის დასაწყისში გაშვებულ ლელოებს, თამაში თანაბარი იყო. ასეთ ლელოებს გამოცდილი გუნდი არ უნდა უშვებდეს.

— მეტოქე ბინძურად გვეთამაშა. მათი აგრესიულობა ხშირ შემთხვევებში გადაჭარბებულ უხეშობაში გადადიოდა. ჩვენ არასდროს შევეცდებით, ბოროტი აგრესიით ვითამაშოთ.

— ჩვენი მიზანი ევროპის საუკეთესო ექვსეულში მოხვედრა და მსოფლიოში მეთორმეტე გუნდად [illegible]ნებაა. იცით ეს რას ნიშნავს? რას და მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში იტალიას უნდა მოვუგოთ, თანაც იტალიაში. ეს, რა თქმა უნდა მაშინ, თუ მომავალ ერთა თასზე პირველ ადგილს დავიკავებთ.

***ზურაბ მჭედლიშვილი,*** *საქართველოს ნაკრების მორკინალი:*

— ისეთ გუნდთან თამაში, როგორიც სამხრეთ აფრიკაა, ჩვენთვის დღესასწაულია, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, თუ რას ვგრძნობ ახლა. ისინი რაგბის ცოდნით, ხელვით ყველასგან განსხვავდებიან, რაღაც სულ სხვა სამყაროა. თავიდან დაძაბული და დაბნეულები ვიყავით და ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ამ დონის მეტოქეს ჯეროვანი წინააღმდეგობა გავუწიეთ.

***კახა ალანია,*** *საქართველოს ნაკრების უკანახაზელი:*

— პირადად მე ასეთი დონის გუნდთან დღემდე არ მეთამაშა. აღფრთოვანებული დავრჩი მეტოქის გარჯით. ჯერ ერთი, საკმაოდ მაღალ ტემპს ვერ გავუძელით, მერე ძალიან გაგვიჭირდა დაცვაზე გადაწყობა. აფრიკელებს მოლიდან და რაქიდან სწრაფად გამოჰქონდათ ბურთი, ჩვენ კი ზონის [illegible]კეტვას ვერ ვასწრებდით. რაც შეეხება იმას, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ და თავი არ დავზოგეთ, ეს ბუნებრივია: ჩვენ ხომ ეროვნული ნაკრების მაისურა გვაცვია და ბორჯღალი გვახატია.

***ალისტერ კუტცე,*** *სამხრეთ აფრიკის „ა“ ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— თქვენი გუნდი მოედანზე რომ გამოვიდა, გამიჭირდა გამერჩია, ვინ იყო მორკინალი და ვინ — უკანახაზელი. ფიზიკურად კარგად ხართ მომზადებული და ჟინით ითამაშეთ. რა თქმა უნდა, გქონდათ წუნი, მაგრამ მთლიანობაში შეკრული, მებრძოლი ნაკრები გყავთ. ძალიან დიდი მუშაობა მოგიწევთ, დაცვიდან შეტევაში სწრაფად გადაწყობა რომ დახვეწოთ. დღემდე ქართულ რაგბის საერთოდ არ ვიცნობდი. ახლა კი მჯერა, აქ იოლად ვერავინ მოიგებს. იმედი მაქვს, რომ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ საქართველოში რაგბის განვითარებისთვის. მსოფლიოს თასზე რომ ვერ გახვიდეთ, ძალიან გამიკვირდება.

— ბევრი ქართველი მორაგბე თავისუფლად შეძლებს ჩემს გუნდში თამაშს. განსაკუთრებით მე-6 და მე-5 ნომრებს (დავით ბოლგაშვილი, ვანო ნადირაძე) [illegible] უკანა ხაზიც, თუმცა ბევრი ნაკლი აქვს გამოსასწორებელი.

***იანეს ლაბუსხანი,*** *სამხრეთ აფრიკის „ა“ ნაკრების კაპიტანი:*

— ვფიქრობ, დღეს ძალიან კარგ გუნდს ვეთამაშეთ. რომ არა თქვენი ტექნიკური წუნი, ერთობ გაგვიჭირდებოდა. მეტოქე თავგანწირვით თამაშობდა, რაც რაგბის ძირითადი პრინციპია. მადლობას გიხდით გულთბილი მასპინძლობისთვის. ურთიერთობა მომავალშიც უნდა გაგრძელდეს.

— ჩემი აზრით, სუფთა თამაში იყო. პირადად მე დიდი სიამოვნება მივიღე ამ მატჩისგან.



კლოდ სორელმა სამხრეთაფრიკელებს გამარჯვება მიულოცა

ბაჩუკი ქოთოლაშვილის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტესტ მატჩები

მარსელი

### საფრანგეთი 14:13 ავსტრალია

საფრანგეთი: პუანტრენო (ჟანჟანი), რუჟერი, მარში, ტრეი, ბორი, მიშალაკი, გალტიე; კრანკა, იბანიესი (ბრუ), დე ვილიე, ორადუ, პრივატი (ნალე), ბეტსენი, მანი, ტაბაკო

1 ლ: მარში; 3 ს: მიშალაკი (2), ტრეი

ავსტრალია: ბერკი (თიუნი), ლეითემი, ბონდი (ფლეტლი), გრეი, როფი, ლარკემი, გრეგანი; სტაილზი, ფოლი (ქენონი), დარვინი (მური), ჰარისონი (კოკბეინი), გიფინი, ფინეგანი, ვო (სმიტი), კეფუ

1 ლ: თიუნი; 1 გ: ფლეტლი; 2 ს: ბერკი

დუბლინი

### ირლანდია 29:40 ახალი ზელანდია

ირლანდია: დემპსი, ჰორგანი (მალინზი), ოდრისკოლი, მეგზი, ჰიკი, ჰამფრიზი, სტრინგერი; კლოჰესი, ვუდი, ჰეიესი (ბირნი), გოლვეი (ლონგველი), ოკელი, მილერი, უოლესი, ფოლი

3 ლ: მეგზი, ჰიკი, მილერი; 1 გ: ჰამფრიზი, 2 ს: ჰამფრიზი; 2 ა: ჰამფრიზი

ახალი ზელანდია: მაკდონალდი, ჰოულეტი, უმაგა, მაუგერი, ლომუ, მერთენსი, კელეჰერი; ფიკი (ჰიუეტი), ოლივერი, სომერვილი, ჯეკი, მაქსველი, თორნი, მაკაუ, რობერტსონი

6 ლ: ჯეკი, თორნი, ჰოულეტი, მაუგერი, ლომუ, ჰიუეტი; 5 გ: მერთენსი

მარიფილდი

### შოტლანდია 16:25 არგენტინა

შოტლანდია: ლი, კ. მიურეი, მაკლარენი, ლესლი, რიდი, თაუნსენდი, ნიკოლი; სმიტი, ბალოკი, სტიუარტი (გრემი), ს. მიურეი, გრიმსი, უაიტი, მოუერი, პეტრი (სიმფსონი)

2 ლ: თაუნსენდი, ლი; 2 ს: თაუნსენდი

არგენტინა: კორლეტო, კამარდონი, ორენგო, არბისუ, ალბანეზე, კონტეპომი, პიჩოტი; რეჯიარდო (გრაუ), მენდესი, ჰასანი, ფერნანდეს ლობე, ალვარესი, ფელანი (ოსტილია), მარტინი, ლონგო

1 ლ: კორლეტო; 1 გ: კონტეპომი; 6 ს: კონტეპომი

თვიქნემი

### ინგლისი 134:0 რუმინეთი

ინგლისი: რობინსონი, კოენი, ტინდელი, გრინვუდი (კეტი), ლუგერი, ჰოჯსონი, ო. ჰილი (ბრაკენი); როუნთრი (უაიტი), რიგანი, ლენარდი, კეი (გრიუკოკი), ბორთვიკი, მუდი, ბეკი (სანდერსონი), უორსლი

20 ლ: რობინსონი (4), ლუგერი (3), კოენი (3), ჰოჯსონი (2), ტინდელი (2), მუდი (2), ო. ჰილი, სანდერსონი, რიგანი, უორსლი; 14 გ: ჰოჯსონი; 2 ს: ჰოჯსონი

რუმინეთი: ბრეზოიანუ, ტეოდორესკუ, დობრე, ოპრია (ჩოლაკუ), გიოკი, ტოფანი, სირბუ (კოდია); დიმა (ტოდერაშკი), ბალანი, სოკაჩუ (ფლორია), პეტრე (დრაგომირი), ნედელკუ, კოროდიანუ, სამუილი (პასაკე), პეტრაკე

გენუა

### იტალია 26:54 სამხრეთ აფრიკა

იტალია: მარტინი, პერძიანო (პაჩე), პოცებონი, სტოიკა, დ. დალანი, დომინგესი (მაცარიოლი), ტრონკონი; ლო ჩიჩერო (დე კარლი), მოსკარდი, პერარო (პაოლეტი), ჯაკერი (ბორტოლამი), ვიზერი, პერსიკო, ბერგამასკო, ჯეკინატო (ბენატი)

2 ლ: დომინგესი, ბენატი; 2 გ: დომინგესი, მაცარიოლი; 3 ს: დომინგესი; 1 ა: დომინგესი

სამხრეთ აფრიკა: იანტიესი, პოლსე (მონტგომერი), ჰალსტიდი, ფან სტრაატენი (იაკობსი), ჰოლი; კოენი, ფან დერ ვესტჰოიზენი (დე კოკი); ლე რუ (ფან ბილიონი), სმიტი, მეიერი (ფისახი), მეტფილდი, ა. ჯ. ფენტერი, ფოსი (კრიხე), ფან ნიკერკი (ა. ფენტერი), სკინსტედი

8 ლ: ჰალსტიდი (2), ფან დერ ვესტჰოიზენი, ჰოლი, სმიტი, მეტფილდი, მეიერი, სკინსტედი; 7 გ: ფან სტრაატენი (5), კოენი (2)

კარდიფი

### უელსი 51:7 ტონგა

უელსი: 6 ლ: გარეთ ტომასი, ჰაული, ს. ქვინელი, რობინსონი, რ. უილიამსი, ბ. უილიამსი; 3 გ: ჰარისი; 5 ს: ჰარისი

ტონგა: 1 ლ: აფაეკი; 1 გ: ჰოლა



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

16 ნოემბერი

### ედმონტონი 7:1 ჩიკაგო

(2:0 3:1 2:0)

1:0 გრინი 9(2), 2:0 კარტერი 10(12), 3:0 გრინი 24(3), 3:1 ჟამნოვი 31(8), 4:1 კარტერი 37(13), 5:1 კომრი 40(8), 6:1 შეხტი 47(5), 7:1 მარჩანტი 59(3)

### კოლორადო 1:0 აილენდერსი

(1:0 0:0 0:0)

1:0 ჰოდინი 15(4)

### დეტროიტი 8:3 მინესოტა (1:0 4:0 3:3)

1:0 ჰოლმსტრიომი 12(3), 2:0 აიზერმანი 21(5), 3:0 ლიდსტრიომი 25(2), 4:0 აიზერმანი 30(6), 5:0 რობიტაილი 37(11), 5:1 პარკი 42(1), 5:2 გეივი 46(2), 5:3 ბრიუნეტი 50(8), 6:3 რობიტაილი 54(12), 7:3 შენაჰანი 55(12), 8:3 დევერო 56(2)

### ატლანტა 4:4 ნეშვილი

(0:2 2:1 2:1 0:0)

0:1 კლასენი 8(2), 0:2 იაჩმენევი 20(4), 1:2 რომი 28(1), 2:2 კოვალჩუკი 35(8), 2:3 ჯონსონი 37(3), 3:3 ბარტეჩკო 44(1), 4:3 რეირდენი 53(1), 4:4 სკრასტინში 58(1)

### კოლუმბუსი 3:2 ანაჰაიმი

(1:1 0:0 2:1)

1:0 უიტნი 17(3), 1:1 ტვერდოვსკი 18(3), 1:2 კრივოკრასოვი 46(2), 2:2 ობენი 51(3), 3:2 მარშალი 55(6)

### ბუფალო 0:2 ფლორიდა

(0:0 0:2 0:0)

0:1 კოზლოვი 23(5), 0:2 კოზლოვი 39(6)

17 ნოემბერი

### სან ხოსე 2:3 დალასი

(0:1 1:0 1:1 0:1)

0:1 მერერი 13(1), 1:1 სუნდსტრიომი 24(3), 1:2 დიმაიო 45(1), 2:2 ნოლანი 53(7), 2:3 მატვიჩუკი 61(1)

### ვანკუვერი 2:2 ედმონტონი

(1:1 1:1 0:0 0:0)

1:0 ბერტუცი 1(3), 1:1 რ. მიურეი 5(2), 2:1 მორისონი 21(7), 2:2 შეხტი 32(6)

### კალგარი 2:0 სენტ ლუისი

(0:0 1:0 1:0)

1:0 იგინლა 38(15), 2:0 იგინლა 52(16)

### ფინიქსი 6:1 აილენდერსი

(4:0 1:0 1:1)

1:0 ლენგკოუ 8(6), 2:0 კოლანოსი 13(7), 3:0 მარკოვი 16(3), 4:0 ნაგი 18(4), 5:0 სალივანი 35(1), 5:1 კოლნიკი 52(1), 6:1 სუხი 58(1)

### ნეშვილი 3:2 კოლუმბუსი

(0:0 2:2 1:0)

0:1 ვიბორნი 24(2), 1:1 იტონი 34(1), 2:1 გ. ჯონსონი 35(4), 2:2 უიტნი 38(4), 3:2 გ. ჯონსონი 48(5)

### დეტროიტი 4:2 ლოს ანჯელესი

(1:0 2:1 1:1)

1:0 ლიდსტრიომი 13(3), 2:0 ჰალი 28(8), 2:1 მ. ჯონსონი 29(3), 3:1 შენაჰანი 37(13), 3:2 ჰაინცი 44(7), 4:2 ფიოდოროვი 58(10)

### პიტსბურგი 1:0 რეინჯერსი

(0:0 0:0 0:0 1:0)

1:0 ჰრდინა 65(4)

### მონრეალი 1:0 ფლორიდა

(0:0 0:0 0:0 1:0)

1:0 დაიჰიუსი 64(1)

### ვაშინგტონი 4:1 ანაჰაიმი

(2:1 1:0 1:0)

1:0 იაგრი 4(6), 2:0 პეტინგერი 9(2), 2:1 ჰოლსონი 9(3), 3:1 ოუთსი 36(1), 4:1 საიმონი 58(3)

### ბოსტონი 3:1 ბუფალო

(1:0 2:1 0:0)

1:0 რივერსი 15(1), 1:1 აფინოგენოვი 24(7), 2:1 რივერსი 29(2), 3:1 გერინი 37(6)

### ოტავა 2:1 ტორონტო

(0:1 1:0 0:0 1:0)

0:1 იუშკევიჩი 15(4), 1:1 უაიტი 40(9), 2:1 რაჩუნეკი 65(1)

### ტამპა 2:0 კაროლინა

(0:0 0:0 2:0)

1:0 კლაიმერი 53(5), 2:0 ტეილორი 60(2)

### ნიუ ჯერსი 1:3 ფილადელფია

(0:0 1:1 0:2)

0:1 ჰლავაჩი 28(5), 1:1 ჰოლიკი 35(6), 1:2 განიე 41(9), 1:3 ფედოტენკო 49(4)

18 ნოემბერი

### ნიუ ჯერსი 0:2 კოლორადო

(0:1 0:1 0:0)

0:1 ბლეიკი 19(4), 0:2 ბლეიკი 26(5)

### მინესოტა 2:2 ლოს ანჯელესი

(2:0 0:1 0:1 0:0)

1:0 ჟოლტოკი 10(3), 2:0 გაბორიკი 12(9)

### რეინჯერსი 6:2 ატლანტა

(0:0 4:1 2:1)

1:0 ლიჩი 21(6), 1:1 ჰიტლი 26(6), 2:1 ლინდროსი 26(10), 3:1 ციგური 35(4), 4:1 მალახოვი 40(2), 4:2 რომი 42(2), 5:2 ლინდროსი 48(11), 6:2 ლინდროსი 53(12)



## NBA. რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS მაიამიდან

მაიამი — შარლოტი. ვლადიმერ სტეფანიამ შარლოტელებს ფარი მოუგო

# მომეცით წუთები!

## ვლადიმერ სტეფანიას 4 მეოთხედი. 19 ქულა. 12 მოხსნა. 7 დაფარება

16 ნოემბერი

### მაიამი 87:96 შარლოტი

**მაიამი: კარტერი (10), ჰაუსი (11), ჯონსი (22), ელისი (8), სტეფანია (45 წუთი, 19 ქულა, 12 მოხსნა, 7 დაფარება, 1 პასი); გეტლინგი (16), მეკი (1), ჰამილტონი, ე. ბრაუნი**

**შარლოტი: დევისი (23), ვესლი (21), მაშბერნი (12), ფი ჯეი ბრაუნი (6), კემპბელი (18 ქულა, 10 მოხსნა); ნეილონი (7), მაღუა (4), ბალარდი (3), ტრეილორი (2), დრიუ**

პატ რაილი პირდაპირ ცოფებს ყრის. მიზეზი ბავშვისთვისაც ნათელია — ზედიზედ ხუთი მარცხი აღემატება იმას, რასაც მისი და ზოგადად მაიამელთა თავმოყვარეობა მოითმენს. წინა შეხვედრაში, „ნიუ იორკთან" წაგებისას, მას ნერვებმა უმტყუნა და ერთობ ხმამაღლა და აგრესიულად გააკრიტიკა მსაჯები. ამგვარ საქციელს ნბა არავის პატიობს და ამ შემთხვევაში არც გამონაკლისებს უშვებს, თუნდაც საქმე რაილის, ფილ ჯეკსონს ან ნებისმიერ სხვა ღვაწლმოსილ და ამაგდარ პიროვნებას ეხებოდეს. ნბა-მ „მაიამის" თავკაცი 10 ათასი დოლარით დააჯარიმა და სიტყვიერადაც გააფრთხილა. მაგრამ პატი არ ცხრება. ამ უქმეებზე მან ლიგის მამებს მატჩის ვიდეოფირი გაუგზავნა, სადაც ხაზს უსვამს 15 „სრულიად" საეჭვო სიტუაციას, რომლებშიც მსაჯებმა მისი შეგირდები დააჯარიმეს.

„მაიამის" „ნიუ იორკთანაც" აკლდა ძირითადი მეფარეები და ვლადიმერ სტეფანიამ „ნიქსის" წინააღმდეგაც კარგა ხნით და რიგიანად ითამაშა. ერთი დღის შემდეგ რაილიმ იგი სასტარტო ხუთეულში დააყენა და ფაქტობრივად შეუცვლელად (45 წუთი) ათამაშა. ნამდვილ თამაშს მონატრებულმა ვოვამაც ყველაფერი გაიღო და რაც ნბაშია, ალბათ პირველად იჯერა გული.

ჩვენებურის გუნდის მარცხიანობა აბა, რა გასახარია, მაგრამ სტეფანიას პირადი წარმატებები, თქმა არ უნდა, მისასალმებელია. თუნდაც სტატისტიკიდან ჩანს, რომ მან შესანიშნავად ითამაშა. მისი მონაგარიდან განსაკუთრებით შვიდი დაფარებაა აღსანიშნავი. მაშინ, როდესაც ნბა-ში მობურთალ მაღალ ჯეელთა უმრავლესობა მატჩში საშუალოდ ერთ დაფარებაზე ოცნებობს, შვიდის მოხვეჭა მანამდე ხეირიანად უთამაშებელი სათადარიგოსგან, თითქმის წარმოუდგენლად ჩანს. სტეფანია რიგიანად და გონივრულად აკონტროლებდა ფარქვეშა სივრცეს და უფარებდა ყველას, ვინც იქ გაიჭაჭანებდა. ამასთან ვოვამ ეს უმძიმესი შეხვედრა ერთადერთი პერსონალურით დაასრულა. ოთხი ჰქონდა მის მეურვეს, აღმოსავლეთის ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრ ელდენ კემპბელს, რომელიც ბევრს ეცადა, მაგრამ კერკეტი მეტოქე ვერ დაჩაგრა. ქართველმა გაუძლო უსერიოზულეს გამოცდას და თავიც გამოიჩინა. სამწუხაროდ, „მაიამის" დაცვითი ნაგებობა სულ სხვა ადგილას გაირღვა.

მაიამელებს ჯერაც არ დავიწყებიათ, რაც „შარლოტმა" რამდენიმე თვის წინ, წინა სეზონის პლეი ოფში დამართა. მაშინ „ჰორნეთსის" ჩაუქმა უკანახაზელებმა ბაირონ დევისმა და დევიდ ვესლიმ პირდაპირ ააწიოკეს მეტოქეები და მაიამიში ორი თამაში 26-26 ქულის სხვაობით მოაგებინეს „კრაზანებს". დევისიც და ვესლიც გამთამაშებლები არიან და მათი თარეშის აღსაკვეთად რაილიმ ხუთეულში ძირითად გამთამაშებელ ენტონი კარტერს სხვა დროს მისი შემცვლელი ედი ჰაუსი შეუწყვილა. ეს დუეტი პირველ ტაიმში ასე თუ ისე აკავებდა შარლოტელებს და დიდი შესვენებისთვის „მაიამი" 44:42 იგებდა.

საქმე რიგიანად მიდიოდა მესამე მეოთხედშიც და მეოთხის დასაწყისშიც. მატჩის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე სტეფანიამ ორქულიანი სროლით 80:76 დააწინაურა თავისიანები, მაგრამ აქ კი გაირღვა მასპინძელთა უკანა ხაზი. ბაირონ დევისმა სტეფანიას ორიანს სამქულიანით უპასუხა, შემდეგ კი ვესლის ჯერიც დადგა და ამან ზედიზედ შვიდი ქულა მიითვალა. „ჰითს" შეტევაშიც აერია საქმეები და ზედიზედ რამდენიმე სროლა გააფუჭა, რამაც საბოლოოდ ბოლო მეოთხედი 14:23, მატჩი კი 87:96 დაათმობინა.

**ირაკლი ფირცხილავა**

16 ნოემბერი

### კლიპერსი 85:94 ტორონტო

კლიპერსი: მეჯიტი (28), ბრენდი (22 ქულა, 12 მოხსნა)

ტორონტო: კარტერი (23), პეტერსონი (20)

### სიეტლი 100:91 გოლდენ სტეიტი

სიეტლი: პეიტონი (30), ლუისი (18 ქულა, 10 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (16), ჯემისონი (16)

### საკრამენტო 105:71 ჩიკაგო

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (21), თურქოღლუ (16)

ჩიკაგო: მერსერი (14)

### ფინიქსი 95:83 ლეიკერსი

ფინიქსი: ჰარდევეი (20), მარბერი (18)

ლეიკერსი: ონილი (29 ქულა, 12 მოხსნა), ბრაიანტი (18)

### სან ანტონიო 105:91 კლივლენდი

სან ანტონიო: დანკანი (27), სმიტი (22), როუზი (18 ქულა, 11 მოხსნა)

კლივლენდი: მიურეი (18), მილერი (16 ქულა, 10 პასი)

### ინდიანა 113:120 მინესოტა

(ძირითადი დრო 98:98)

ინდიანა: როუზი (31), ჰარინგტონი (25), მილერი (23), ტინსლი (12 ქულა, 15 პასი, 9 მოხსნა, 6 ჩაჭრა, 5 დაფარება)

მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 10 მოხსნა), ბრენდონი (22), შჩერბიაკი (22)

### ნიუ ჯერსი 109:83 ნიუ იორკი

ნიუ ჯერსი: მარტინი (21), კიტლზი (18)

ნიუ იორკი: სპრიუელი (15)

### ფილადელფია 98:78 ატლანტა

ფილადელფია: მაკკი (20), აივერსონი (19)

ატლანტა: ტერი (15)

### ვაშინგტონი 92:101 იუტა

ვაშინგტონი: ჯორდანი (44)

იუტა: მელოუნი (20 ქულა, 12 მოხსნა), მარშალი (28), ლუისი (18)

17 ნოემბერი

### გოლდენ სტეიტი 93:88 ჩიკაგო

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (23 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ფორტსონი (18 ქულა, 11 მოხსნა)

ჩიკაგო: მილერი (28 ქულა, 12 მოხსნა), ჰოიბერგი (18)

### სიეტლი 93:103 დენვერი

სიეტლი: ლუისი (23), ბერი (22), მეისონი (19)

დენვერი: ვან ექსელი (38), მაკლაუდი (17), ლაფრენცი (17)

### მილუოკი 104:93 იუტა

მილუოკი: რობინსონი (34), ალენი (18)

იუტა: მელოუნი (30 ქულა, 10 მოხსნა), მარშალი (22 ქულა, 10 მოხსნა)

### ჰიუსტონი 124:87 დალასი

ჰიუსტონი: ფრენსისი (33), ვილიამსი (21), მობლი (20)

დალასი: ნეში (21)

### მემფისი 98:93 კლივლენდი

მემფისი: ბეტიე (20), გასოლი (17 ქულა, 10 მოხსნა), ვილიამსი (16 ქულა, 14 პასი)

კლივლენდი: მიურეი (27 ქულა, 16 მოხსნა), მილერი (13 ქულა, 15 მოხსნა)

### მინესოტა 103:95 ორლანდო

მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 16 მოხსნა), სმიტი (21 ქულა, 11 მოხსნა), შჩერბიაკი (20 ქულა, 14 მოხსნა)

ორლანდო: მაკგრეიდი (25), მილერი (17)

### ნიუ ჯერსი 82:94 ფილადელფია

ნიუ ჯერსი: მარტინი (16)

ფილადელფია: აივერსონი (28 ქულა, 5 ჩაჭრა), კოულმენი (20)

### დეტროიტი 104:98 ინდიანა

დეტროიტი: სტეკჰაუზი (18)

ინდიანა: ტინსლი (28 ქულა, 13 მოხსნა), როუზი (17)

### ატლანტა 112:103 ბოსტონი

ატლანტა: აბდურ-რაჰიმი (29 ქულა, 12 მოხსნა), გლოვერი (24), ტერი (22)

ბოსტონი: პირსი (33), უოლკერი (23 ქულა, 11 მოხსნა)

### შარლოტი 87:97 პორტლენდი

შარლოტი: ვესლი (19), დევისი (18)

პორტლენდი: ვოლესი (23), ანდერსონი (20), ველსი (16)

18 ნოემბერი

### ლეიკერსი 93:85 საკრამენტო

ლეიკერსი: ბრაიანტი (29), ონილი (28 ქულა, 15 მოხსნა)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (25), დივაცი (15 ქულა, 15 მოხსნა, 8 პასი)

### კლიპერსი 99:86 ნიუ იორკი

კლიპერსი: ბრენდი (20), რიჩარდსონი (20)

ნიუ იორკი: სპრიუელი (22), ჰიუსტონი (19)

### ფინიქსი 81:87 ტორონტო

ფინიქსი: მარიონი (24 ქულა, 10 მოხსნა), მარბერი (19 ქულა, 11 პასი)

ტორონტო: კარტერი (31), პეტერსონი (16)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

# მსაჯმა თამაში დაკარგა, მოთამაშემ კი ფული

17 ნოემბერი. ვერის ბალი

**სსუ 73:59 ქუთაისი**

16:15, 15:22, 17:16, 25:6

სსუ: გ. ქლენტი (7), სორდია (11), ლაცუზბაია (7), ტაბატაძე (20), აბულაძე (12); ძიძიგური, ბ. ქვილითაია (14), ვ. ქვილითაია, ფენდერაგა (2)

ქუთაისი: ბადრიძე, კვიმსაძე (20), ბარბაქაძე (10), ჭირაქაძე (7), ნ. შანიძე (5); ლომიძე, დარახველიძე (4), პირტახია (5), კუპრაშვილი (8)

მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ანდრიაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

17 ნოემბერი. ვერის ბალი

**შევარდენი 57:82 სტუ**

5:16, 16:21, 17:22, 19:23

შევარდენი: გ. ჩხეიძე (1), გიგაური (4), გელაშვილი (9), ბ. ნოზაძე (6), ქეჩხიშვილი (2); გულხადარაშვილი (11), ნუცუბიძე (3), კაზანჯიანი (17), მუსერიძე (4)

სტუ: მარხვაშვილი (6), ხოშტარია (9), აბრამიძე, ოთიურიძე (9), შენგელია (10); მდივანი (10), გაგნიძე (5), სულაძე (4), ლოსაბერიძე (14), მინაშვილი (8), დავითულიანი (7)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

17 ნოემბერი. ვერის ბალი

**აზოტი 74:69 თსუ**

18:16, 26:14, 10:25, 20:14

აზოტი: ა. ქლენტი (18), გოგობერიშვილი (18), კოკოლიშვილი (7), ბაბიაშვილი (14), მაჭარაძე (8); გაბისონია (2), ბერუაშვილი (4), ბოისა (3)

თსუ: ნიკოლაძე (16), ხეცურიანი, შანიძე (14), ქარაბაკი (23), ახალკაცი (5); ზ. სანიკიძე (2), ვეფხვაძე, გ. მარკოიშვილი (9)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: მურმან ქურიძე

18 ნოემბერი. ვერის ბალი

**თსუ 92:87 მაკაბი**

23:27, 18:24, 28:21, 23:15

თსუ: ნიკოლაძე (15), ხეცურიანი (16), არსიაშვილი, ქარაბაკი (28), ახალკაცი (16); მარკოიშვილი (12), შანიძე (5)

მაკაბი: დ. ბერიშვილი (26), ი. ბერიშვილი (11), წოწელია (23), ფიცხელაური (6), სუხიშვილი (13); სარიშვილი (3), კეკელიდია (5) ვაშაკიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

18 ნოემბერი. ვერის ბალი

**სტუ 72:73 დინამო**

25:22, 18:12, 15:14, 14:25

სტუ: მარხვაშვილი (10), ხოშტარია (28), ლოსაბერიძე (5), მდივანი (7), შენგელია (11); ოთიურიძე (2), მინაშვილი, დავითულიანი (5), აბრამიძე (4)

დინამო: ბ. ბერიშვილი, რ. ჩხეიძე (26), ტურაშვილი (8), ნინიაშვილი (9), კორძაძე (14); ოგანესიანი (7), ჩუბინიძე (4), გ. ნაცვლიშვილი (2), მიქაძე (3)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

19 ნოემბერი. ვერის ბალი

**მაკაბი 88:72 შევარდენი**

17:16, 15:26, 26:12, 30:18

მაკაბი: დ. ბერიშვილი (23), ი. ბერიშვილი (6), წოწელია (12), ფიცხელაური (4), სუხიშვილი (9); სარიშვილი (17), კეკელიდია (17)

შევარდენი: ნ. ნოზაძე (22), კაზანჯიანი (12), გიგაური (7), ბ. ნოზაძე (15), ქეჩხიშვილი (6); გულხადარაშვილი (6), გელაშვილი (3), გოგუა (1), მაჭავარიანი

მსაჯები: მაკა კუპატაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: ნოდარ დარახველიძე

19 ნოემბერი. ბათუმი

**ბასკო 91:40 სსუ**

ბასკო: თორთლაძე (9), ტუჯანი (5), ბეჟანიშვილი (17), ორმოცაძე (4), ბერძენიშვილი (6); მ. მარკოიშვილი (19), საყვარელიძე (5), არხიპოვი (6), ჩხატარაშვილი (4), ათუაშვილი (4), იმნაძე (10), სლიშალოვი (2)

სსუ: სორდია (4), ლაცუზბაია (4), კანკია (8), ძიძიგური (4), გ. ქლენტი, ტაბატაძე (8), ბ. ქვილითაია (2), ხოშტარია (3), ვ. ქვილითაია (3), ერქვანია (4), ჩიტაშვილი

**ირაკლი პირტაია**

„მატჩის უკანასკნელ მეოთხედში უყურადღებობა გამოიჩინა და თავი ვერ გაართვა მასზე დაკისრებულ მოვალეობას" — დაახლოებით ამგვარი შეფასება მისცეს ფედერაციის დისციპლინარებმა „აზოტი" — თსუ-ს მატჩის არბიტრის, ზურაბ აბაშიძის მსაჯობას, რასაც მისი მომდევნო თამაშიდან მოკვეთა მოჰყვა. მაგრამ მარტო მსაჯი არ დასჯილა, აბაშიძის „უყურადღებობით" აღშფოთება მწვრთნელს და ერთ-ერთ მოთამაშეს თითო-თითო მატჩის გამოტოვებად დაუჯდათ, ხოლო უკანასკნელი 300 ლარითაც დააჯარიმეს. ბევრისთვის გასაკვირად ისინი აზოტელები არ არიან. წლეულს რუსთაველთა ხმამაღალი სიტყვა ჯერ გაუგიათ ვერის ბალის დარბაზში, მსაჯობით უკმაყოფილებას თსუ-ს აწ უკვე მთავარი მწვრთნელი გელა წულაძე გამოთქვამდა, რომელსაც მხარი ნიკოლოზ ვეფხვაძემაც აუბა და დისციპლინართა გულისწყრომაც დაიმსახურა.

საკამათო კი ნამდვილად ჰქონდათ სტუდენტებს, ისინი მსაჯს იმ ორ მომენტზე ედავებოდნენ, რომელიც მატჩის უკანასკნელ წუთზე მოხდა. მათი აზრით, აზოტელმა ნუგზარ კოკოლიშვილმა ბურთისთვის ბრძოლაში ზღვარგადასული უხეშობა გამოიჩინა, რისთვისაც არ დასჯილა.

არადა, მსაჯს რომ დაესტვინა, თსუ-ს საჯარიმოს ხაზიდან ანგარიშის გათანაბრების შანსი ეძლეოდა, ყველაფერი კი პირიქით მოხდა: მას შემდეგ, რაც ჯახაჯუხში ბურთი კოკოლიშვილმა მოიპოვა, ფარისკენ ისროლა, მაგრამ მას ლევან ქარაბაკის ხელი გადაელობა. ბურთი კი კვლავ აზოტელს მიუვიდა და ფარქვეშ შესული სტუდენტებმა ჯარიმითღა შეაჩერეს. კოკოლიშვილმა მხოლოდ ერთის ჩაგდება მოახერხა, რითაც თსუ-ს სამქულიანი დეფიციტი და შეტევისათვის 15 წამი დაუტოვა. სტუდენტმა მარკოიშვილმა სირენამდე ოთხი წამით ადრე მოახერხა სასურველი დისტანციიდან სროლა, მაგრამ... გაბისონიამ თავის ფარიდან ასხლეტილი ბურთი მოხსნა, მერე კი ორი საჯარიმოც მიითვალა.

ვერ ვიტყვით, „აზოტი" უეჭველ გამარჯვებას იმსახურებდაო, მაგრამ პირველი ნახევრის დამთავრების შემდეგ ნამდვილად ამას იფიქრებდა კაცი. შედარებით თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ რუსთაველებმა გაილალეს, მათ თამაში მეტად მარტივ სქემაზეააწყვეს. აზოტელები თავს არ იკლავდნენ შეტევაში სხვადასხვა კომბინაციების გათამაშებით, უბრალოდ, მათ გაუვალი ზონა დააყენეს და უსწრაფესი პირველი შეტევებით ქულების მოხვეჭის არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ. რუსთაველთა დაცვის გაუვალობა იქიდანაც კარგად ჩანს, რომ სტუდენტებმა მეორე მეოთხედში მხოლოდ მერვე წუთზე შეძლეს თამაშიდან ბურთის ჩაგდება, მანამდე თსუ-მ 6 ქულა საჯარიმო სროლებით დააგროვა. ქლენტისა და ბაბიაშვილის გარღვევებს კოკოლიშვილმაც შეაშველა ხელი ორი სამქულიანით და დიდი შესვენებისას ანგარიში „აზოტის" სოლიდურ უპირატესობას მიუთითებდა — 44:30.

დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა იმას, რომ სტუდენტები მარცხის შემგუებლები არ იყვნენ, რაც მატჩის განახლებისთანავე გამოჩნდა. მარკოიშვილმა და შანიძემ წამებში სხვაობა 10 ქულამდე დაიყვანეს, შემდგომ კი რუსთაველებს იგივე იარაღი დაუპირისპირეს, რითაც წინა მეოთხედი 14:26 წააგეს. თსუ-მ მძლავრი დაცვა დააყენა, ბაბიაშვილი შეიბოჭა, არც გოგობერიშვილის ხშირ-ხშირად თამაშის თავის თავზე აღებას მოჰქონდა ნაყოფი და „აზოტის" უპირატესობამაც დნობა იწყო. ქარაბაკმა რუსთაველთა ფარი აიკლო, ნიკოლაძემ სისწრაფეს მოუმატა, სტუდენტებმა ექვსწუთეული 19:2 მოიგეს და ბოლო მეოთხედის წინ წინ გავიდნენ — 55:54.

თამაშის განახლებიდან წამების გასვლის შემდეგ ქლენტმა „აზოტი" კვლავ დააწინაურა, ამჯერად საბოლოოდ. როგორც იქნა, ბაბიაშვილი გამოერკვა, თსუ-ს დაცვა მიანგრ-მოანგრია და გოგობერიშვილსაც აღარ უჭირდა მასში ნაპრალების პოვნა. რუსთაველები დამთავრებამდე წუთით ადრეც წინ იყვნენ, მერე კი მსაჯის, კოკოლიშვილის თუ ბედის დახმარებით გაიმარჯვეს.

შაბათამდე ჩემპიონატს ორი გუნდი ჰყავდა გაუმარჯვებელი და ამასაც დაადგა საშველი. აუტსაიდერთა ჯახი, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმაოდ დაძაბული გამოდგა. სოხუმელებმა დებიუტშივე დაიპყრეს ქუთაისელთა ფარი, მაგრამ ამით ვერაფერს გამორჩნენ. სსუელების ფარქვეშიდან ბურთის ჩასაგდებათ ხან მიზანი, ხანაც კლასი ღალატობდათ. მეორე ათწუთეულში კი კვიმსაძემ აიშვა და სწრაფი შეტევებით სოხუმელების კალათს გამუდმებით ლაშქრავდა. ქუთაისელები დაცვაშიც ვარგოდნენ და პირველი ნახევრის ბოლო 5 წუთში მეტოქეს მხოლოდ ორი ქულა ჩააგდებინეს და შესვენებაზეც კარგ ხასიათზე გავიდნენ — 37:31. მესამე მეოთხედში კი იმერლებს ორი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდათ. ზურაბ ბადრიძეს შეტევისას სოხუმელები ეუხეშნენ და მან ფეხი დაიზიანა, ხოლო რევაზ ჭირაქაძე პერსონალურების გამო გავარდა და მეოთხე ათწუთეულის წინ „ქუთაისი" განწირული იყო. სოხუმელებმა დასუსტებულ ქუთაისელებს შანსი აღარ დაუტოვეს, ბოლო 5 წუთში მხოლოდ ერთი ქულა ჩააგდებინეს და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს — 73:59.

კვირას „მაკაბის" სულ ცოტა დააკლდა, კიდევ ერთი სენსაცია მოეხდინა. მესამე მეოთხედში ცენტრის, ლადო სუხიშვილის გარეშე დარჩენილებს ერთი ნაბიჯი აშორებდათ თსუ-ს დამარცხებამდე. მატჩის მიწურულს მაკაბელმა გივი კაშაკიძემ ზედიზედ ორჯერ ჩააბარა ბურთი სტუდენტებს. რითაც თავის გუნდს მთელი ჯაფა წყალში ჩაუყარა. იყო ეპიზოდი, როცა „მაკაბი" 12 ქულას იგებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც სუხიშვილი გამოაკლდათ, ქარაბაკს ხელ-ფეხი გაეხსნა და თსუ-მ მეოთხედის ბოლომდე სხვაობა სამ ქულამდე დაიყვანა — 69:72. ბოლო ათწუთეულში მაკაბელები კბილებით ინარჩუნებდნენ ლიდერობას. დავით ბერიშვილი, ხანაც წოწელია, ზუსტი სროლებით თსუ-ს არ აძლევდნენ წინ გაჭრის საშუალებას. ამ პროცესმა ბოლო წუთამდე გასტანა, მაგრამ საბოლოოდ თსუ-ს გაუმართლა.

როგორც იქნა, პრინციპული მატჩი მოიგო „დინამომ", მაგრამ ეს დიდი ოფლის ღვრისა და ნერვიულობის შედეგად მოახერხა. იგი მთელი მატჩის განმავლობაში აგებდა სტუ-სთან, თამაშის დამთავრებამდე 15 წამით ადრე გავიდა წინ და გაიმარჯვა კიდეც. მაგრამ დინამოელებმა ეს იმის ხარჯზე უფრო მოახერხეს, რომ სტუდენტები ბოლო მეოთხედის დაწყებიდან ერთ წუთში კახა შენგელიას გარეშე დარჩნენ. მანამდე დავითულიანიც გავარდა. ამ დროისთვის სტუ 60:51 იგებდა, რაც ირაკლი ხოშტარიას დიდი დამსახურებაა. მატჩის დებიუტში სტუდენტთა მსროლელის შეჩერება წარმოუდგენელი საქმე იყო. იგი ტრადიციულად, სწრაფი გარღვევების ხარჯზე აგდებდა ბურთებს. დინამოელები ხშირად არღვევდნენ წესებს და ხოშტარიას არც საჯარიმოს ხაზიდან ღალატობდა მიზანი. „დინამო" მუდამ კვალში ედგა მეტოქეს და შესაფერისი მომენტიც ჩინებულად გამოიყენა. ძირითადი ცენტრის გარეშე დარჩენილმა სტუდენტებმა ვახტანგ მინაშვილი მოიშველიეს, თუმცა მან ძალებშემოწახულ არმენ ოგანესიანთან და ზურაბ ჩუბინიძესთან ორთაბრძოლას ვერ გაართვა თავი და სტუ კვლავ ხოშტარიას იმედზე იყო. ეულად მებრძოლს კი იმტაზე მოსულ დინამოელებთან არაფერი გამოუვიდა. ჩხეიძემ გარღვევებს უხშირა, მაგრამ სტუდენტები ცოცხალი თავით არ თმობდნენ ლიდერობას. მათ მთავარ მეტოქეს აბრამიძეც ეხმარებოდა და თავის გუნდს ლიდერობას უნარჩუნებდა. სტუ უკანასკნელ წუთზე ახლოს იყო გამარჯვებასთან, იგი 72:70 იგებდა და ბურთიც მისი იყო, მაგრამ დინამოელმა ზვიად მიქაძემ მაქსიმალურად შეზღუდა სტუ-ს უკანახაზელი გიორგი მარხვაშვილი, რომელმაც ბურთი ვერ დაიმორჩილა და გვერდით ხაზს იქით გაუშვა. დინამოელებმა იგი ოგანესიანს მიაწოდეს ფარქვეშ, რომელსაც განმეორებითი სროლა დასჭირდა ანგარიშის გასათანაბრებლად. ამ დროს მის შეჩერებას ირაკლი ხოშტარია ლამობდა, მაგრამ ოგანესიანს ბურთის ჩაგდებაში ვერც ხელი შეუშალა და ჯარიმაც დაიმსახურა. სტუდენტებს კიდევ რჩებოდათ მოგების შანსი, მაგრამ მინაშვილის ცდა, თავისი პირველი ქულები მიეთვალა და გუნდისთვისაც გამარჯვება მოეტანა, კრახით დასრულდა.



სსუ — ქუთაისი. სოხუმელმა ივანე აბულაძემ მოხსნა ყველას დაასწრო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 7 | 6 | 1 | 643:479 | 13 |
| აზოტი | 7 | 6 | 1 | 539:475 | 13 |
| სტუ-ჯეოსელი | 8 | 5 | 3 | 692:582 | 13 |
| დინამო | 8 | 5 | 3 | 633:577 | 13 |
| თსუ | 8 | 5 | 3 | 640:601 | 13 |
| მაკაბი | 8 | 5 | 3 | 708:669 | 13 |
| შევარდენი | 8 | 2 | 6 | 516:596 | 10 |
| სსუ | 8 | 1 | 7 | 476:663 | 9 |
| ქუთაისი | 8 | 0 | 8 | 536:741 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნოკაუტი

## ლენოქს ლუისს ტაისონთან ჩხუბი სწყურია

**მეოთხე** რაუნდი იყო, როდესაც ლენოქს ლუისმა ჰასიმ რაჰმანს ჯერ მარცხნიდან მოსდო, მერე ერთი ლონიერი მარჯვენაც მიაყოლა ახლა უკვე სრულიად დაუცველ ყბაში და შუა რინგზე დასცა. რეფერიმ თვლა დაიწყო, რაჰმანმა წამოდგომა სცადა, მაგრამ დაბარბაცდა და ხელმეორედ დაენარცხა.

ლენოქს ლუისმა WBC-ს, WBA-ს და IBF-ს ქამრები დაიბრუნა — იგი გაუტოლდა მუჰამედ ალისა და ევანდერ ჰოლიფილდს. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული სამჯერ მხოლოდ ამ მოკრივეებს აქვთ მოგებული.

„მაშინ, სამხრეთ აფრიკაში ვთქვი, რომ ქამრები დავაგირავე — გაიხსენა 36 წლის მოკრივემ შვიდი თვის წინანდელი ამბავი, როდესაც რაჰმანმა ერთი ილბლიანი დარტყმით დაანოკაუტა და ტიტული ჩამოართვა — მეტოქემ დიდების სხივებში რაც იბანავა, ეყოფა. ახლა ქამრები დამიბრუნდა, მას კი ყოფილი ჩემპიონის წოდება მივანიჭე. ხომ გეუბნებოდით, იქ, სამხრეთ აფრიკაში მხოლოდ გაუმართლა და მეტი არაფერი“.

ლენოქს ლუისი (39-2-1) აგრეთვე შეიქნა მეოთხე, რომელმაც ტიტული წამრთმევს წაართვა. ასეთი რამ მის გარდა ფლოიდ პატერსონსა და ზემოხსენებულ ალისა და ჰოლიფილდს აქვთ გაკეთებული.

ლუისის დარტყმული იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ რაჰმანი პრესკონფერენციას ვერ დაესწრო. იგი ჯერ საავადმყოფოში მიიყვანეს, სადაც ნევადის შტატის სპორტული კომისიის ექიმმა გასინჯა, მოგვიანებით კი 29 წლის დამარცხებულის მენეჯერმა ნელსონმა დარბაზში ამბავი მოიტანა:

„გარწმუნებთ, რაჰმანი თავს კარგად გრძნობს. ის აცხადებს, რომ კიდევ იხილავთ“.

...მებრძოლები ლას ვეგასის „მენდალი ბეის“ დარბაზში 11400 მაყურებლის ყიჟინის თანხლებით შევიდნენ. ზოგ მათგანს ბილეთში 1200 დოლარი ჰქონდა გადახდილი. გულშემატკივარი მკაფიოდ ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ტრიბუნებზე ისხდნენ კინოსა და სპორტის ვარსკვლავები მეგ რაიანი, ტრეისი ულმანი, არნოლდ შვარცნეგერი, ჯონ მაკინროი, სერენა უილიამსი და სხვანი.

რინგზე პირველად ლუისი ავიდა. თეთრ შორტში გამოწყობილი ჯიქურ ჩაჰყურებდა მოწინააღმდეგეს თვალებში. მოწინააღმდეგეს კი ამერიკის დროშის დარად გაფორმებული შორტი ამოეცვა და დიდი ზარ-ზეიმით შესული ქამრებს უემოციო ბრიტანელის თვალწინ ატრიალებდა.

ბოლო შვიდი თვის მანძილზე რაჰმანის ქცევით გაბრაზებული და დატანჯული ლუისი ახლა გაცილებით უფრო მობილიზებული ჩანდა, ვიდრე მაშინ, იოჰანესბურგში. შემოჰკრეს თუ არა ზარს, პირდაპირ საქმეზე გადავიდა და რაჰმანის მარცხენა თვალი დაალილავა.

მეორე რაუნდში ტრიბუნებიდან შემახილი „ლუის, ლუის“ გაძლიერდა და მანაც გააგრძელა ქულების დაგროვება, თანაც, რაჰმანს ახლოს არ უშვებდა, ვინაიდან სწორედ ასეთი მიშვებით იწვნია სამხრეთ აფრიკაში ცნობილი ნოკაუტი. მესამე რაუნდშიც ლუისის უპირატესობა აშკარა იყო, ხოლო მეოთხეში რაც მოხდა, თავშივე მოგახსენეთ.

რაჰმანი, მოგვიანებით, იძულებული შეიქნა, მეტოქე შეექო:

„მან დიდებულად იჩხუბა, რასაც ვერ წაართმევთ“.

„თუ ლენოქსს რემატჩი მოუნდება, სიამოვნებით დავთანხმდებით“ — დასძინა მენეჯერმა ნელსონმა.

თუმცა, საეჭვოა, ლუისს კიდევ მოუნდეს რაჰმანთან შეხვედრა. მას ახლა შეუძლია მაიკ ტაისონთან ბრძოლაზე დაიწყოს ფიქრი.

„ახლა ტაისონთან ჩხუბი მწადია. აშკარად მასთან მინდა შეხვედრა, თუმცა, სხვა მხრივ, ვისაც გნებავთ, იმას შევებრძოლები. გარშემო ხომ უამრავი მოკრივეა“ — განაცხადა სამგზის ჩემპიონმა და საპრესკონფერენციო დარბაზში, იმ ადგილას, სადაც წარმოსახვითი რაჰმანი იჯდა უბრალო შავი, წვრილი ქამარი დადო.

**ტუტა სიხარულიძე**




ლენოქს ლუისმა ჰასიმ რაჰმანს ჯერ მარცხენა დაარტყა, მერე მარჯვენა, ბოლოს კი რინგზე გამოტა




REUTERS



# ჰიუიტი სიდნეიდან სიდნეიმდე

სიდნეი (ავსტრალია)
„მასტერს კაპი“
საპრიზო 3,7 მილიონი $

**ნახევარფინალი: ლეიტონ ჰიუიტი (2, ავსტრალია) — ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) 6:4, 6:3; სებასტიენ გროჟანი (7, საფრანგეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) 6:4, 6:2**

ხუან კარლოს ფერეროს მტკიცე ნერვები აქვს, ლეიტონ ჰიუიტს კი ლამის ბავშვის ასაკი და მასთან საზარდულის ტრავმა, თუმც სიდნეის ბობოლა ტურნირის ნახევარფინალში ესპანელს მტკიცე ხასიათმა ვერ უშველა, ხოლო ავსტრალიელს ტრავმამ ხელი ვერ შეუშალა. მსოფლიო კლასიფიკაციის მწვერვალზე ამ ორიოდ დღის წინ აღზევებულმა ჰიუიტმა სიდნეიში თანამემამულეთა თვალწინ ძალები არ დაზოგა და ჯგუფურ ტურნირში ასევე ავსტრალიელ პატრიკ რაფტერთან ერთად არაფრისგადამწყვეტი თამაშისგან დაძაული სანახაობა შექმნა. საზარდულიც იქ ასტკივდა და ტურნირის მომავალი გამარჯვებულის ნახევარფინალში თამაშიც საეჭვო შეიქნა. იქნებ ვერც ვითამაშო და თუ ასე მოხდება, მხოლოდ მე ვიქნები დამნაშავე, რამეთუ რაფტერთან თავი გამოვიდეო, უთქვამს მანამდე ყმაწვილ ავსტრალიელს, თუმც მერე ფერეროსთან მაინც გავიდა კორტზე, გავიდა და დაამარცხა კიდეც.

ჰიუიტს ტრავმა-ავადმყოფობისა არაფერი ეტყობოდა, შესანიშნავად მოძრაობდა კორტზე და გამძლე ესპანელს ბევრ თავსატეხს უჩენდა. თანაბარ ბრძოლაში დაწყებულ პირველ სეტში ჰიუიტი 3:3-ს შემდეგ აფეთქდა, მეშვიდე გეიმი მოიგო და ვინაიდან ამ გეიმში ფერერო აწოდებდა, პირველი სეტის მომგები ადრეულადვე გამოვლინდა. კიდევ უფრო ნაადრევად გაირკვა მეორე სეტის, მთლიანად თამაშის მოგების და მასთან ფინალისტის ვინაობაც. მეორე ხელში ჰიუიტმა აშკარად დაჩაგრა ესპანელი, 4:0 დაწინაურდა და მის და ხუან კარლოსის მიმართებაში დასმულ ყველა კითხვას უპასუხა.

დიდი ოფლის ღვრა არც მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში შედგა, სადაც რუსი ევგენი კაფელნიკოვი და ფრანგი სებასტიენ გროჟანი წაეკინკლავნენ ერთმანეთს. ბობოლა რუსს ჯერ ჯგუფური ტურნირის მიმდინარეობისას უთქვამს, ტურნირი ახლა იწყება ჩემთვის, ენერგიის მოზღვავებას განვიცდიო და ჩანს, ამ სიტყვებს ალალად ამბობდა. ყოველ შემთხვევაში, ამას ადასტურებდა სიდნეიში მისი მონაწილეობით შემდგარი ყველა მატჩი, მაგრამ ჟენიამ იქ ვერ ივარგა, სადაც ყველაზე უფრო სჭირდებოდა. ტურნირის მოსაგებად და უზარმაზარი საპრიზო ფონდის დიდი ნაწილის მოსახვეჭად შემართულმა ნახევარფინალში სებასტიენ გროჟანთან მოიჭრა თავი. მატჩის პირველი, 4:6 წაგებული სეტი კიდევ მიაჩუმებს რუსზე აუგის სათქმელად გამზადებულთ, მეორე 2:6 წაგებული სეტი და, საერთოდ, კაფელნიკოვის თამაში ნაღდად ვერ უძლებს კრიტიკას.

**ფინალი: ჰიუიტი — გროჟანი 6:3, 6:3, 6:4**

ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში დაბადებულ-დავაჟკაცებულ ლეიტონ ჰიუიტისთვის უბედნიერესი 2001 წლის საჩოგბურთო სეზონი სიდნეიში გამარჯვებით დაიწყო და აქვე ტრიუმფით დასრულდა. ლეიტონმა აქ მოიგო „ადიდას ინტერნეშნელის“ ტურნირი, შემდეგ წლის განმავლობაში კიდევ ოთხ ტურნირში იმარჯვა (მათ შორის ამერიკის ღია პირველობაზეც), წლის ბოლოს პირველ ჩოგნობასაც შესწვდა და წერტილიც სიდნეიში დასვა. „ამას ვოცნებობდი და ბოლო ორი თვე ეს მესიზმრებოდა, ამერიკის ღია პირველობის მოგების შემდეგ. ეს ტურნირი აგვირგვინებს ჩემთვის მართლაც დიდებულ წელიწადს“ — გამარჯვებამ, ცხადია, გაახარა ჰიუიტი, თუმც თავგზა კი არ დააკარგვინა. ემოციური ხასიათის მიუხედავად, ლეიტონს გაწონასწორებულ პიროვნებად მიიჩნევენ და თუ ტრავმებმა არ გატანჯვა, მსოფლიოს მომავალ მპყრობელად მოიაზრებს. თუმცა რაღა მომავალი, იგი უკვე არის მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ამასთან ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის, ვისაც კლასიფიკაციის პირველ საფეხურზე დაუმთავრებია სეზონი.

საზარდულის ტრავმის მიუხედავად, ფინალში გასულთაგან ჰიუიტი ფავორიტი იყო. ამ ტურნირში მან ერთხელ უკვე დაამარცხა სებასტიენ გროჟანი და არც ამჯერად გასჭირვებია. ის ჩვეულად სწრაფად მოძრაობდა კორტზე და თავბრუს ახვევდა მეტოქეს, რომელსაც მალევე მოეშალა ნერვები და ბურთის დაკარგვებს უხშირა, ამასთან ვერაფერი ეშველა ჰიუიტის უზუსტეს შემოვლებულებს, ავსტრალიელმა სამსეტიანი მატჩის განმავლობაში ოდენ ერთხელ, პირველ სეტში დაუთმო მეტოქეს საკუთარი მოწოდება, მაგრამ სამაგიეროდ ხუთჯერ თავად აართვა და 6:3, 6:3, 6:4 იმარჯვა.

სიდნეის ტურნირის მოგებამ ჰიუიტს თითქმის ოთხმილიონიანი საპრიზოდან მილიონ ნახევარზე ცოტა მეტი და ავსტრალიელი ქომაგობის სიყვარულის გაღრმავება არგუნა. „ბედნიერი ვარ, როცა ვხედავ, რომ ხალხი გავახარე. დიდი მადლობა ყველა ჩემს ქომაგს, რომელთაც მხარი დამიჭირეს და მაიძულეს ჩემი საუკეთესო თამაში მეჩვენებინა ამ დღეებში“ — თქვა მან.

რაც შეეხება ჰიუიტის მიერ წაქცეულ გროჟანს, ფრანგი უკმაყოფილოა და ამას არც მალავს. „ორი კვირის წინ არც მინდოდა აქ თამაში. საშინელი კვირა იყო. ორჯერ წავაგე ჰიუიტთან კვირის განმავლობაში და თუ მას მელბურნში გადავეყარე, ძალიან გამიჭირდება“. გროჟანი უკვე უფრთხის მელბურნში ამ ორიოდ თვის შემდეგ გასამართ ავსტრალიის ღია პირველობას. გავუგოთ მას, ხომ შეიძლება იქ ჰიუიტს გადაეყაროს?

**ივანე ძოწიაშვილი**



ლეიტონ ჰიუიტი ზურგზე ავსტრალიის დროშით და ხელში „მასტერს კაპის“ მთავარი პრიზით

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვაჟკაცთა ლხინი კრწანისში

## ბადრი კეთილაძის ფოტორეპორტაჟი

ტრადიციის დარღვევა არაფრით შეიძლება და საქართველო — სამხრეთ აფრიკის მატჩი მესამე ტაიმში გაგრძელდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნამატჩევს რესტორან „კრწანისში“ გაიმართა ბანკეტი, რომელზეც საქართველოს რაგბის კავშირმა აფრიკელთა დელეგაციას სრული შემადგენლობით, ბორჯღალოსნებს და მათ მწვრთნელებს, კომისარ-მსაჯებს, ქართული რაგბის ვეტერანებს და მეგობრებს უხმო. მესამე ტაიმი წესების სრული დაცვით წარიმართა. იყო ოფიციალური ნაწილი, რაც საჩუქარ-სუვენირთა და თბილი სიტყვების გაცვლა-გამოცვლას ითვალისწინებს და იყო არაოფიციალური ნაწილი, ანუ ლხინი. ზომიერი ლხინი, რომელიც თრობასა და ღრეობაში არ გადაზრდილა. ვაჟკაც მორაგბეთა წესისამებრ, ბანკეტზე მეგობრული განწყობა სუფევდა. მოთამაშეებმა დაივიწყეს, რაც მოედანზე წყენა და ბრაზი ჰქონდათ და ურთიერთპატივისცემით დაშორდნენ ერთმანეთს.



„დახეთ, ბატონო აბრაჰამს, ეს ქართული ხმალია. მიიღეთ ჩემგან საჩუქრად და ვინმე თუ გაგაბრაზებთ, აი, ასე ამოიღეთ ქარქაშიდან“ – ეუბნება საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე სამხრეთაფრიკელთა დელეგაციის მეთაურს. ბატონმა აბრაჰამსმა კი ხმალი თანამემამულეებს ჩააბარა, ოღონდ ინსტრუქცია აღარ მიაყოლა. ამათაც ხმლის აქეთ-იქით უშნოდ ქნევა დაიწყეს. ფრთხილად, გენაცვალე. შენ რაგბის ბურთის ტრიალი უფრო გეხერხება და ისე ნუ იზამ, მაგ ლომებივით ბიჭების თავები რაგბის ბურთივით დააგორო.





ამას აქ რა უნდა? ეს ვინ ჩაუსვამთ შუაში ვეტერან მორაგბეებს, განთქმულ მოქანდაკე გია ჯაფარიძეს და განთქმულ მწვრთნელ გურამ მოდებაძეს? გაირკვა, რომ დიდი სამხრეთაფრიკელი მორაგბე ფრანსუა პინარი ბანკეტზე გურამ მოდებაძეს მოუყვანია, ოღონდ ნამდვილი ვერ მოუხელთებია და მისი მუყაოს ფიგურით დაკმაყოფილებულა. უყურებს პინარი თანამემამულეთა და ქართველთა ლხინს და ფიქრობს: ეჰ, ბიჭებო, რაც მე მითამაშია და მიბანკეტია... თქვენც თუ ჩემსავით გაირჯებით, იმას მიაღწევთ, რასაც მე 1995 წელს — მსოფლიოს ჩემპიონ გუნდს ვუკაპიტნე და მსოფლიოს თასი პირველმა აღვმართე.



ვერ მოუგო ბორჯღალოსანთა ფრანგმა თავკაცმა კლოდ სორელმა სამხრეთაფრიკელებს და „ქურციკებს“ თავი ვერ წააცალა. ქართველმა ვეტერანმა მორაგბეებმა აწ უკვე თავიანთ მეგობარს, „ჩვენს კლოდს“ დანაკლისი ერთგვარად აუნაზღაურეს — სანამ „ქურციკებს“ მოედანზე წამოაქცევ, მანამდე ჩვენგან ნაჩუქარი ქურციკის თავის ფიტულით დაკმაყოფილდიო.



საქართველოს რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტის ზაზა ქასაშვილის ინიციატივით დაწესდა „მესამე ტაიმის ყანწი“. ეს ერთგვარი შეჯიბრებაა, რომლის პრინციპი მარტივია: მეტოქე გუნდების მორაგბეები ერთმანეთის პირისპირ ჩამწკრივდებიან და რიგრიგობით მიირთმევენ ღვინოს ორლიტრიანი ყანწიდან. გამარჯვებული ის გუნდია, რომლის წევრებიც უფრო მალე დაცლიან ყანწს. აი, ამ საქმეში ქართველების ძლევა მართლაც ძალიან ძნელია. აფრიკელებიც დარწმუნდნენ ამაში — მათი გუნდის ბოლო წევრი კიდევ ღვინოს ყლურწავდა, როცა შალვა პაპაშვილმა თავისი გუნდის ყანწი გამარჯვების ნიშნად ზეაღმართა. ცნობისთვის, პაპაშვილის დებიუტი ბორჯღალოით დამშვენებული მაისურათი სამხრეთ აფრიკასთან შედგა.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge